ლიტერატურული გაზეთი

№8 (168) 22 აპრილი - 5 მაისი 2016 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი



აკა მორჩილაძე

საგაზეთო სერიალის დასასრული

ნაწერები ვარდის და ბულბულისა

გრუხუნებდა და გრუხუნებდა.

გვარდიელები ცოტანი იყვნენ და ჰაერში სროლით დაიხიეს. ქალაქის ხალხი და ბარძიმოსნები ერთმანეთში აირივნენ, თავად შაითანბაზარში კი მორევი ჩამდგარიყო. ხალხი აფეთქებულ სახლებს შორის დარბოდა, უცხოელები კი სურათების გადაღებასაც ვერ ახერხებდნენ.

დენიელ ფოუს გვარიანად ემუშავა. თავის სამსახურში, რომლის ნამდვილი სახელიც ქვეყანაზე თითქმის არავინ იცოდა, მის მთავარ ხელობად სწორედ ნაღმების მოხერხებულად დალაგება ითვლებოდა.

იფეთქა თორმეტმა სახლმა. ისინი დიდი კვლევის შემდეგ შეერჩია ტანმაღალ ინგლისელს და საყურადღებოც ის იყო, რომ აფეთქებათა რიგის ჟამს ყოველი მათგანი ცარიელი იყო. ამ სახლებში არავინ ცხოვრობდა, მაგრამ შაითანბაზარი წარმოუდგენელი ჩანდა მათ გარეშე.

II-III

დასარული
დასაწყისი №160-167

3.

მაღლა, ბალახიანზე თათბირი გაემართათ.

დასცქეროდნენ ყუთს, რომელიც თბილი იყო.

— უნდა გავხეთქოთ! — ამბობდა ცოცხალა.

— ჯერ ქალაქად უნდა წავასვენოთ, — ითხოვდნენ სხვები, — ხალხის თვალწინ უნდა გაიხსნას ბარძიმი...

— ჩვენ ვართ ახალი ხომლელები, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ხალხზე...

— არ უნდა იცოდეთ, შიგ რა არი? — იმეორებდა ცოცხალა. სარდლად კი ჩანდა, მაგრამ ამ ზღვა ხალხს ვერ შეეტოქებოდა, ამიტომ ნაბიჯის უკან წადგმა არჩია, — კარგი, ძმაოსავ და წავიღოთ. ეგეც თქვი, ქალაქში შეგატარებენ? ან დაგიჯერებენ, რო ერთი და მეორე? მე ბრიჯიტ ბარდოს სურათი მქონდა, რო ვიჯექი, არავის ჯეროდა, რო ბრიჯიტ ბარდოს სურათია. და იყო...

— ვინ არის ეგ? — იკითხა იაკინთე ბორიაყმა.

ცოცხალამ ხელი აიქნია.

— რო ჩამოვა, ნახამ, — ცოცხალამ კიდევ ერთხელ დახედა ყუთს, — ეხლა მისმინეთ. ბავშვების მაცადინობა კარგია, ოღონდ ესეც მოვთვალოთ. მე,— ქაღალდებში ტაგო მიზრელად ცნობილმა ავაზაკმა ყველა შაშხანიანი ჯეილი მოათვალიერა, — და ეს ბიჭები, ქალაქში პირდაპირ ვერ გამოგყვებით, ეგ ყუთი კი არა, თუნდა, შახბაზების მთელი თვალმარგალიტი მოგქონდეთ...

ხალხს გადაურა ჩოჩქოლმა, უფრო შიშნარევმა.

— მე იმათ სისხლზე ვარ, — განაგრძო ციცხალამ, — აბა, რომელმა მიაჭირეთ დანა იმ გვარდიელებს? მე? მე. თოფები ვინ აართვა იმ ამირგულას ხალხსა? მე? მე. ვისია ეს თოფები? ჩემი? ჩემი. მე რომ თქვენს რიგში დამინახამენ, ვინმეს ეგ საგანძურობა გაახსენდება? არა? არა. მოვლენ ჩემზედ. მე და ეს კაი-კაი ბიჭები მიტომ პირველი უნდა დავწვეთ. ეს გვინდა? არ გვინდა. ამიტომ, ჩვენ მაგ ბალდახინის ტარებაში ვერ გამოგყვებით. ამ თოფ-იარაღს დავიჭერთ, რაც ჩვენი ხელით მოგვიპოებია და ჩვენ გზას ვნახამთ.

ხალხი ისე ღელავდა, თითქოს ორმოცდაათი წლის მერე შაითანბაზარში ბარსელონას ფეხბურთის გუნდი ჩამოსულიყო და იმის ბურთაობის საყურებლად არ მიეშვათ.

— მოღალატევ!

— იმთავითვე ავაზაკი იყავ!

— რათ არ მოვუსმინეთ ილუშა აბულასანს?

— ვის ეშინია შენი თოფების? წაგჯეგავთ! — მოისმა შეძახილები.

ტაგო მიზრელის ყურს კი ისინი მხოლოდ გასართობ კნუტობად მოედო.

— აი, ლაფიანი, ყოველთვინ არის ლაფიანი, — სთქვა მან ეშმაკურ ჩაღიმებით, — თქვენ არ გესმით რა რამისა. მიწისა და ადამიანისა. ჯერ გეტყვით მიწისას...

— დამცველ რაზმის გარეშე ტოვებ ლამპარს, მთელს ამ ხალხს! — იკივლა იაკინთე ბორიაყმა.

ცოცხალამ ისევ ჩაიღიმა:

— ამდენი წიგნები იცი, რო სხვას ასწავლი და ის არ იცი, ვერც გაიგებ, — თქვა მან და მოუბრუნდა თავისიანებს ყუთზე თითის დაღერებით, — კაცის ანაბანა ასეთია, დახურული გააღოს. თუ არ აღებს, რასაც ვერ ხედავს, ჭკუა არ მოეთხოვება. თქვენ არ გინდათ, ყუთი გააღოთ. მე აუხდელი კუბოც მეზარება. მიტომ, ბიჭებო, წაველით ჩვენს გზაზე.

ცოცხალამ პირდაპირ ხალხის შუაგულზე აიღო გეზი და თავისიანებიც, თოფებიანად უკან მიჰყვნენ. ერთი მუჭანი გამოვიდნენ ამდენი ხალხის წინაშე, მაგრამ ყველამ გზა უტია, ერთი მოხუცებულმა ქალმა მიაძახა მხოლოდ:

— შე ჭიავ, შენა...

მაგრამ ცოცხალას და იმისიანებს აღარც კი მოუხედიათ, ცხენი დილიდანვე შეებათ ფორანში და ზოგნიც წამოწვნენ ზედა, ზოგიც აედევნენ და ჩაუყვნენ დაბლა ზარმაცი ნაბიჯით.

თავად ცოცხალა იმ ჭკუის კაცი არ იყო, ნელ-თბილი, გამოუცნობი ყუთი ასე უდარდელად მიეტოვებინა. ეგებ სულაც არ სჯეროდა, რომ იქ მაინცდამაინც ბარძიმი, ან ხომლელ რაინდთა საგანძურის თუნდაც ნაშთი ინახებოდა, მაგრამ როგორც ნამდვილი ქურდს საკეტი უეჭველად უნდა გაეხსნა. რაც იქნება შიგ, ნადავლიც ისაარ, ასეთი იყო მისი წესი.

თანაც, ყუთს არც საკეტური ჰქონდა სადმე, არც საგასაღებო ხვრელი და ეს კიდევ მეტად ამტკიცებდა მის განსაკუთრებულობას. ცოცხალას ცეცხლგამძლე ზანდუკებიც და ზარდახშებიც ენახა ცხოვრებაში და გაეგონა განთქმულ ეხისკელის საფულე ყუთზეც, რომელსაც მპარავ-გამტეხთა თაობებმა შეალიეს თავიანთი ცოდნა და სახსნელ-გელები და მაინც ვერაფერი მოარგეს. ის ეხისკელი ძველი სოვდაგარი ყოფილიყო, ძველი დროისა და შაითანბაზრის ყოველ ქურდს გადმოეცემოდა მისი უღები ყუთის ამბავი, ვერავინ დასძლიაო. მერე დიდვაჭარი თითქოს სადღაც წასულიყო, თითქოს ერუ-

აკა მორჩილაძე

ნაწერები ვარდის და ბულბულისა

სუმბუქი საგაზეთო სერიალი

მერვე სერია — ნაცარი და წყალი

სალიმს, ან სადმე ახლოში და ყუთიც აღარავის ენახა.

ამათი ბოდიალი და ყუთზე ლოცვა ცოცხალას თავიდანვე სულ უტვინობა ეგონა, ის გუნდით მოსულიყო სიტყვა განძის გაგონებისას და ვინ იცის, ეგებ სწორედ რომ ეხისკელის ყუთი იყო ეს ყუთი და არა ვიღაც რაინდებისა. როგორც ერთ ნამდვილ კოლორადოს, ტაგო მიზრელსაც უბეში ედო პარიზული კაბარეების ყდებშემოძარცვული პროგრამები, როგორც ოცნება ნამდვილი ცხოვრებისა.

სითბო ყუთისა კი აფიქრებდა, მაგრამ მისი რაობა მაშინ გაირკვეოდა, როცა ნადავლს ხელთ მოიგდებდა. ამიტომ, ცოცხალამ თავისიანებს გამოუცხადა, რომ ახლა ერთი ძველი ფანდი უნდა მოიხმარონ და ლამპაროსანთა ლაშქრობა თვალთაგან არ დაჰკარგონ, დააკვირდნენ ვითარების სურათს და მერე კი უკეთესი დროის ამორჩევით დაეუფლონ საგანძურს.

მისი ვერაგი გეგმა ყუთის მფლობელთ ვერ ამოიცნეს. არც კი დაფიქრებულან ამაზე და არც უეჭვიათ, რახან წინ თავისი დიდი ამოცანა ედოთ: მონაპოვარი შაითანბაზარს უნდა ჩაეტანათ და წრფელი გულით მიეძღვნათ ხალხისთვის, მთელი ქალაქის თანდასწრებით გაეხსნათ იგი.

მათ იცოდნენ, რომ ქალაქი, უფრო კი ახალი მეთაურნი და მათ აყოლილი გუნდები მოყვრულად არ მოელოდნენ, მაგრამ ამ ბარძიმიან ზანდუკის უტყუარ არსებობას და მისგან გამომავალ საოცარ სითბოს წინ რა დაუდგებოდა, ყუთის სახალხოდ გახსნის შესაძლებლობა კი ყოველგვარ უნდობლობას და მტრობასაც წაშლიდა.

შაითანბაზარში მოლოდინის შფოთი იყო და ეს მოლოდინი გახლდათ შავი ამბებისა. გამოუკვეთი, ჩამოუქნელი, გამოუცდელობისგან იოლად მიღებული გაურკვევლობა და უცოდინარობა სიფრთხილეს სრულიად მორეოდა.

წრფელი დანაშაულის გრძნობას შეეპყრო მხოლოდ ერთი ადამიანი.

მაშხალოსანთა გვარის მთვრალი მემკვიდრე, პატარა ენდრო პავლიწონ მზიური მოედანზე დაბოდიალობდა და ნაცნობებს ეძებდა ბრბოში.

— ჩემი ბრალია, ბიჭებო, — მკერდზე ისმევდა ხელისგულს, — მე გავატანე, მე...

მისი გულისტკივილის შემცნობი არავინ იყო, მხოლოდ ვიღაცამ კი ურჩია, ნათან დედალოსი მონახე და იმას უამბე, რაც გაგჭირვებიაო.

— აბულასანთან ვიყავი, — ქუდით ცრემლს იწმენდდა პატარა ენდრო, — მაპატია...

ნათან დედალოსი კი ცუდ გუნებაზე არ იყო.

ამბავი მოსვლოდა, ბალახიან-უბალახოდან ბრბო დაძრულა და თან რაღაც ყუთი მოაქვთო, მაგრამ თუ მშვიდად ჩაუკვირდებოდა საკითხს, ამ ბრბოს მხილება სულ იოლად შეეძლო. რახან ეს უგნურნი აცხადებდნენ, ბარძიმი ვიპოვნეთო, იმათი უმეცრება სულ მალე გამომჟღავნდებოდა და თუ გაჭირდებოდა, ნათანიც იმ იდუმალ ხელნაწერს ააფრიალებდა, რომლითაც ხომლელთა საგანძურის პოვნა შეიძლებოდა. მცირე ეჭვი და დიდი რახილ სახელა კი უღრღნიდნენ გულს, ეგებ იმ ოხრებმა სწორედ ხელნაწერში აღწერილი გზით მიაკვლიეს იმ ამოუცნობ ყუთს, რომელიც ქალაქისკენ მოაქვთო, მაგრამ ეს მათემატიკურადაც და სულიერადაც უფრო შეუძლებლად უჩანდა, ვიდრე შესაძლოდ. ამიტომაც, საბოლოოდ, ჯორიღლეტიას აუკრძალა გზათა ჩახერგვაცა და ქალაქისკენ მომავალთა მიფინდიხებაც. ვნახოთ, რა იქნებაო. ამ აკრძალვას რახილი არ შესწრებია და იოლადაც გამოვიდა.

იმ დილიდანვე ნათანის გონებაში ბზუოდა ერთი მოქმედი ფუტკარი, რომელიც მას სრულიად მოულოდნელი აზრისკენ უბიძგებდა და სადილობა მოწეული არ იყო, რომ ამ ფუტკარს ამხანაგები გამოუჩდნენ.

ნათან დედალოსმა თითქმის გადაწყვიტა, რომ მთელს ამ ხმაურსა და არეულობაში თავად წასულიყო ქალაქიდან და ამოკითხული გეგმით მოეძებნა ბარძიმი.

ეს მართლაც ყოველივეს გადაფარავდა და ჩაამშვიდებდა ახმაურებულ შაითანბაზარს, ნათანს კი სამუდამოდ დაამტკიცებდა მის გადამრჩენელ-გამბრწყინებლად. ამაოებათა და შფოთთა რკვევას ერთი დიადი და მშვიდობიანი ნაბიჯი სჯობდა. ნაბიჯი განათებული. ეს იყო ყველაზე სწორი და საღი გზა. ყოველგვარი ქალაქური ბათქა-ბუთქის გარეშე.

მართლაც საოცარი და მარადიული იქნებოდა.

ამიტომ, ნათან დედალოსი როგორღაც იოლად შეხვდა ამბავს, რომელიც მღელვარედ შემოუტანეს.

ამბავს რახილ სახელა შემოჰყვა — როგორც ალმასი მინას, ისე ჩაჰყვა ნათანის, სულს, გულს, ღირსებას და რატომღაც ჭოგრიტიც შემოიტანა.

— გაიხედე, ერთი, გაიხედე! — იყო მისი ერთადერთი მოწოდება.

— სად გავიხედო? — ხალიჩას დახედა ნათან დედალოსმა.

— მე გეუბნებოდი, გეუბნებოდი! ეგენი მაგას გამოუშვებენ. გეუბნებოდი? შე უმაქნისო, შე გლახაკო...

დედალოსმა ჩაიღიმა და თქვა რახილ სახელასთვის სრულიად მოულოდნელი ხმით, რომელსაც მოჰყვებოდა რიხი:

— ახლა მომისმინე, უგუნურო ქალო! შინ წადი, სასწრაფოდ ჩაალაგე შენი ფერუმარილები, კარი გამოიკეტე და ბიცოლა ანგიასთან მიბრძანდი. იჯექი იქ და დამელოდე. ფეხი არ გამოადგა.

— რა?

— რაც გაიგე.

— ვერ გავიგე.

— მე ბარძიმის მოსაპოვებლად მივდივარ. ამ სისულელის ყურებას აღარ ვაპირებ. რაც უნდათ, ის ქნან.

— მიდიხარ?

— აი, ახლავე მივდივარ. ნიჩაბიც მაქვს.

— შენ! შე... შე... — ის იყო უნდა ეკივლა რახილ სახელას, მაგრამ დედალოსმა შეხედა მგელივით. ნამდვილი მგელივით, რომლისაც არასდროს შემოეხედა რახილ სახელასთვის, მაგრამ ქალი კი მიხვდა, რომ სწორედ ასე გამოიცქერდა მგელი და ამოსასროლი სიტყვა დაეკარგა.

— შენ! — შუბლზე თითი მიაბჯინა დედალოსმა ცოლს, — თუ დამელოდები დეიდა ანგიასთან, არ წააგებ.

მერე თითი ნელა მოაშორა რახილის შუბლს და კიდევ უფრო მოულოდნელად ჩაიცინა:

— მე შენ გჩუქნი რესპუბლიკას.

— გარბიხარ? — უნდოდა, ეთქვა რახილ სახელას, მაგრამ უცებ იფიქრა, რომ ეს მგლის მობჯენილი თვალები მგლისა არ იყო, არამედ უფრო გრძნეულისა, რომელმაც იპყრა საიდუმლო.

— და მე სამეფოთი დავბრუნდები, გესმის?

ნათან დედალოსი ოთახიდან გავიდა, ნელად ჩაუყვა ოდინდელი ქალაქის თავის, უფალ ბენიამინის სასახლის კიბეს.

რახილ სახელა დარჩა ჭოგრიტით ხელში, სიბრძნით განადგურებული.

მოედნიდან მოისმოდა სახალხო ზუზუნი, ჯერაც მიუჩვეველი და გამაღიზიანებელი. თუმცა, ნათანმა უკვე სხვა გზაც იცოდა სამთაგან ერთი უკანა კარით და ღობე-ღობე.

პავლიწონ მზიურის განცდები მისთვის აღარ არსებობდა.

მოედანზე კი შფოთავდენ, რადგან ახალ ამბავს ჯერ იქაურობა გამოევლო და მერე ამოსულიყო ნათანთან. იგი მოდიოდა ასუსის უბნიდან, სადაც დიდი საძირკველი თუ იჭრებოდა.

აფსუსელებს სანაგვე დროგებზე გაეწყოთ საბრძოლო ხუთეულები და შემომავალ გზებზე მორიგეებს აღარ დასჯერებოდნენ, ხერგილების ამართვა წამოეწყოთ. იქ გვარდიელთა პირველი რაზმის დატუსაღებისთანავე გავარდნილიყო ხმა, რომ ახალი უფროსობა კიდევ მეტ ხალხს გამოგზავნის, რახან აფსუსის უბანს იქით ეგულება ახალი ციხე, სადაც გამოკეტილია სისხლისმსმელი ანვარ ჯან ქვაბლიანი და თუკი აფსუსს სწადს, რომ იმის ლამაზი ქუჩები მთელი შაითანბაზრის სათარეშოდ და წარსაწყმედელად არ იქცეს, ახალი ციხის ერთადერთი ტუსაღი იქაურობას უნდა მოაშოროს.

— გაუშოთ! რა ჩვენი სათავცემოა! — ისმოდა ბოთლის მოედანზე, — ჩვენთვის მაგას არაფერი დაუშავებია, მოჭიდავედ გავყავდით...

ქალაქში მალე მოაღწია ამბავმა, რომ აფსუსის ჯანო-ბიჭები დასცემოდნენ ციხეს, იარაღი აეყარათ იქ მყოფ მცველთათვის და კიდევ უარესი, ისინი გადაებირებინათ, ხოლო თვით ყოფილი მეთაური ქვეყნისა გარეთ გამოეყვანათ.

ამის მერე ხმათა ერთსულოვნება ინავლებოდა, გამოეყვანათ და რაო, მერე რა უქნიათო და ზოგნი ამბობდნენ, თავიანთ სარდლად დაუნიშნავთ და ჩვენზე მოდიანო, ზოგნი — ოთხივ მხრით გზა დაელოცნათო, ზოგნი — გადაემალათო და ვინ იცის, კიდევ რა დაბოლოებას აღარ მოიგონებდნენ.

სინამდვილე უცნობი იყო, ის კი თითქოს აშკარა, რომ ქვაბლიანს ჯანი ვეღარ მოსდევდა და ვერც აზრიო და იმის იქ გამოკეტვამ ვინ უნდა ახეიროსო.

სინამდვილე კი ასე იყო, რომ აფსუსელებმა ბოთლის მოედანზე მოიყვანეს მოხუცი ქვაბლიანი, იმ სავარძელშივე მჯდომი, რომელშიც ციხეში დაუხვდათ და დადგეს იქ, შუა ბოთლაზე, რათა სახალხოდ გადაეწყვიტათ უფრო მოხერხებით როგორ მოეშორებინათ თავიდან.

გენერალი კი მხოლოდ ერთს ამბობდა:

— ერთი მამაწეინეთ, თქვე ძაღლის გაგდებულებო, — და თითქოს თავის გათავისუფლებას დიდ ანგარიშს არ აძლევდა. გაბრაზებული ჩიტივით იჯდა ვითომ სხვა ქვეყანაში.

როცა მოეწევინებინათ, დადუმებულიყო და გაოცებული გამოხედვითაც ყურს უგდებდა თურმე იმათ ლაპარაკს.

აფსუსის კრებაზე გადაწყდა, რომ ქვაბლიანისთვის ჩაელაგებინათ აბგაში პური, ყველი და თამბაქო, შეესვათ ერთს სანაგვე საქმიდან სიბერისთვის დათხოვნილ ჯორზე და გაესტუმრებინათ ზემოთ მხრიდან, საითაც თვითონ წავიდოდა.

— პაპა, უნდა წახვიდე, პაპა, — უთხრეს ყმაწვილმა მენაგვეებმა და მან მტრულად ამოკვესა ამათ:

— ბებიაშენისამ.

ამაზე აფსუსლელებმა გაიხარეს. იცინეს ბევრი და ვინ იცის, ეს სიცილი სანამდე გაგრძელდებოდა, რომ პირველ საბაჟოდან არ მოსულიყო ამბავი, ბალახიანის გორებიდან ქალაქზე რაღაც ჯარი მოდის, რომელსაც მოაქვს უცხო რამ საჭურველიო.

— აქ ვერ შემოვლენ, ყველა დავსწვებით! — ასე დაადგინა აფსუსმა.

ანვარ ჯან ქვაბლიანმა კი კიდევ ერთი მოსწია სავარძელში ჩამჯდარმა და როგორც გამოჩნდა, აფსუსელთა მსჯელობის დიდი საზრიანობით მსმენმა, მერე კი იმათ გაიგონეს მისი ბებრული, მაგრამ ავი ამოძახილი:

— აი, ძაღლის გაგდებულებო! გაუხტი, გაუხტი!

არსი ამ შენაყეფისა თავიდან ვერავინ გაიგო, მაგრამ მოხუცმა ბრაზიანად მოისროლა ნამწვავი და ისევ დაიხლჩინა:

— გაუხტი, გაუხტი, სანამ დაუტყნიხარ!

ბოთლის მოედანზე კიდეც იცინოდნენ მის ღონეგამოცლილ სიბრაზეზე, მაგრამ ბოლოს კი ერთმა დროულმა ნაგვისმყრელმა თქვა:

— მართალს ამბობს! რაღა აქ ველოდოთ. იქავ უნდა მივწვდეთ! ამან ეგეები იცის. მეფე იყო.

ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, რომ კაცი ბოთლების წკარუნსაც გაიგონებდა.

— და გავუხტეთ, იმის პატრონდედაც, — თქვა ვიღაცამ ხმადაბლა.

ქალებმა კი ამ დროს დიდი ჯამებით გამოიტანეს თათარიახნი ცხელები, წვნიანები და მიართვეს სავარძელში მჯდომ მოხუც ქვაბლიანს.

— მოშიებული იქნება. იქ რას აჭმევდნენ?

და აფსუსს მოედო ტკბილი ჭახაჭუხი ძველი ქალაქური საჭურვლისა.

უკვე იმ დროს კი აღმოსავლეთის მაღლობზე მოზრდილი, არეული გუნდი გამოჩნდა.

გუნდი შენიშნეს გვარდიელთა პირველ საგუშაგოზე, რომელიც ყოველგვარი სამხედრო წესით დაშლილად ჩაითვლებოდა, მაგრამ მაინც არსებობდა. ორი გვარდიელი ქალაქისკენ წამოჩანჩალდა, რათა ახალი ამბავი ჩამოეტანა სარდლისთვის.

ამაზასპ ჯორიღლეტიას უკვე გამოეგორებინა ყაითმაზა-გენერლის ზარბაზანი და ქალაქის მისადგომთან გამაგრებას აპირებდა. ცნობილი მოცეკვავე გენერლის მიერ ბოჰემიიდან ნათრევ ზარბაზანს აქამდე არასოდეს გაესროლა, მაგრამ მშვენივრად გამოიყურებოდა და საჭირო დროს შიშსაც დასთესდა.

ზემოდან კი მოდიოდნენ.

ნორჩი ხეებისგან საკაცე შეეკრათ და ყუთი ზედ დაესვენებინათ. მზიდავებს იაკინთე მასწავლებელი მოუძღოდა, უცხო რამ ბაირაღი ეჭირა ხელში და ზეცას ებუტბუტებოდა. უკან ფიწალოსანი და წერაქვოსანი დედაწულიანი გუნდი მოსდევდა.

რახილ სახელამ ჭოგრიტი დაუშვა და ფანჯარა მიხურა.

მერე ჯორიღლეტიას მიუბრუნდა.

— მე წავედი. მოწესრიგების საათი მაქვს. შენ ესროლე, ესროლე... — წაისისინა ბრაზით, — ამათი გამოტარება არ შეიძლება.

მოედანზე სულეიმან-სულიკო მარჩბივი ატყდა:

— ხალხო, მომყევით, გონს მოვიყვანოთ უმეცარნი...

და დაიძრნენ.

ამასობაში აფსუსელმა მოთვალთვალეებმა ამბავი აიტანეს პირველ საბაჟოზე და იქედან სახელდახელოდ გამზადებული რვა დროგი დაიძრა, რათა ზემოდან დაევლოთ ქალაქისათვის. გეგმას ანვარ ჯან ქვაბლიანი ხაზავდა პაპიროსით.

ბარძიმოსნები და ქალაქის ხალხი აღმოსავლეთის ბჭესთან შეხვდნენ ერთმანეთს, ზუსტად იქ, სადაც უწინ შეტაკებულან მრავალი ბეგთაბეგები და გულმარილიანნი.

გვარდიამ გვარიანად დაიგვიანა, ზარბაზანი მძიმედ მოგორავდა.

— ავაცილოთ ერთმანეთს შარი, ერთი ქვეყანა ავაშენოთ... — უთხრა სულიკო მარჩბივმა მოახლოებულებს.

— ჩემი გულისთქმაც ეგ იყო, — მიუგო ბორიაყმა.

— მაშ, ჩამოვსხდეთ.

— ჩამოვსხდებოდით, მაგრამ ამას ძირს ვერ დავუშვებთ, — ყუთზე მიუთითა ერთმა მეცნიერმა მეორეს.

— ეგ რა არის?

— აქ ავანია ლალოსან-გიშეროსანი ბარძიმი ოდინდელ მაშხალოსანთა და ხომლისა.

— ეგ სად სწერია? — ჩაეკითხა მარჩბივი, — ვინ დაადასტურებს?

— წადი შენი, დედალოსის... — მოისმა ხომლელთა ბრბოდან.

ამ დროს მოსახვევიდან გამოჩნდნენ გათანგული გვარდიელები, რომლებიც ზარბაზანს აწვებოდნენ.

მართლაც გვარიანი რამ იყო ყაითმაზა-გენერლის სასროლის ლულა. შესაბრალისად დაეღო უშველებელი შავი ხახა, ამ მგზავრობისგან თითქოს თავადაც დაღლილაო.

— ეგ გამოდგა, არა, თქვენი შერიგება! — შეჰკივლა ბორიაყმა და ბაირაღი დაიქნია ბრაზიანად. მერე რაღაცით გათამამებული თავისიანებს მიუბრუნდა და შეუძახა, — გზას არ გვაძლევენ, უნდა დავშრიტოთ!

— შე შტერო, შე მეზღაპრე!

— ჩვენი ხალხი აქეთ გამაიწიოს, რო არ დაზარალდეს, — გამოაცხადა ზარბაზნის მეთაურმა.

— ერთმანეთს ნუ ვესვრით, — ხმა ჩაიკარგა გნიასში და უცებ რაღაცამ იგრიალა.

იყო საშინელი აფეთქების ხმა და იქ მყოფებმა იფიქრეს, ეს არი და ყაითმაზას იარაღმა გაიღვიძა, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ყუმბარა ჯერაც არ ჩაეგორებინათ მის ფართო ყელში.

კვამლი სადღაც შორიდან ამოვარდნილიყო.

— გორიბალდიანთ ქუჩაზე გავარდა, — აღნიშნა მცოდნემ.

— ღალატია, ღალატი!

— დასცხე მაგათ! — დასჭექეს მორიგად და ფიწალოსნები მეზარბაზნეებს ეკვეთნენ.

— ბარძიმს გაუფრთხილდით! — ბაირაღი გაუვარდა ხელიდან ბორიაყს.

და ამას მოჰყვა მორიგი გრუხუნი ქალაქის მხრიდან. შემდეგ მესამე და მეოთხე.

— ძირს დედალოსის მთავრობა, გაუმარჯოს...

გრუხუნებდა და გრუხუნებდა.

გვარდიელები ცოტანი იყვნენ და ჰაერში სროლით დაიხიეს. ქალაქის ხალხი და ბარძიმოსნები ერთმანეთში აირივნენ, თავად შაითანბაზარში კი მორევი ჩამდგარიყო. ხალხი აფეთქებულ სახლებს შორის დარბოდა, უცხოელები კი სურათების გადაღებასაც ვერ ახერხებდნენ.

დენიელ ფოუს გვარიანად ემუშავა. თავის სამსახურში, რომლის ნამდვილი სახელიც ქვეყანაზე თითქმის არავინ იცოდა, მის მთავარ ხელობად სწორედ ნაღმების მოხერხებულად დალაგება ითვლებოდა.

იფეთქა თორმეტმა სახლმა. ისინი დიდი კვლევის შემდეგ შეერჩია ტანმაღალ ინგლისელს და საყურადღებოც ის იყო, რომ აფეთქებათა რიგის ჟამს ყოველი მათგანი ცარიელი იყო. ამ სახლებში არავინ ცხოვრობდა, მაგრამ შაითანბაზარი წარმოუდგენელი ჩანდა მათ გარეშე.

ყოველი განთქმული ნაგებობა ჩამოშლილიყო და კვამლსა და მტვერს სცემდა გარემოს. ყოველი, გარდა ალბერვილის სახლისა.

ამაზე საოცარი რაღა უნდა მომხდარიყო.

ყოველი მათგანი თვალის დახამხამებაში დაენგრია უცხოურ დენთს. იფიქრებდი, ასეთი ფუტურო კედლებით როგორღა იდგნენო.

იმარხებოდა ოდინდელი შაითანბაზარი.

ზემოთკენ აღარ არსებობდა სა-როსტანის სახლი, ჰერცოგ გლოჩესტერის ხანმოკლე საუფლო, უფრო იქეთ კი ადელიო ბარტოლომიო სენსინის შემოქმედება გასწორებულიყო მიწასთან. დენიელ ფოუს დაექცია ძველი სასახლეც, მოჭიდავეთა საბრძანებელიც ზედ პავლიწონ მზიურის მოედანზე, მოესპო ძველ მეიარაღეთა სახლიც.

ამ განთქმულ სახლთა სრულ ხუთ წუთში განადგურებამ დაუღრიალა ქალაქს, თოფი მხარზეო და ამ საუცხოო ნიშნის წყალობით ხალხი აბობოქრდა, შეცბა, აგუგუნდა და ამოძრავდა.

აფსუსელთა დროგებმა ქალაქის შუაგულში შემოაღწიეს, ბარძიმოსნები ქუჩებს მოედნენ და გვარდიელთა და დედალოსანთა თრგუნვას მიჰყვეს ხელი.

ყველა ერთმანეთს ებრძოდა და მთავარი შეტაკება პავლიწონ მზიურის მოედანზე წამოეწყოთ. იქ იყო ურთიერთტყვევნა და შაშხანაც გაისროდა ხოლმე. მებრძოლებს გადაეწყვიტათ, რომ მთავარი მოწინააღმდეგის დატყვევება იყო და ზოგჯერ ისე გამოდიოდა, რომ ტუსაღები აღემატებოდნენ მატყვევართ და პირაქეთ დაატყვევებდნენ ხოლმე.

ჯორიღლეტიას გვარდიელები იოლად ელეოდნენ საბძოლო საჭურველს და მოედნიდან ისე მიილალებოდნენ, რომ თან გზადშეხვედრილ საჭირო ნივთებსაც გაიყოლებდნენ, ანდა იქავე მიმალავდნენ შედარებით საიმედოდ.

თუმცა, ბრძოლა ამით არ განელებულა.

ბარძიმოსნებმა და დროგებით მოქრიალე აფსუსელებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს. ამას ისიც დაერთო, რომ ამ უკანასკნელთ ცხენები ვერ დააწყნარეს და დროგებმა რაიმე გარკვეული საბრძოლო მდგომარეობის შემაგრება ვერ მოახერხეს. ბარძიმოსანთა და მედროგეთა შუა კი სულეიმან მარჩბივის ხალხი გაიჭყლიტა.

— ბარძიმი სადაა? წმინდა ბარძიმი? — შეშლილივით დაქროდა იაკინთე ბორიაყი.

პასუხი არ იყო. გარშემო ვიღაცები დარბოდნენ. მწუხრის პირი იდგა და საკაცე არსად ჩანდა. ბორიაყი აღმა ქუჩისკენ გაიქცა, გაედევნა ხალხის ნაკადს.

მოედანზე გაპირველებული აფსუსელთა დროგები ხორასან გედამბარელის ნაძეგლარის გარშემო დაგრიალებდნენ უაზროდ. ცოცხალა ჩინარის ხეს აჰკვროდა, ნაცნობ დანას ათამაშებდა თითებში და თითქმის არ სუნთქავდა. ის აკვირდებოდა დროგების უთავბოლო ქროლვას და ელოდა, როდის ჩამოატარებდა ბედი რომელიმე დროგს ჩინარის გასწვრივ.

მის ფეხებთან კი ტყვიასავით მძიმე მოთბო ყუთი იდო.

ოპ! დანა ზურგში და შლეგიანი აფსუსელი უკვე ძირს ეგდო. კოფოზე შემხტარმა მიმოიხედა. არავის შეუმჩნევია.

ცოცხალა ჩამოქვეითდა და ხეს მოფარებულ ყუთს დასწვდა. მართლა რამსიმძიმე იყო.

ქურდმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი გადარეული ხმებით აშლილ მოედანს და აღვირი შეარხია. ბნელშერეული ქუჩებისკენ დაძრა, ერთი გადაუჭირა ცხენს და გადაწყვიტა, ახალ ტყეებს შევაფარებ თავსო.

აღმა ქუჩაზე რომ გააჭენა, კინაღამ არ იყო, ვიღაც ხელჩანთიანი კაცი იმსხვერპლა. ეტყობა, ამ უკანასკნელმა ცხენის ფლოქვების ხმა კი ვერ გაიგონა ღრმა ჩაფიქრების, ანდა თანდაყოლილი სიყრუის გამო.

გზად შემოფეთებულმა შეჰყვირა და განზე გახტა, ცოცხალამაც წამით მოზიდა აღვირი, მაგრამ ყოველგვარი შეყოვნება უადგილოდ თუ დაინახა და ცხენს უწივლა ისე, რომ აღარც უფიქრია, ვაითუ ვინმე გადავსრისეო.

დროგმა გზა განაგრძო, უცნობი კი შუა ქუჩაზე დარჩა მიგდებული.

ეს უცნობი ნაცნობი იყო: ნათან დედალოსი ერქვა. ნათანს არაფრისა შეშინებოდა და მთელი ეს ორომტრიალი განზეც დაეტოვებინა. როგორც გამოცდილ იატაკქვეშელს გაუჩინარების ოსტატობა არ გასცვეთოდა და ბოლო საათები მოხერხებულ ბინაზე გაეტარებინა, ერთ ბანოვანთან რომლის საიდუმლოდ ტრფობასაც მთელი რახილსახელური სიდუხჭირის მიუხედავად ახერხებდა. იქ შეემუშავებინა საიდუმლო გეგმა ბარძიმის საძებნად ქალაქიდან გაღწევისა და ახლა დასახულ ქუჩებით მიდიოდა.

— რა მოგივიდათ, ბატონო? — კაცი თითქოს მიწიდან ამოიზარდაო.

საიდან გაჩნდა ამ ალიაქოთში?

— ეტლი დამეჯახა, დასწყევლოს ღმერთმა, — წაიბურტყუნა ნათან დედალოსმა და სცადა, სახე მიემალა ქურთუკის სახელოს ქვეშ.

— ჩვენსა შემობრძანდით, ამოისუნთქეთ, — მკლავზე ხელი მოავლო უცნობმა.

— არა, ნუ სწუხდებით, ჩემს გზაზე წავალ. არაფერია.

— სამწუხაროდ, ვერსად წახვალთ, — თქვა კაცმა მშვიდად.

— რატომ? — დაფრთხა დედალოსი.

— უნდა გავისაუბროთ და თან რაღაცას მოვერიდოთ. მე ვიცი, ვინც ხართ.

— თქვენ თვითონ ვინა ბრძანდებით? მე...

— მე წარმოვადგენ შაითანბაზრის დემოკრატიული ოპოზიციის კომიტეტს, რომელსაც ბრიუსელში უდევს ბინა, — უთხრა კაცმა, — მე ემიგრანტთა შთამომავალი ვარ. ბაბუაჩემი არველოდ ალავერდი იყო. გუშინ ჩამოვედი, რათა თქვენ...

— არ გიცნობთ. რამდენი ჰყავდით ამ არველოდი ალავერდს? ვინც ჩამოდის, ყველა მის შთამომავლად ასაღებს თავს.

— ეს დიდი ადამიანის ხვედრია, — ამოიოხრა კაცმა.

— და ჩემგან რა გნებავთ?

— მე გამოვატანე იდუმალი თხზულება გლოჩესტერს თქვენთან. ერთად უნდა ამოვთხაროთ ლალოსან-გიშეროსანი.

რაღაც უცნაური ზუზუნი მოისმა: გაბმული, მძლავრი, შთამბეჭდავი. დედალოსი მოიბუზა და ცას ახედა. თითქოს ჩანდა რაღაც და არც ჩანდა.

— ისინი არიან, — თქვა უცნობმა.

— ვინ? — უაზროდ ჰკითხა დედალოსმა.

— რკინის ჩიტები... ზუსტად იმდენნი იქნებიან, რამდენიც ხომლელი რაინდი იყო. ხმაზე ასე ეტყობა.

— თვითმფრინავები? — ხმა ჩაუწყდა დედალოსს.

— კი. მოდიან, — თქვა კაცმა, — ამოდის, ნათდება!

პირველი სეზონის დასასრული

ტიტრები

სწორედ ამ დროს მოისმა კაკუნის ხმა.

სულო ურბანელი ისე წამოდგა, თვალები არ გაუხელია.

— ვინ ეშმაკია, — რევოლვერი იძრო ტარსაიჭმა, — ფოუ სხვაგვარად დაკაკუნებდა. მოიცა, მოხუცო...

არქივის გამგებელმა გასაღებების ასხმულა ააჩხრიალა და აბულასანს სულ სხვანაირად გაახსენდა, რა იყო ალბერვილის სახლი. სწორედ ასეთი ხმა ისმოდა ხოლმე დერეფნიდან.

— ჩუ-ჩუ. ვინ უნდა იყოს? თუ ჯარია, კაკუნს არავინ მოჰყვებოდა. წიგნთსაცავში, ნაშუაღამევს... ჩუმად, ვითომ დაკეტილია...

— ვინ ხარ? — იკითხა თვალდახუჭულმა ურბნელმა.

— მე მინდა... სად არის ფონ ტრონკას საფლავი ამ ქალაქში?

— მოიცა, — ტარსაიჭმა რევოლვერი კარს დააღერა და წაიჩურჩულა, — გააღე.

ზღურბლზე, იმ ბნელში იდგა ჰერცოგი გლოჩესტერი.

— ფონ ტრონკას, — ჰერცოგმა რევოლვერი დაინახა, — ჰმ...

— შემოდით, — თქვა ტარსაიჭმა და დაიძახა, — ასიკო ასურასტანი გაკლიათ და სამი მუშკეტერი იქნებოდით. ბატონო ილია, გესმით ჩემი?

აბულასანმა სკამიდან წამოიწია. სულო ურბანელმა კარი გადარაზა.

— თქვენი თვითმფრინავი ველარ აფრინდა? — ჰკითხა ტარსაიჭმა ჰერცოგს.

— რომელი ჩვენი თვითმფრინავი?

— რომელიც გყავთ.

— არ ვიცი. მე... მე მამაჩემის საფლავს ვეძებ. აქაურობა უყვარდა. ჩამოვედი და საფლავს ვერ ვპოულობ.

ტარსაიჭმა აბულასანს გამოხედა.

— თქვენ ჰერცოგი გლოჩესტერი არ ხართ?

— ვინ? — იკითხა ჰერცოგმა.

— ჰერცოგი გლოჩესტერი.

— ა... არ ვიცი, სამწუხაროდ. მამაჩემის საფლავს ვეძებ. ადრე ჩამოსვლა ვერ შევძელი.

პირველი სეზონის დასასრული

ალა დათუკიშვილი

* * *

სახეს გილეწავს თებერვლის ყინვა,
ტოვებ ხმელ თოვლზე თითის ნაკვალევს,
ისევ ტრამალის მგელივით გმინავ,
და ბოლთასა სცემ,
ზამთარს რა გალევს.
რა მეჩხერია უმთვარო ზეცა,
რა უსულოა ხეები ფითრის,
ნისლი დათოვლილ ხეობებს კეცავს,
და ხეებზე მეტ ნატყვიარს ითვლი.
ჩეჩნის ქალები ცრემლის ქარვებით
ღამით დანამულ ნაწნავს იჭრიან,
მათთან ყოფნას რომ ღმერთი არჩია,
ეს ის შავთვალა მელხი ბიჭია.
ლეწავს ხეობებს თებერვლის ყინვა,
ტოვებ ფურცლებზე სისხლის ნაკვალევს,
შენ სხეულს სწირავ, რომ სული იშვას,
სულს ვინც სწირავენ,
იმათ რა დალევს...
ღმერთო,
უმსხვერპლოდ არაფერია.

* * *

გარეთ თოვლია და ისევ მინუსია,
შიმშილს შეუშლია სველი ბეღურები,
ცვივა საფანტების მთელი ილუზია,
ვაი, კიდევ კარგი აქ არ მეგულები.
ქალაქს ეწირება ტრანსი სხეულები,
თმები განრისხებულ შივას ხელებია,
ხომ გეუბნებოდი, ახლაც გეუბნები,
ვისაც არ ახსოვდი, ფეხ-ქვეშ გეგებიან.
ეგებ ავიტანო, ტვირთი გორაკებზე,
თორემ მწვერვალები ღმერთის ტახტებია,
განა უვიცებმა თავი მოაბეზრეს,
არა,
პოეტები მიტომ არ ხტებიან,
ღია ფანჯრებიდან, თოფის ლულებია,
ლოლოების მწკრივში დენთის ნაფაზია,
დიახ, წეროები უკან ბრუნდებიან,
კაცი, არ ბრუნდება, თავს თუ გააღწია.
გარეთ თოვლია და ალბათ
ვირუსია.

* * *

ღამე — პნევმატური თავბრუსხვევა,
მთვარე — რძიანი ოპიუმი,
სეტყვა — ალქაჯების განრისხება,
ბნელი საფლავების პოდიუმი.
ქალი — ქუსლიანი ფეხსაცმელი,
მკერდი — ნამიანი ქრიზანთემა,
ფიქრი — არეული მიზანთროპი,
ტრასა — ტრანსების მიზანსცენა.
თაროზე სხეულის ნაწილები,
ტკივილი, სირცხვილით გაყურსული,
ასეთი მარტივად აგებული
ძვალთა მფლობელია რადგან სული.
დილა — უშენოდ მოთრეული,
ხედები ათასჯერ განახედი,
მე — შენი თარსი ორეული,
სიკვდილს რომ ყელზე დავადექი.
ღამე,
პნევმონია,
თავბრუსხვევა.

* * *

დიდი ხანია არაფერი გამხარებია,
ცხოვრებასავით სიხარულიც სადღაც მთავრდება,
ახლა თვალები ეს, დეკემბრის ვარსკვლავებია,
უკითხავად რომ შეიფარა ზეცამ თავნებამ.
თოვლი კი არა, შენი სული ჩამოწვა ციდან,
გომბორის კალთებს მოეხვია როგორც ნაბადი,
ყველა მერცხალი სიცივიდან რა შორს გაფრინდა,
მე ისევ იქ ვარ, დიდი ხნის წინ სულს რომ ვღაფავდი.
შენც ჩემო, ალბათ არაფერი არ გიხარია,
გარდა იმის, რომ შეგიცნობენ, დღემდე სულ ელი,
ცის ქვეშ უკვამლოდ შებოლილი ზამთრის ღამეა,
და ქვები უფრო ხილვადია, ვიდრე სულები.
დიდი ხანია,
სამწუხაროდ,
დიდი ხანია...

* * *

თორმეტჯერ უფრო იოლია ახლა სიკვდილი,
მე თორმეტთაგან თორმეტივე ღამემ გამყიდა,
ვდგავარ უდაბნოს სიცხეში და მზეებს მივტირი,
ჰო, ჰაშიშიდან,
კუმისიდან,
გნებავთ არყიდან,
იბადებიან სტრიქონები არც არავისთვის,
და არც არავის თანაგრძნობა ახლა არ მინდა,
მთელი ეს ტვირთი რა ბევრია ერთი ქალისთვის,
რა ძალა გინდა ყოველ თორმეტს შეხვდე თავიდან.
ტანზე შემშრალი უშენობის მხურავს მანტია,
მკლავზე მიბმული ფალკონივით ზეცას მივკივი,
ჰო, დედაჩემო, მე თორმეტი დამღა მატყვია,
და ცოცხალი ვარ, არა არის რადგან სიკვდილი!
თორმეტჯერ უფრო იოლია თუმცა კი ახლა.

* * *

იყო გადაღლილი, ქუჩა ნაგვიანი,
ცეცხლი ინთებოდა, როგორც ანათემა,
იდგა მეეზოვე, დილაადრიანად,
ლოთებს წყევლიდა და ძაღლებს ამართლებდა.
ცოცხი მიაყოლა პატარა რომალეს,
როცა ნაგვის ყუთში ქექა ძაღლის ლუკმა,
ჩვენ კი მეეზოვეს ეს ცოცხი მოვპარეთ,
უცებ მივუმალეთ დიდი კარის უკან.
მერე თეიმურაზს სახეზე ეფინა
ბავშვივით ლაღი და გულწრფელი ღიმილი
და დაუმთავრებელ სასტუმროს სხვენიდან,
განთიადს ვესროლეთ ვარდების გვირგვინი.
იყო გადაღლილი, ქუჩა ნაგვიანი,
იდგა შავი რენჯი, როგორც ანათემა,
დადის მეეზოვე ახლა დარდიანი,
თურმე გვტირის ხოლმე, როცა დაღამდება.

თორნიკე გოგნიაშვილი

ნაცრისფერი მტევანი

საოცრად ცივი წვიმები იყო იმ წელს თბილისში, ისნის რაიონი ერთიანად გაყინა, ამღვრეულმა წყალმა აივნები ნაცრისფრად შეღება და ქუჩაში ორმოები ტალახით ამოავსო. გზებზე მიმოფანტული ნაგავი სულ ერთად მოაქუჩა ბარდიურებთან. კორპუსის კედლებისთვის რომ შეგეხედათ, იფიქრებდით, საგანგებოდ ჩაამუქესო.

მთელი წელი ცივი იყო, განსაკუთრებით შემოდგომა. შეიარაღებული ბანდების შიშით გარეთ ისედაც ხომ ვერავინ გადიოდა და სიცივემ უფრო ჩაკეტა ხალხი ბინებში. მხოლოდ კაკილაშვილისთვის არ იყო არც ბანდა და არც ყინვა. ისე დააბიჯებდა ტალახიან გზებზე, როგორც ომმოგებული გენერალი, ჯიბეში ხელებჩაწყობილი, თავდახრილი, ჩქარი ნაბიჯით დადიოდა ყოველთვის. შავ თმაზე, რამდენიმეგან ჭაღარა შერეოდა, საყელოაწეული, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით მიაბიჯებდა დუქნიდან სახლისკენ. ყოველ დილით სტუმრობდა სომხების სამიკიტნოს და საღამოობით მთვრალი რომ ბრუნდებოდა, ყოველთვის აჩერებდა მილიცია. მათი თეთრი „ჟიგული“ იყო მთელი უბნის დაცვა. თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდნენ, მაგრამ ეგეც დიდი ნუგეში იყო, ბედის ანაბარა მიგდებული ხალხისთვის. თანაც კაკილაშვილი მთელ ისანს იცნობდა, რწმუნებულზე დიდი სახელიც კი ჰქონდა უბანში. იცოდა, ვინ ვისთან და რატომ იჩხუბა, ვინ ვისთან წააგო ფული თვითონაც უყვარდა ყომარი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ნაბახუსევი იყო. ასე ამბობდა, თამაში თავის ტკივილს მავიწყებსო. დაჯდებოდა დუქანში შესვლამდე დილაუთენია და დაიწყებდა კარტის რიგებას უბნის ლაწირაკებისთვის. კაკილაშვილი უფროსი იყო და ყველა უჯერებდა. ღამღამობით, გზად რომ ფათერაკები ხდებოდა, იმასაც უყვებოდა ბავშვებს. ყველას სჯეროდა მისი, მარტო მაღაზიების მეპატრონეები ვერ იტანდნენ ვალების გამო. წაიღებდა არაყს, სურსათს და დაიკარგებოდა თვეობით. სახლში რომ ვერ პოულობდნენ, მერე სამიკიტნოებში უწყებდნენ ძებნას. ერთხელ სამართალდამცავებთან შელაპარაკებისას, ერთმა გამხდარმა მილიციელმა მიაძახა, მუქთახორა და ლოთი ხარო. ამის გამო დანით დაჭრა ის მილიციელი — მომცრო ზომის, ყავისფერი, რუსული დანა პირდაპირ ბარძაყში გაურჭო. საწყალი მილიციელის სახემ სამი ფერი გამოიცვალა, გამწვანდა, გალურჯდა, გაშავდა. ამის გამო კაკილაშვილი წინასწარი დაკავების საკანში ორი თვე აყურყუტეს, ბოლოს ძმაკაცებმა ფული შეუგროვეს და გირაოთი გამოვიდა. ისედაც გამხდარი სხეული უფრო ჩამოუდნა, გაფერმკრთალდა, დაშინდა, გაილია. ქუჩაში უფრო იშვიათად ჩნდებოდა, ყველაფერს მალავდა, წუხდა, ვეღარც სასმელთან იყო ისეთი თამამი, სევდანარევი საუბარიც შეეპარა, მიეჩვია მარტოობას, გერდასაც ვეღარ უგებდა, მასშიც საფრთხეს ხედავდა. გერდა მაღაზიაში გაიცნო, მაშინვე დაუახლოვდა. გაცნობისთანავე ყველაფერში მას ეძებდა, საკუთარი სურვილები დაივიწყა, მისთვის ცხოვრობდა, მხოლოდ მისი სახლისკენ მიმავალ ქუჩაზე ხედავდა სინათლეს.

პატარა სასჯელმაც კი შეცვალა კაკილაშვილი. ისე გახდა, ბეჭედსაც ვეღარ იჩერებდა თითზე, უვარდებოდა, სძვრებოდა. რამდენჯერმე ტალახში ჩაუვარდა, ვერცხლის სამკაულმა შავი ფერი მიიღო — დამახინჯდა კაკილაშვილის სულივით. რაღაც დაუფარავმა ნაღველმა მოიცვა მისი გონება, წამლისკენაც გაიხედა, მაგრამ მიკარება ვერ გაბედა, ისევ სასმელი არჩია. ბევრი ყოყმანის შემდეგ, ისევ მიაშურა ნაცნობ სამიკიტნოს. ძველებურად მიიღეს, ზუსტად ისე, როგორც ერთგულ კლიენტს ეკადრებოდა. ახლადმობრუნებულს ორი ბოთლი უსასყიდლოდაც კი მიუტანეს, აგრძნობინეს, რამდენს ნიშნავდა მათთვის ერთგული კლიენტები. კაკილაშვილი ბეჭდიანი ხელით ასხამდა არაყს. სიცილისას, ვერცხლის სამი კბილი, რკინის ლანგარზე შუქს ტოვებდა, სხივები ირეკლებოდნენ და მერე იკარგებოდნენ სადღაც.

— როგორ შეგაშინეს, მაგ ძაღლისნაშიერებმა ჰა! — გამოექომაგა ერთხელ მედუქნე.

— შემაშინეს არა, ტო. ვინ შეაშინეს?! მე, არა, ტო, — იკვირვებდა კაკილაშვილი.

— ეჰ, მაგათ ოღონდ ფული იშოვონ.

— ჰო, ღორები.

— ნაბიჭვრები!

— ეგ ბოზები! ყველაფერს კადრულობენ!

— იდიოტები არიან! — მედუქნეს, მაგიდებზე გაწოლილი შარაფისტებიც აჰყვნენ, მხარი აუბეს. კაკილაშვილს მათ დანახვაზე იმედი ეძლეოდა, ძალას იკრებდა, ნელ-ნელა შიშიც ავიწყდებოდა და ქარისთვის გატანებული ფულიც. ჭიქის დანახვამ უფრო გაახალისა, თითქოს ბეჭედმაც დაიწყო თითზე გამაგრება, თვალები სინათლით აევსო, მხრებში გაიშალა, აღარც მილიცია სძულდა ისე ძალიან და აღარც ის ეშმასეული შეიარაღებული ბანდები.

რამდენიმე თვე კიდევ გააგრძელა სმა და ბოლოს იქცა კიდეც „არამიანცის“ ერთგულ პაციენტად. გადასხმას გადასხმაზე უკეთებდნენ. მთელი საძმაკაცო ეხვეწებოდა, აღარ დაელია, მაგრამ ფხიზლდებოდა თუ არა, ისევ

ნაცნობი ადგილისკენ მიიწევდა. გერდასაც იშვიათად ნახულობდა. აღარავის იკარებდა, ყველას გაურბოდა.

ერთ დილას სამიკიტნოსკენ მიმავალ გზაზე გადაეყარა ქალს... წყვილმა დიდხანს ისაუბრა. ბევრი რამ გაიხსენეს, კაკილაშვილი იმასაც დაპირდა, აღარ დავლევო, ათასი ზღაპარი მოუგონა, შეაგულიანა, დაამშვიდა. წასვლისას გერდამ უთხრა, ჩემს ძმას შეიარაღებული ხალხი აწუხებსო, თურმე ყოველდღე სთხოვდნენ ფულს, უთხრა რომ მთელი ხელფასი და დანაზოგი მათ წაართვეს. თურმე საშინელ შეურაცხყოფას აყენებდნენ, ლანძღავდნენ, აგინებდნენ, რამდენჯერმე ხელიც დაარტყეს, ემუქრებოდნენ, ფულს თუ ყოველ დღე არ მოგვცემ, სახლს გადაგიწვავთო.

კაკილაშვილის თვალებში ისევ შიშმა დაიბუდა, ისევ გაახსენდა ძველი მეგობარი — სიბრაზე! ბეჭედმა ისევ დაიწყო თითიდან მიწისკენ დაშვება, კვლავინდებურად საცოდავი შესახედი გახდა....

— შენი ძმა რას ამბობს?! — ჰკითხა ფერდაკარგულ სატრფოს.

— ჩემს ძმას რომ რამის თქმა შეეძლოს, შენ არ გეტყოდი, მათე!

— დავბრიდავ მაგათ! — დაიქადნა კაკილაშვილმა.

— საშიშია....

— მე არა ვარ საშიში?! ჩმორები არიან, ტო! გგონია, რამის ტრაკი აქვთ?! რატო მე ვერ მიბედავენ ვერაფერს?! — მათეს თავადაც არ სჯეროდა თავისი სიტყვების. იმიტომ არ უბედავდნენ, რომ წასართმევი არც არაფერი ჰქონდა. ვის სჭირდებოდა ერთი დაბეჩვებული ლოთი? რას წაიღებდნენ, ვერცხლის ბეჭდის გარდა არც ებადა არაფერი.

— დღესაც მოვლენ, ვიცი! ძალიან მეშინია, მათე! მილიცია მაგათ ვერ ეკარება და რა უნდა ვქნა, არ ვიცი, — გერდას ეშინოდა, ფულიც და თავისი ძმის სიცოცხლეც ერთად არ გათავებულიყო. მათეს გარდა არც ჰქონდა სხვა კედელი, რომ მისულიყო, მიყრდნობოდა. ეს მაღალი, გამხდარი, შარაფისტი მარიაჟა იყო მისი ერთადერთი იმედი.

მათე გერდასთან ახლოს მივიდა, მოეხვია, მერე გრძელი მკლავები მხრებზე დაიწყო, თვალებში შეხედა, გაუღიმა, თქმა კი ვერ გაბედა, მაგრამ სცადა, ეგრძნობინებინა, რამდენს ნიშნავდა მისთვის. ვერცხლის კბილები ისევ განათდა. თითქოს ერთდროულად დამშვიდდნენ. საუბარი მალე დაამთავრეს, ორივე თავის გზას გაუყვა. მათე სამიკიტნოს მაინც ესტუმრა, ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც აქამდე.

გერდას ნათქვამი მხოლოდ საღამოს გაახსენდა. ჯიბეებში სიგარეტი მოისინჯა, თავი მაღლა ასწია და მისი სახლისკენ წაბარბაცდა. მათეს ნაბიჯები... სიარულის გარდა ყველაფერს ჰგავდა, ისე უხეშად მოძრაობდა, ისე ზანტად. მიაბიჯებდა და ფრთებივით მიაფრიალებდა დამდნარ მკლავებს. ვიწრო შარვალსა და დაძონძილ პერანგში ყანიდან გამოძევებულ საფრთხობელას ჰგავდა. სიგარეტი გამოფუღრულ კბილში გაერჭო, უბედურად აქიცინებდა არყით გაბრუებულ თავს. არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ შიშისთვის იყო მის გონებაში ადგილი. მათემ იცოდა, რა საფრთხეშიც იგდებდა თავს, იცოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მთელი უბანი ელოდა მისგან გმირობას, გაჩერებას ვერც გერდა აპატიებდა და ვერც საკუთარი წარსული. კაკილაშვილმა ისე იცხოვრა, როგორც ნამდვილი ლოთები ცხოვრობენ. სამყაროს ხმებისთვის ფხიზელს არასოდეს უსმენია. არც ბევრი კითხვა ჰქონია, არც სურვილები. მხოლოდ ის უნდოდა გაეგო, რისთვის გაიმეტა საკუთარი თავი, ეს ამღვრეული და აჭრილი გზები რისთვის გამოიარა, ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ თავშესაფარი მოეძებნა? ვის გაურბოდა კაკილაშვილი, საკუთარ თავს?! თავადაც არ იცოდა.

გერდას სახლთან ორი დიდი ნაძვი იდგა. ერთზე განცხადებებს აკრავდნენ. თუ უბანში ვინმე რაიმეს ჰყიდდა ან რამე მნიშვნელოვანი ხდებოდა, იმ ნაძვზე წაიკითხავდით. მეორე ხე ქუჩის მშვენება იყო. მაღალი, ღრუბლებამდე აწვდილი კენწეროთი, ჭაობისფერი, წვრილი გირჩებითა და მერცხლის ბუდეებით სავსე. ბავშვები ქვებს რომ ესროდნენ, მერცხლების გუნდი ტოტებს ტოვებდა და ჰაერში იჭრებოდა. მათეს და გერდას მარადმწვანეების ქვეშ ხშირად უსაუბრიათ, ადრე ათენებდნენ კიდეც, სანამ კაკილაშვილი გალოთდებოდა. ყველაფერი უეცრად შეიცვალა, მათეს ცნობიერებამ ერთ წუთში იცვალა ფერი, ყველა გზა გამუქდა, ყველა ემოციამ დაკარგა სიმძაფრე.

იმ კორპუსთან, რომელშიც გერდა ცხოვრობდა, სიჩუმე იყო. მთელი სივრცე მდუმარებას ჩაეყლაპა. ჩაბნელებულ სადარბაზოდან შარდისა და მარიხუანას კვამლის სუნი გამოდიოდა. კიბის საფეხურები ტალახიანი და ალაგ-ალაგ დაბზარული იყო. კედლებზე ნახშირით ეწერა კორპუსის ბინადართა სახელები. სიგარეტისა და ასანთის ნამწვავები ბეტონის იატაკში გაჩენილ ბზარებს ავსებდა, ყველაფერს ეტყობოდა ცხოველური დროის კვალი. იმ დროის, რომელმაც ადამიანთა გონება სევდითა და დეპრესიით მოწამლა. მართალია, არც კაკილაშვილი და არც გერდა არ იყვნენ დეპრესიულები, მაგრამ გარემო მაინც ადნობდა მათი სულის სიმტკიცეს.

მათემ თითქმის სირბილით აიარა რვა სართული და ბოლოს დადგა, წამით გაირინდა, სუნთქვა შეიგუბა, გადაიხარა და ხელები მუხლებზე დაიწყო, თვალები დახუჭა, წინ გადადგა ერთი ნაბიჯი, მერე კედელს შეხედა, წელში გასწორდა, ბინის ნომერს შეავლო თვალი, მზერა მაღლა აიტანა, კარის თავზე გაჩენილ ბზარებს მიაჩერდა — ეტყობოდა, ტყვიები ჰქონდა მოხვედრილი...

რამდენჯერმე დააკაკუნა, მაგრამ კართან არავინ მოსულა. მერე ისევ სცადა და ისევ უშედეგოდ. სახელურს ხელი მოკიდა, ფრთხილად გადასწია, ისევ დახუჭა თვალები, სუნთქვა შეიგუბა, წინ წადგა ერთი ნაბიჯი და შავ სიცარიელეში ამოჰყო თავი.

სახლში ბნელოდა. ბნელოდა ყველგან, სადაც სიცოცხლის ძეგლი იდგა ოდესღაც. იყო შემზარავი მდუმარება და კაკილაშვილის მომლოდინე მზერა. მზერა, რომელიც სიბნელეში ისე იკარგებოდა, როგორც მერცხლები იკარგებიან ღრუბლებში შეღწევისას. სანთებელა რომ აანთო, ყველაფერი არეული დახვდა, ტელევიზორი გადმოგდებული, კარადები გადმოყრილი, ფარდები ჩამოხეული.... კედელთან მიგდებულ მაგიდაზე ვაჩეს, გერდას ძმის, ქურთუკი ეკიდა. მაგიდა რომ გადასწია და იატაკზე დაიხედა, სისხლის კვალი შეამჩნია. მაშინვე საძინებლისკენ გაიქცა. ნახევრადშეღებული კარი მხრით გააღო, სანთებელა გაატკაცუნა და ისევ დახუჭა თვალი. ამჯერად ყველაფერს ერთი ფასი დაედო, სიბნელესაც და სინათლესაც, ყველაფერი ერთმა, ცხოველურმა ფერმა ნაათრია ბუნაგისკენ.

გერდას და ვაჩეს დაცხრილული სხეულები საწოლზე ეყარა. საწოლზე ეგდო კაკილაშვილის იმედიც, ისიც დაცხრილული და სისხლიანი.

* * *

ამის შემდეგ კაკილაშვილი ერთი საათიც აღარ უნახავთ ფხიზელი. სამიკიტნოშიც ვეღარ ახერხებდა სიარულს, მეზობლები პურსა და არაყს აწვდიდნენ, სხვას არაფერს იკარებდა. ეგდო საწოლზე დამხობილი, კეფაზე ხელებშემოლაგებული და ტიროდა. ტიროდა, როგორც ლოთს შეეძლო. უხმოდ, შეუჩერებლად....

მხოლოდ ერთხელ წამოდგა საწოლიდან, ქარიან დღეს. ქუჩიდან ავტომატების სროლის ხმა რომ გაიგონა. ჯერ შეცბა, შიშმა აიტანა, მერე თითქოს გაიღიმა, რაღაც ჩაიბურტყუნა, სახეზე მოისვა ხელები, თმა შეისწორა, სამზარეულოდან ყასაბის გრძელი დანა გამოიტანა და აუჩქარებლად წაიწია კარისკენ. მიდიოდა მშვიდად, შიშისა და ზედმეტი მოლოდინის გარეშე. იცოდა, რისთვისაც მიდიოდა, ცხოვრებაში პირველად იწამა საკუთარი თავის. გზადაგზა ეღიმებოდა, თავისუფალ მუჭს კუმშავდა, მერე ისევ შლიდა, ჩერდებოდა, ქარს ყურს უგდებდა. იხსენებდა ნაძვებიან ქუჩას, გერდას თხელ თმას, უბნის ლაწირაკებს, მაგრამ არ ფიქრობდა სამიკიტნოზე, არც მის კლიენტებზე, არც არაყზე და არც იმ საღამოზე, როცა გერდასა და ვაჩეს ცხედრები ნახა. ეს მოგონებები ცხადად ედგა თვალწინ. ყველაფერი იმდენად რეალური ჩანდა, როგორც მათეს სიყვარული სასმელისადმი. ახსენდებოდა ერთი დღე, გერდას იუბილე, ხალხმრავალი სუფრა, ძველი ფრანგული შანსონი და რაღაც სულ უბრალო ნახატი, რომელზეც ყურძნის ერთი მტევანი ეხატა. რატომ აგონდებოდა, არ უწყოდა, მაგრამ ნათლად კი ხედავდა იმ ნახატს.

— ეს რქაწითელია სურათზე? — იკითხა ერთ-ერთმა სტუმარმა.

— ჰგავს, მაგრამ, არა მგონია, რქაწითელი იყოს! — ჩაილაპარაკა კაკილაშვილმა თავისთვის.

— არ ვიცი, რა ჯიშია?! — თქვა გერდამ.

— რქაწითელია!

— არ არის!

— როგორ არა! გეუბნები რქაწითელია!

— საიდან იცი?! — ახმაურდა მაგიდა.

მტევანს თვალს არ აცილებდა კაკილაშვილი. იმ ყურძნის მარცვლებში სამყაროს ხედავდა თითქოს. იმ ერთ ნახატზე მთელი სამყარო გადმოეტანათ, ყველაფერს იტევდა, ყველა კითხვაზე ჰქონდა პასუხი. ერთ დღეს მუჭით გაწურავდნენ ლამაზ მტევანს, მარცვლებიდან ოკეანეები გადმოიღვრებოდნენ და ყველა ბოროტებას წალეკავდნენ შეიარაღებული ბანდების ჩათვლით.

— რა ყურძენია, მაინც არ ვიცი! რქაწითელს არ ჰგავს! — ბურტყუნებდა კაკილაშვილი.

— ეს ყურძენი სიყვარულია, მათე! — ჩაილაპარაკა გერდამ, — ჩვენი სიყვარული! მე ასე ვხედავ!

* * *

კაკილაშვილი ხროვას მიუახლოვდა, ავტომატიანებს თვალი შეავლო, თავი შეიმაგრა, რომ არ წაქცეულიყო, სახეზე ისევ მოისვა ცივი ხელები. მერე ერთ-ერთი მათგანი ამოირჩია, გვერდით ამოუდგა, ღრმად ამოისუნთქა, გაირინდა.

— ვინ არის ეს ღორი, იცნობთ?! — იკითხა ყველაზე დაბალმა.

— ბრაძიაგაა, ვერ უყურებ?! — ახმაურდა ჭაღარათმიანი, რომელიც ხროვას ოდნავ მოშორებოდა.

— რას დაეთრევა მერე?!

— ვესროლოთ?!

— არა, დაიცადე! — აღრიალდა ბრბო.

— რად გვინდა ამის ჩაძაღლება?! მივაფსათ და მოვაშოროთ!

— დაიცადე, რა უნდა მიაფსა! ძლივს დგას! ხომ ხედავ, ვერ ლაპარაკობს!

მათე ერთხანს ჩუმად იდგა. მერე იმას, გვერდით რომ ედგა, ხელი მოკიდა და თავისკენ წამოსწია ოდნავ. ჯოგი აიშალა, ავტომატები შემართეს, სროლა დააპირეს... აქ დაარღვია კაკილაშვილმა დუმილი:

— მოითმინეთ, ვაჟკაცებო! მე ერთი ლოთი კაცი ვარ, არაფერს დაგიშავებთ!

— ვის რა უნდა დაუშავო შენ?! ჰა, ბიჭო?! წაეთრიე სახლში!

— რა უნდა?!

— მოვკლათ! — აყვირდნენ ისევ.

— არაფერი მინდა, აქ ცოტა ხნის წინ და-ძმა დახოცეს თავიანთ ბინაში.

— ჰო, მერე?! — გამოეყო ჯოგს ყველაზე მაღალი, ავტომატი მხარზე შემოიდო, საზარლად დააბრიალა ცეცხლისფერი თვალები.

— ვინ დახოცა?! — მათე ისე უჭერდა, სახელოში შემალულლ დანას ხელს, რომ თითები დაიჭრა.

— ამდენს რატომ ალაპარაკებთ?! მოვკლათ! — დაიყვირა ყველაზე დაბალმა.

— დაიცადე, რა! — ჭაღარათმიანმა დაბალი უკან გასწია და მათეს კისერში მოკიდა ხელი, ოდნავ მოაცილა ჯოგს.

— რას აპირებს?!

— მოკლავს!

— დედას უტირებს, — ისევ აენთო ბრბო.

— დავუშვათ, მე ვესროლე! ორივეს! ფული არ მოჰქონდა იმ ღორიშვილს და მოვკალი! მერე უკმაყოფილო ხარ?! — გადაიხარხარა ჭაღარათმიანმა.

— სამშობლოს ასე სჭირდებოდა! — დაიყვირა მაღალმა. დანარჩენებიც ახმაურდნენ. ჰაერში ისროლეს რამდენიმე ტყვია. ახარხარდნენ. გამხიარულდნენ.

მერე მათემ ის გააკეთა, რაც კაცს უნდა ექნა. მკლავიდან დანა გამოაძვრინა და ჭაღარათმიანს თავში ჩაარჭო. ჯოგის წევრი უსულოდ დაეცა მინაზე. კაკილაშვილმა ვერც გაიგო, რომ რამდენიმე ავტომატმა ერთდროულად გაისროლა. სისხლით შეიღება გაშავებული ქუჩა. ყველაფერი ისე გათავდა, როგორც მათეს სურდა. ჰო, მას სურდა ასე სიკვდილი. მშვიდი და ვაჟკაცური, ისეთი სიკვდილი, როგორზეც ლოთები ოცნებობენ.

სამიკიტნოში დიდხანს საუბრობდნენ ამ ამბავზე, დიდხანს ახსოვდათ. განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ყვებოდნენ და ამაყობდნენ კაკილაშვილის საქციელით. ლოთები თვლიდნენ, რომ ეს იყო ყველაზე მართალი სიკვდილი, რომელიც სულაც არ ჰგავდა ურჩხულს.

არც მათეს და არც გერდას სახლს აღარ გაკარებია არავინ. იქ ყველაფერი ნაცრისფერმა კვამლმა შთანთქა. ყველა ნივთი, ყველა წამი, რომელშიც ერთ დროს სიცოცხლის სანთელი ენთო, ნაცრისფერმა კვალმა ამოავსო. წარსულის ჭაში ჩაყრილი დღეებიც დაცარიელდა, გაილია, როგორც მდინარეები ილევა გვალვების დროს. ნახატი კი ისევ უცვლელად ეკიდა გერდას ბინაში, ის მტევნები ისევ არ აპირებდნენ გახეთქვას, არ ჩანდნენ გადმოღვრილი ოკეანეები და ბოროტების ნაძვებიც ისევ აშრიალებდნენ მარადმწვანე წიწვებს.

ლაშა მილორავა

მოცემულობა

„...ტელეეკრანებზე თქვენ ახლა ხედავთ ერთი კვირის წინ დაკარგული დიანა ორღანოვას ნაწამებ სხეულს, რომელიც რამდენიმე საათის წინ მდინარე მტკვარმა გამორიყა. დიანა ორღანოვა სახლიდან 11 აგვისტოს, საღამოს შვიდ საათზე გავიდა და მას შემდეგ არავის უნახავს. ბოლო ერთი თვის განმავლობაში უკვე ოთხი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოძიებას აწარმოებს, თუმცა ოფიციალურ განცხადებას ჯერ არ აკეთებს. არის ეჭვი, რომ ოთხივე დანაშაული ერთი და იგივე ადამიანის ჩადენილია...“

— ძმობას გაფიცებ, ახლა მაინც გამორთე, რა. შენი დაბადების დღეა ბოლო-ბოლო... — მეუბნება თემო.

— მართალს გეუბნება, მომე პულტი, — ერთვება დემე.

— მაცადეთ, დამთავრდება გადაცემა და გამოვრთავ, ხო, — ვეუბნები ორივეს.

— მომე-მეთქი...

— მოკლედ, პატივცემულო ნიკუშას მეგობრებო, ბოლოს და ბოლოს, ტრაგიკული ამბებისა და ამინდის პროგნოზის მოსმენის შემდეგ, დრო დადგა, ჩვენი იუბილარის, თავად ნიკუშას სადღეგრძელო შევსვათ. ბევრ თქვენგანს ვიცნობ, ბევრს დღეს გაგიცნობთ. ჰოდა, სწორედ ასეთების საყურადღებოდ მინდა, ერთი რამ ვთქვა — ამ ჩვენს დარეკილს ღრმა ბავშვობიდან ვიცნობ. ორი წლიდან, მგონი, ჰა? — მიყურებს თემო.

თავს ვუქნევ.

— ისე დაემთხვა, ერთ ბაღში მიგვიყვანეს მშობლებმა. როგორც მასწავლებლები ამბობდნენ, თავიდანვე ბანდა შეგვიკრავს, ორი კაცისგან შემდგარი. თამაშით ხო სულ ერთად ვთამაშობდით, ჭამის დროსაც კონსესუსამდე მივედით — მე ხახვს ვერ ვიტანდი, ნიკა ქიშმიშს. ჰოდა, ჩემს გაროხის სუპს ეს ჭამდა, ამის ქიშმიშიან ბრინჯს — მე. სკოლაშიც ერთად მოვხვდით, ერთ კლასში, სულ ბოლო მერხებზე ვისხედით და გოგოებს კისერში სახაზავს ვურტყამდით, — იცინის, —11 წელი ერთად ვისწავლეთ, ბოზებში ერთად ვიყავით, პლანი პირველად ერთად მოვწიეთ. ეს რო ნაშებს აყრიდა, ჩემთან ამოყავდა ხოლმე. პირველი ტატუც კი ერთად გავიკეთეთ. სხვადასხვა უნივერსიტეტში ჩავაბარეთ, მარა თითქმის მთელი დღე მაინც ერთად ვეყარეთ. ჟურნალში მუშაობაც ნიკამ დამაწყებინა, რისთვისაც დიდი მადლობა მას, — თავს მიხრის, — ნიკას ყველა მეგობარი ჩემი მეგობარია, ნიკას ყველა მტერი — ჩემიცაა. ვინც კარგად არ იცნობთ, რჩევას მოგცემთ — ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამის ასეთ სტრანნი გამოხტომებს, უჩვეულო ქცევებს. ბავშვობიდან ასეთი იყო. უბრალოდ შეეგუეთ და მიხვდებით, თუ რა კარგ და ჭეშმარიტად დიდ ადამიანთან გაქვთ საქმე. ჰოდა, მოდი, ამ ჭიქით ნიკას გაუმარჯოს. ადამიანს, რომელსაც ბევრ რამეს ვუმადლი, მუდამ გვერდში დავუდგები და იმედი მაქვს, თვითონაც ასე ფიქრობს, — მიყურებს და იცინის, — გაგიმარჯოს, ძმაო!

— გაგიმარჯოს, ნიკუშ!

— ღმერთმა სულ ჯანმრთელად გამყოფოს.

— ყველა ის მიზანი განგეხორციელებინოს, რომელიც დაგისახავს.

— გაგიმარჯოს!

ერთ საათში ყველა დათვრა. თემოს იქვე, ტელევიზორთან, დივანზე მიეძინა. არ მიყვარს ეს ყველაფერი — დაბადების დღის გადახდები, სადღეგრძელოები, ყალბი თავაზიანობა და კიდევ უფრო ყალბი სიყვარულის გამოვლინება. ესეც თემოს იდეა იყო, ოცდახუთის ყოველდღე ხომ არ ხდებიო. სწორედაც რომ არა. და ის ერთი დღეც მშვიდად ყოფნა მირჩევნია...

— შეიძლება? — მეკითხება ანი. თავიდან ვერ ვხვდები, რას გულისხმობს, რამდენიმე წამში ვაცნობიერებ, რომ ჩემს გვერდით დაჯდომა უნდა.

— რა თქმა უნდა, — ვუღიმი და ტახტიდან ბალიშს ვიღებ.

— რატო ხარ მოწყენილი?

ანი რამდენიმე თვის წინ გავიცანი, სტაჟიორად მუშაობს ჩვენს ჟურნალში. „რედაქტორის ნათლულია“, მახსენდება გოგას, — სპორტული განყოფილების ხელმძღვანელის სიტყვები.

— არაა, — ყალბად ვუღიმი, — უბრალოდ გადავიღალე.

— მე ძალიან მომწონს შენი სტატიები.

„მე — არა“, ვაპირებდი მეთქვა, პირიც გავაღე, თუმცა ბოლო წამს გაჩუმება ვამჯობინე.

— დიდი მადლობა.

— მართლაა, — ბოლო ასოს წელავს, — აი, ის, ზოლაზე, ძალიან სახალისო იყო.

„სახალისო?“, — ვფიქრობ.

— ჰო, მაგას არა უშავს.

— მეც ვწერ რაღაცებს, — მეუბნება მორცხვად.

— რთული მისახვედრი არ არის, — თქმის შემდეგ ვაცნობიერებ, რომ ეს სიტყვები მხოლოდ და მხოლოდ ფიქრის დონეზე უნდა დარჩენილიყო.

— ხიხიხი, — იმდენად არაბუნებრივად იცინის, წამით ვფიქრობ, მძინავს, — თუმცა არ ვაპირებ სულ ამ საქმეს გავყვე. მსახიობობა მინდა.

— მართლა? მშვენიერია. თეატრის თუ კინოს?

— რაა?

მეთქი, ვერ გაიგო. ვუმეორებ:

— თეატრის თუ კინოს მსახიობობა?

— უმმ, კინოს, რა თქმა უნდა.

ბოლო სამ სიტყვას ისე ხაზგასმით ამბობს, ადვილი მისახვედრია — კინოს გარდა მისთვის მსახიობი სხვა რამესთან არ ასოცირდება. ვფიქრობდი, უეჭველი ჰოლივუდს უმიზნებს.

— რა ჟანრის ფილმები მოგწონს?

— უმმ, ყუელა ალბათ, — ასე ამბობს — „ყუელა“, — თუმცა, ძირითადად, დრამები და მელოდრამები მიზიდავს. საშინელებებს, ფანტასტიკებს და სროლებს ვერ ვიტან, ხიხი, — ისევ ეს სიცილი.

— გასაგებია.

— „გახსოვდე“, იცი ასეთი ფილმი? ან „არასოდეს გამიშვა“.

— აჰამ.

— აი, ვგიჟდები ორივეზე. ახლა ძალიან გაპაპსავდა, მე ეგენი თავიდანვე მიყვარდა. ენდრიუ გარფილდი რა დუშკაა, არა? ახლა, მგონი, ცოტა გასუქდა, მარა ფილმში ძალიან საყვარელია. იცოდი, ეგ და ემა ერთად რო არიან?

— რომელი ემა? — თან საათს ვუყურებ. პირველი დაიწყო.

— უოთსონი.

— ეჭვი მეპარება, — რაღაც, მართლა არ მეჯერა.

— უიმე, უოთსონი კი არა, სტოუნი, ხიხი, — თავს უკან აგდებს, იცინის. ლამაზი ყელი აქვს, — რამ გამომაშტერა?!

— ღვინომ, ალბათ, — ვამბობ ჩუმად.

— რა მითხარი?

— არაფერი. ნებისმიერს შეიძლება აერიოს.

— ხოო. აი, მე თუ მართლა მივაღწიე წარმატებას და ჰოლივუდში მოვხვდი, — სერიოზულად ამბობს. ამბიციადაც კი ვერ მიიჩნევ, იმდენად დარწმუნებულია საკუთარ თავში, — არასდროს ვითამაშებ ისეთ ფილმში, რომელშიც ჩემი როლი არ მომწონს. სულ რო ოცი მილიონი გადამიხადონ...

მეთქი, ყოჩაღ, პრინციპები.

— ეროტიკულ ფილმებში? — ვცდილობ, დიალოგში ექშენი შევიტანო.

— მმ, იცი, რა არის? ანუ სახლში კი გაატრაკებენ ეგეთებზე ალბათ, მარა თუ ჰოლივუდში მოვხვდი, არ გავარტყი ყუელას? — ისევ ეს „ყუელა“, — აი, დავთანხმდები, ოღონდ თუ ძალიან შიშველს არ გამომაჩენენ და იმას ჩამაცმევენ, სანდრა ბულოკს რო აცმევენ ხოლმე...

ბევრ რამეს ვერ ვხვდები, მაგალითად, თუ რას ნიშნავს „ძალიან შიშველი“, ან — „იმის ჩაცმა, სანდრა ბულოკს რო აცმევენ“.

— რას გულისხმობ?

— აი, რაღაც კოსტუმები აქვთ მანდ, რო იცვამ და სექსი გაქვს, სინამდვილეში არ გაქვს სექსი, მარა ფილმში არ ჩანს ეგრე.

— გასაგებია.

— უი, როგორ დაღამებულა, ჩემი წასვლის დროა უკვე, პირველი ხდება.

— ხო, გვიანია, — ვუღიმი.

— ძალიან კარგი ტიპი ხარ, ნიკა. მიხარია, რო უფრო კარგად გაგიცანი. საღამო კიდე ძალიან მაგარი იყო. რედაქციაში შევხვდებით.

— გამოვიძახო ტაქსი?

— არა, არა, აქვე ვცხოვრობ, სამი კვარტლით იქით. ფეხით გავისეირნებ.

კარამდე ვაცილებ, დამშვიდობებისას ლოყაზე მკოცნის და მიდის.

ოთახში ვბრუნდები. უმეტესობას ძინავს, ან დინამიკებთან მიყუჟულან და სიგარეტს ეწევიან. თემოს ღია პირიდან დორბლი პირდაპირ ლოყაზე სდის. ინდიფერენტულობის ზეიმია.

გარეთ გავდივარ. ლიფტი დაკავებულია, ფეხით მიწევს ექვსი სართულის ჩარბენა. გარეთ გასული ირგვლივ ვიხედები. ჩემგან ორმოცდაათ მეტრში ანის ვხედავ — ნელა მიდის, თან სიგარეტს ეწევა. მისკენ გავრბივარ.

— ანი, — ვეძახი.

უკან ტრიალდება. გაკვირვებულია. როგორც ჩანს, ასე მალე ჩემს ხელახლა ნახვას არ ელოდა.

— მთელი საღამოს განმავლობაში მინდოდა, მეკოცნა და ვერ გავბედე. შეიძლება, გაკოცო?

მიღიმის და თავს მიქნევს.

მისკენ ვიხრები და ვკოცნი. ორივე ხელს თმაში მიცურებს. ჯიბიდან დანას ვიღებ და მუცელში ვურტყამ. სანამ დაიყვირებს, პირზე ხელის აფარებას ვასწრებ. შენობებს შორის ნაგავსაყრელისკენ მიმყავს. დანას ვაწვები და ჰორიზონტალურად ვამოძრავებ. მაისური სისხლით ეჟღინთება. თითებზე მის დორბლს ვგრძნობ. ალბათ დაყვირება უნდა, მაგრამ ძალა აღარ შემორჩა. თვალები უცრემლიანდება. ბნელი ქუჩის სიღრმეში იყურება, თითქოს მხსნელს ელის — მესიას, ან თეთრ „შკოდაზე“ ამხედრებულ პოლიციელს. დანას მუცლიდან ვიღებ და ყელთან მიმაქვს. ანი აღარ ფართხალებს, თუმცა დანის დანახვაზე თვალები მაინც უფართოვდება. საძილე არტერიას ნელა, აუჩქარებლად ვუჭრი, რათა სისხლი არ შემესხას. თვალებს ატრიალებს და იქვე იკეცება. ხელს ვუშვებ. ვფიქრობ, თუ რა ლამაზი ყურები აქვს. რა თქმა უნდა, საინფორმაციო გადაცემებში არ ამბობენ, რომ ცხედარს რომელიმე ორგანო აკლია, ეს მხოლოდ და მხოლოდ პანიკას გამოიწვევს და არაეთიკურია, თუმცა ყველამ, ვისაც გვამთან აქვს შეხება, კარგად იცის მისი ნაკლის შესახებ. დანას ყურთან ვუცურებ და მონოტონური მოძრაობით ვცდილობ, ორგანო სხეულისგან განვაცალკევო. მოჭრილ ყურს იქვე, სანაგვეში ვაგდებ. და თვალები... წაბლისფერი, ღვთაებ...

— ბლიად! — მესმის ზურგსუკნიდან.

მომენტალურად ვტრიალდები. ჩემგან ხუთ მეტრში დაახლოებით ჩემი ასაკის ბიჭი დგას და პირზეხელებაფარებული, შეშინებული მიყურებს. არ ვიცი, რა ვქნა. არ ვიცი, როგორი უკუქმედება მოყვება ჩემს ქმედებას. ვაითუ დაიყვიროს? დანის ტარს ხელს ვუჭერ. როგორც ჩანს, ამჩნევს, პირიდან ხელებს იშორებს და გარბის. უკან მივყვები. სწრაფია, მაგრამ ვხვდები, თუ არსად შეუხვია, მალევე დავეწევი.

— მიშველეეეეთ! — ყვირის მთელ ხმაზე.

გამწარებული, ძალების მობილიზებას ვცდილობ — „უნდა დავეწიო“.

— მიშველეეეეთ!

დანას ჰაერში ვწევ. ვცდილობ, დავუმიზნო. რთულია სირბილის დროს მიზანში მორტყმა, მითუმეტეს, როცა სამიზნეც მოძრაობს. ვისვრი. კეფაში ხვდება და იქვე, ავტობუსის გაჩერებაზე იკეცება. მივდივარ, დანას კისრიდან ვაძრობ და ვრწმუნდები, რომ მკვდარია. პულსი არ ესინჯება. ირგვლივ ვიხედები. სავსებით შესაძლებელია, კიდევ ვინმემ დამინახა. ცენტრალური გზიდან კორპუსების ეზოებში გადავდივარ და მოკლეებზე ვჭრი. ანის გვამი ნაგავსაყრელთან მხვდება. სად წავიდოდა? ხომ არ გაიქცეოდა? ვფიქრობ, თუ რა შეიძლება, მოვუხერხო. მითუმეტეს, პოლიცია შეიძლება ნებისმიერ წუთს დამადგეს თავზე. რამდენიმე ნაწილად დავყო და პარკიანად ნაგვის ყუთში ჩავუძახო? თუ ესეც მტკვარში მოვისროლო? ვგრძნობ, როგორ იწყებს ტვინი მუშაობას. ნეირონების აქეთ-იქით სირბილი თვალწინ წარმომიდგება. ვმშვიდდები და ვცდილობ, სიამოვნების ის წილი მივიღო, რაც დავიმსახურე. მთელ ტანზე თმები ყალყზე მიდგება. ვიხრები, სისხლიან დანას ანის შარვალს ვაწმენდ და ჯიბეში ვიდებ. ნაგავსაყრელზე მთვარის სუსტი შუქი აღწევს და სისხლის გუბეს ფლუორესცენტულ ელფერს სძენს. ანი გრაფიკულ ნახატს ემსგავსება. შუაზე გავჭრი, ერთ ნაწილს ქალაქის ერთ ბოლოში დავტოვებ, მეორეს — მეორეში. ცოტა სირთულეც ხომ უნდა შევიტანოთ ამ ყველაფერში. საინტერესოა, როგორ გააშუქებს ამ ამბავს მედია. სატანისტებს შეაწერენ? თუ ოკულტისტებს?

გვამს საიმედოდ ვმალავ და სახლში უფრო დიდი და ბასრი საგნის წამოსაღებად მივდივარ. ხერხი? რატომაც არა. უბრალოდ, ცოტა მოუხერხებელია სატარებლად. თუმცა, მგონი, ახლა ამაზე წუწუნი სასაცილოა. ეფექტურობა!..

ნელა მივდიოდი. ეჭვი არ უნდა აღმეძრა ვინმეში. მოსახვევიდან მანქანა მიახლოვდებოდა. და... არავის ხმა გამიგია, არავის დაუყვირია, ბუზის გაფრენა რომაა, ისიც კი არ ყოფილა. ბრახ! უკან ვიღაცის სხეული დაასკდა ასფალტს. მანქანამ სასწრაფოდ დაამუხრუჭა. ეტყობა, მძღოლმა ყველაფერი დაინახა. გვამი ლამის შუაზე გადახლეჩილიყო. შოკმა წამებში გადამიარა და უფრო მნიშვნელოვან პრობლემაზე დავიწყე ფიქრი: ანის გვამია აქედან ორ ნაბიჯზე. თუმცა, ახლა რომ წავსულიყავი, საეჭვოდ გამოჩნდებოდა — ვიღაც თავს იკლავს, ასფალტზე ერთ დიდ ლაქას ემსგავსება და თვითმხილველი მშვიდად აგრძელებს გზას... ალბათ პოლიციაც მოვა. დამკითხავენ. ჯიბეში დანას მიპოვნიან. მერე გვამსაც ნახავენ. არა, არა, არა, არა! უნდა დავმშვიდდე, რაც შეიძლება ბუნებრივად მოვიქცე. „ყველაფერი დალაგდება, უბრალოდ, არ ინერვიულო“, ვეუბნები ჩემ თავს და გაოცებული სახით გვამისკენ ვიხრები...

გიორგი შერვაშიძე

მამლაყინწები

მახსოვს, ერთხელ, მამლაყინწობისას, საქმეზე წავედი. მე და ერთი ჩემი სიყრმის მეგობარი ვიყავით. აი, ისეთი მეგობარი, მარტო სიყრმეში რომ არის შესაძლებელი გყავდეს და ზრდასრულობაში კი, თითქმის შეუძლებელია, მასთან სადმე გადაიკვეთო. ჰოდა, წავედით. ალბათ, ფული გვჭირდებოდა. რაში გვჭირდებოდა, ზუსტად არ მახსოვს, რადგან იმ დროს ფულის დასახარჯი ადგილებიც არ იყო ბევრი. სავარაუდოდ, იმდროინდელ ცხოვრების რითმს უნდა ავყოლოდით და რამე სისულელე გვექნა. მაგალითად, გვეყიდა ბასრი დანა ან უარესი, იარაღი. ჰო, ალბათ ეგრეც იქნებოდა. სწორედ ის დრო და ასაკი გვედგა, მუშტისა და კეტის ქნევით ფონს რომ ვერ გახვიდოდი. დაიჩაგრებოდი. სიმართლე ითქვას, არც ის იყო იარაღის მყიდველი და არც მე, რადგან სულაც არ ვტრიალებდით იმ წრეში, სადაც ეგეთი რაღაცები ხდებოდა. თუმცა, ცოტაოდენი ფული და მონდომება თავისთავად არ გამორიცხავდა ალბათობას, რომ მილიციონერისგანაც კი გეყიდა ეს უკანასკნელი. და მერე შენ ამ იარაღის ხმარება თქვი?! კაცს უნდა მიუშვირო და ესროლო. თუნდაც ფეხებში. და, ალბათ, არც ის იყო მსროლელი და არც მე, თუმცა ასაკი გვქონდა მამლაყინწური და ამ დროს სისხლში მკვახე თავმოყვარეობა უფრო მეტია, ვიდრე ლეიკოციტები. აბა, ახლა, ერთი წარმოიდგინეთ, ქამარში, ზურგს უკან ნაგანს რომ გაირჭობ, სისხლი თავში მოგაწვება და გული კი სიამაყისგან ყელში გებჯინება. ვინღაა შენი გამჩერებელი? ძალიან ბევრი სხვა მამლაყინწა. კეტიანი, მუშტიანი, ქვიანი და ფიშტოიანი მამლაყინწა, რომლებიც იმ დროს იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ მთელი ქვეყანა ერთ დიდ საქათმეს ჰგავდა. არა, განა ახლა არ არიან ეგეთები? ახლაც არიან და მომავალშიც იქნებიან, თუმცა სხვაობა ის არის, რომ მაშინ მამლაყინწობა ცხოვრების წესი იყო და დიდადაც ფასობდა. დიახ, არც გართობა იყო, არც სწავლა, გავლა, კინო და თეატრი. წიგნებით სახლებს ათბობდნენ და მორალით კიდევ სიღარიბეს. მოკლედ, არავის არაფრისთვის სცხელოდა და საქათმეშიც გამუდმებული კრიახი და მამლების ჩხუბი იყო გამართული. ამ ყველაფრის შემხედვარე მამლაყინწები კი კისრებს იგრძელებდნენ და უფროსებს ბაძავდნენ. დიდ მამლებს. დეზებიანებსა და ბიბილოიანებს. უნამუსოებსა და სანახევროებს. უტვინოებსა და „ოთხკლასგანათლებულებს“ — მტყუანებსა და საკუთარი სიმართლის მაძიებელთ. სწორედ ამიტომაც, ძალზე ფასობდა გაფხორილი სიარული და ყოველი ნორჩი მამლაყინწაც მხურვალედ ცდილობდა, უკეთესი ადგილი დაეკავებინა საქათმეში.

საქმეზე წავედით-მეთქი, ცოტა არ იყოს, ხმამაღალი ნათქვამია, რადგან ბევრი ვერაფრის გამკეთებელნი ვიყავით. მძარცველებად და ჯიბგირებად არ ვივარგებდით. არც ხეირიანი ქურდები და ყაჩაღები გამოვიდოდა ჩვენგან. ამიტომაც, ყველაზე მარტივი და იმ დროს მიღებული საქმე განვიზრახეთ. ანუ მანქანიდან მაგნიტოფონის მოპარვა. დიახ, მარტივი იმიტომ, რომ დიდ ჭკუასა და გამოცდილებას არ მოითხოვდა და მიღებული, რადგან ყოველი მეორე მამლაყინწა ამ საქმით იყო გატაცებული. წამახალისებელიც ბევრი ჰყავდათ და დაზარალებულს კიდევ ვინ მოსთვლის. მოპარული ადვილად იყიდებოდა, ნაქურდალის შეძენა ცუდ ტონად სულაც არ ითვლებოდა და დაზარალებულს კი ჩვენებასაც არავინ ართმევდა. ჰოდა, ნახევარსაათიანი წანწალის შემდეგ მივადექით იმ ერთადერთ ავტომობილს, რომლის მეპატრონესაც იმავ დღისით რაღაცაზე ძალიან უნდა დასწყდომოდა გული და უამრავი ადამიანი მოეხსენებინა ფრიად უხეირო ფორმებში. ჯერ გარშემო შემოვუარეთ რამდენიმე წრე ლეშზე მიმდგარი ტურებივით და მერე, როგორც იქნა, გავბედეთ კბილის მოდება. შიგ ჩავიხედეთ და ბასტა — მშვენიერი, ციმციმა მაგნიტოფონი არ ჩაუტოვებია შიგნით უნიათო პატრონს?! ახლა უფრო ფართე და გაშლილი რადიუსით შემოვურბინეთ გარს. დავზვერეთ, ხაფანგი ხომ არ იყო დაგებული და ლეშის პატრონი ხომ არ გველოდა ჩასაფრებული სადმე. არავინ ჩანდა. ეგდო მძორი უმეთვალყურეოდ. დადგა მოქმედების დრო. მე განზე გავდექი და „გავყარაულდი“, ხოლო ჩემი მეგობარი ზედ მივიდა. დააძრო ჯიბიდან დამსხვრეული „სვეჩების“ ნატეხი, დააფურთხა და გვერდითა საქარე მინას სტყორცნა. შუშამ ერთი დაიწკარუნა და ისე ჩამოიშალა, თითქოს ფერადი საწუწნი კანფეტებისაგან ნაშენი სასახლე ყოფილიყოს, რომლისთვისაც ძირი გამოეცალათ. დაძაბულობისაგან ჩემი თვალები ჩემივე ყურების ხელა გახდა და მეგობრისა კი პირიქით, რადგან სწორედ ამ დროს ჩაირთო სიგნალიზაცია და ისეთი კივილი მორთო, რომ საბოლოოდ გამაფუჭა. იმან კიდევ, ამხანაგმა, პირიქით, ენთუზიაზმი იგრძნო და ისე შესრიალდა ჩამსხვრეულ ფანჯარაში, კარიც არ გამოუღია. მე შიშისაგან გული გამიწვრილდა და ავტომობილს კი ძრავი. მანქანა ისეთი ძალით ირწეოდა ხან ერთსა და ხანაც მეორე მხარეს, რომ ღამის ამოყირავდა. აშკარად დიდი ბრძოლა და ჭიდილი ჰქონდათ გამართული ჩემს მეგობარსა და მაგნიტოფონს, რომელიც, ვგონებ, სულაც არ აპირებდა ადვილად დანებებას.

სწორედ ამ დროს შემომესმა ფრიად საუცხოო ხმა. ხმა, რომელიც არც ყვირილს ჰგავდა და არც ძახილს. ხმა იმდენად მძლავრი და დამუხტული, რომ უმალ გადაფარა სიგნალიზაციის გულისგამაწვრილებელი წიოკი. უნებურად ზევით ავიხედე და შევნიშნე, ვიღაც ორი ჯეელი გადმომდგარიყო მაღლივი სართულიდან და ისე გამეტებით იქნევდნენ ხელ-ფეხს, რომ იმათგან „დაბერილი“ ნიავიც კი ვიგრძენი. ღრიალებდნენ, მაგრამ რას ღრიალებდნენ. რაღაცით ძალიან ჰგავდნენ უკაცრიელ კუნძულზე გარიყულ მეზღვაურებს, რომლებიც ბეჯითად ცდილობდნენ გამვლელი გემის ყურადღების მიქცევას. აი, დაგვერხა, მძორის პატრონი გამოჩნდა-მეთქი, გავიფიქრე და მეგობარს დავუყვირე. იმან კიდევ, მანქანიდან თავი გამოყო, ზევით აიხედა და გონებაში სართულები გადათვალა. როგორც მივხვდი, იმათი დაშვების სიჩქარე გამოიანგარიშა და მერე თავისთვის საჭირო დროს შეადარა. მართალია, დასკვნები ფურცელზე არ გადაუტანია, მაგრამ ღიმილზე შევატყე, გამოთვლებით კმაყოფილი დარჩა. ერთიც მიეძალა და, აი, უკვე მაგნიტოფონი ხელთ ეპყრა და მანქანიდან უკან მოძვრებოდა. ზუსტად იმ წამს სადარბაზოს კარი გაიღო და აქტის ბოლოს სცენაზე დაზარალებულებიც გამოჩნდნენ. მათი მოძრაობები ოდნავ შენელებული და გაწელილი მეჩვენა. თითქოს სხვის სიზმარს ვხედავდი, სადაც დრო უფრო ნელა მიედინებოდა. უმალ მივხვდი, რომ სრბოლა დაწყებულიყო და მე კი ვიგვიანებდი. დაზარალებულები რატომღაც პირდაპირ ჩემსკენ გამოემართნენ. ავად იქნევდნენ კეტებს და უშვერი სიტყვებით მლანძღავდნენ. ჩემი მეგობარი კი ხიდან ჩამოხსნილი კნუტივით იხუტებდა გულში მაგნიტოფონს და სულ სხვა მიმართულებით გარბოდა. რაღას ვიზამდი?! გავიქეცი და ისინიც მომყვნენ. სირბილი კიდევ, იცოცხლე, კარგი ვიცოდი. დიდი ნაბიჯებით და აჩქარებებით. ეს უნარი განვითარებული მქონდა, რადგან მამლაყინწობისას ძალზე საჭირო გახლდათ და ვინც კარგად ვერ დარბოდა, ხშირ შემთხვევაში, გალახულიც ის რჩებოდა.

გავიქეცი და გამომეკიდენ. მივრბივარ და მომდევენ. მაგინებენ და ვაგინებ. თითქოს, „ბარი-ბარში“ ვართ, უბრალოდ ისინი სამნი არიან და ძლიერ გაჯავრებულ-მოტივირებულები და მე კიდევ საშუალოდ. ზუსტად ვიცი, რომ დამიჭირონ, შავ დღეში ჩამაგდებენ. მეც გავრბივარ და თან ისე სწრაფად, რომ გზად შემხვედრ საგნებს, ნივთებსა და ადამიანებს ვეღარ ვარჩევ. ცარიელი ინსტინქტი ვარ. შევხტი რაღაც ბუჩქნარში და თავს გადავევლე წინ დამხდურ მესერს. ჩავირბინე დაღმართზე და სანაპიროზე გავედი. მკვეთრად მოვუხვიე მარცხნივ და ისე სწრაფად მომივიდა, რომ მოტომსრბოლელივით ხელითაც კი შევეხე მიწას, რათა წონასწორობა არ დამეკარგა. თითქოს, პირველი ეტაპი წარმატებითაც დავძლიე და დაზარალებულებიც სოლიდური მანძილით ჩამოვიტოვე, თუმცა ამ სისწრაფეში რაღაც მაინც შემეშალა. ვეღარ შევნიშნე ჩემს წინ გაბმული გამაფრთხილებელი ნიშნები და ფერადი ლენტები. ფინიშის ხაზს რომ კვეთავენ მორბენლები, ზუსტად ისე, სხეულით გავჭერი რამოდენიმე რიგი ზონარებისა და ერთი ნახტომით გადავევლე თავს ჩემს წინ აღმართულ პატარა ფიცრულ მაგიდას. გასაოცარია, მაგრამ ბოლო დაბრკოლების დაძლევის შემდეგ, ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, მოძრაობა ვეღარ შევძელი. ძლივს გადავდგი ათიოდ ნაბიჯი და გავჩერდი. უნებურად ჯერ დაბლა და მერე კი გვერდით გავიხედე. აღმოჩნდა, რომ მუხლამდე ცემენტის ხსნარში ვიყავი ჩაფლული.

იქვე იჯდა ორი გაოფლილი მუშა, რომელთა გვერდით ჯერ კიდევ სველი ნიჩბები ეყარა. ჩემს წინ კი მესამე მუხლებზე დამხობილიყო და გრძელი ფიცრით ბეტონს ასწორებდა. როგორც მივხვდი, იმ ორს უკვე გაესრულებინა ცემენტის ხსნარის დასხმა და ახლა ამ მესამეს საბოლოო შტრიხები შეჰქონდა მათ ერთობლივ საქმეში. მოზრდილი მონაკვეთი დაესხათ — უშველებელი მართკუთხედი. და აბა, ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ იმათი გულისწყრომა, როდესაც მიხვდნენ, რომ მთელი შრომა წყალში ჩაჰყროდათ. ის ორი უმალ სველ ნიჩბებს დასწვდა და იმ მესამემ კი თავისი უშველებელი ფიცარი ცის კიდემდე აღმართა. ბოდიშების მოხდის დრო აღარ მქონდა, რადგან მდევარი მიახლოვდებოდა. ამიტომაც, კიდევ რამდენიმე ნაბიჯის წინ გადადგმა და მათი შემოქმედების საბოლოოდ გადათელვა მომიწია. მართალია, მეც დამწყდა გული მათ შემხედვარეს, მაგრამ როგორც კი მყარი ნიადაგი დავიგულე ფეხქვეშ, უკან მოუხედავად მოვკურცხლე. ან კი რად მინდოდა უკან მიხედვა, როდესაც ისედაც ზუსტად ვიცოდი, რომ ახლა უკვე სამი კაცის ნაცვლად ექვსი მომდევდა.

ამ მცირე ინციდენტმა დიდი დრო დამაკარგინა. მეც მოვუმატე და უფრო სწრაფად ავამუშავე ჩემი ფეხები, რომელთა იმედადაც იყო დარჩენილი სხეულის სხვა ნაწილები. წინ რაღაც ბორცვისმაგვარი შევნიშნე, რომლის თავზეც ნაცნობი კორპუსი მეგულებოდა. მის წინ კი პატარა სკვერი იყო და იქ ვიმედოვნებდი ადვილად დამალვას. პირდაპირ იქით ავიღე გეზი და სიმაღლე რომ დავძლიე, წინ გრძელი, მოსასვენებელი სკამი შემომეგება. დაუფიქრებლად გადავახტი და ის სულაც არ გამითვალისწინებია, რომ შეიძლება, ზედ ვინმე მჯდარიყო. არადა, იჯდა. ვიღაც გვარდიელი. ესეც იმ დროის, ერთერთი ფენომენი და განუყრელი ატრიბუტი. ანუ, სამხედრო ფორმებში გამოწყობილი ახალგაზრდების ჯგუფის წევრი. ჯგუფები სრულიად უმიზეზოდ დაეხეტებოდნენ დედაქალაქში და მაგრად ირტყმევინებოდნენ თავიანთი მძიმე ჩექმებით. თანაც, თურმე, ეს ოჯახქორი მარტო არ იყო. ვიღაც ძალზე შეუხედავ გოგოსთან ერთად იჯდა, რომელსაც დიდი რუდუნებით იკრავდა გულში და ასევე დიდი მონდომებით უკოცნიდა ტუჩებს. ჩემდა სამწუხაროდ, იქვე, გვერდით სკამზე, ისხდნენ მისი მეგობარ-გვარდიელებიც, რომლებიც უტიფრად მისჩერებოდნენ თავიანთი ამხანაგის სასიყვარულო სცენებს და განგებ იმღვრევდნენ თვალებს. ან კი უბრალოდ რიგში იდგნენ და თავის ჯერს ელოდნენ, რათა იმავე შეუხედავი გოგოსაგან მიეღოთ კუთვნილი წილი ალერსისა. ბედის ირონიით, როდესაც სკამს გადავევლე თავს, სწორედ ამ ქალბატონს წამოვკარი ფეხი. მართალია, მე წონასწორობა შევინარჩუნე, მაგრამ იმან კი ვერა. ჩახარა თავი და ვგონებ, დროებით მწყობრიდანაც გამოვიდა. აი, ეს ამბავი კი დიდად არ მოეწონათ იქ მჯდომ გვარდიელებს. ნაღდად, გულწრფელად შევწუხდი, როდესაც მოვიხედე და ასეთი სურათი დამხვდა. ეგრევე მივხვდი, რომ ბოდიშით აქაც ვერას გავხდებოდი. და, ალბათ, ის არც არაფერში სჭირდებოდათ, რადგან ბევრს ნამდვილად ვერც ვერაფერს უწამლებდა იმათ მომატებულ პოტენციას.

ისევ იმრავლეს ჩემმა მდევრებმა. სამ ძარცვის მოწმესა და ასევე სამ შეურაცხყოფილ მუშას, ახლა სამი სექსუალურად დაუკმაყოფილებელი გვარდიელი შეემატა. წარმოდგენაც კი მზარავდა, რა დღეში ჩამაგდებდნენ, იმათ რომ ხელში ჩავვარდნოდი. ამიტომაც, სანამ ისინი, ყველანი ერთად და სათითაოდ, გაერკვეოდნენ იმაში თუ ვინ, ვის, სად, როდის და როგორ მისდევდა, მე დრო ვიხელთე და ნაცნობი კორპუსის არკაში შევვარდი. სწრაფად გადავირბინე ეზო და პირველსავე სადარბაზოს შევაფარე თავი. აი, კიბეზე სირბილით ასვლა კი, უკვე ნამდვილად გამიჭირდა. დაღლამაც თავი იჩინა და ენაგადმოგდებულმა ძლივს მივატანე მეხუთე სართულამდე. შესვენება ვცადე. არაფერი გამომივიდა, რადგან გარედან შემოსული ყვირილისა და ჩოჩქოლის ხმა ისევე მმატებდა სტიმულს, როგორც რომ ვირს ცხვირწინ დაკიდებული თივა და მეც, ჩემდაუნებურად, განვაგრძობდი მოძრაობას. მდევრებმა აშკარად ვერ შენიშნეს ჩემი უკანასკნელი მანევრი და სადარბაზოშიც არავინ შემომყოლია. სამწუხაროდ, ჩემს თავს დატეხილ განსაცდელთა კასკადი ამით არ დამთავრებულა. ბოლო, მეცხრე სართულზე, კიდევ ერთი მოულოდნელობა მელოდა — უზარმაზარი ნაგაზი, რომელიც ბოროტად მიღრენდა და ერთდროულად მანახებდა ყველა კბილს.

ახლა კიბეზე თავდაღმართში სირბილი მომიწია. სიმწრისაგან სულ სამ-სამ საფეხურს ვახტებოდი. ჩემი გამოთვლით, ძაღლმა მეექვსე სართულამდე მსდია, მაგრამ მე პირველამდე მაინც ვერ დავიჯერე ეს ამბავი. ვგონებ, პატრონმა უხმო თავისთან და ან კი უბრალოდ ჯაჭვის სიგრძე აღარ ეყო. უცნაურია, მაგრამ დღემდე ვერ ვხვდები, რა უნდოდა ამხელა ძაღლს იქ? დამდუღრულივით გავვარდი გარეთ და დაუფიქრებლად შევვარდი გვერდითა სადარბაზოში. ეზო ცარიელი მეჩვენა, მაგრამ ისე ვიყავი შეშინებული, ვერავინ დამარწმუნებდა, აღარავინ მოგდევსო. ვეღარც ვერაფერს ვხედავდი და აღარც არაფერი მესმოდა. კეფა მიფეთქავდა და შუალედებში სუნთქვას ვაჩერებდი. მესამე სართულამდე ძლივს ავბობღდი და მერე, იქვე, კიბეზევე ჩავიკეცე. თვალთ დამიბნელდა და გული ამერია. სწორედ ამ დროს კარის გაღების ხმა შემომესმა. ძლივს ავწიე თავი და ვიღაც ჩაფსკვნილი ქალბატონი შევნიშნე, რომელიც კიბის თავში იდგა და გულდასმით მათვალიერებდა. მას ცალ ხელში იატაკის ჯოხი ეჭირა და მეორეში კი წყლიანი ვედრო. ისეთი ზიზღითა და მრისხანებით აღსავსე სახე ჰქონდა, მივხვდი, რომ მასაც უსაზღვროდ გავურთულე ცხოვრება. რაღაც ჩაისისინა და მოულოდნელად, თავზე გადამასხა ვედროს შიგთავსი — ბინძური წყალი. მართალია, ამან გამომაფხიზლა, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ პუტკუნა ქალბატონს ეს საქციელი ჩემს გამოსაცოცხლებლად სულაც არ ჩაუდენია. დავინახე, როგორ მოიმარჯვა ჯოხი და დაიწყო კიბიდან წყლის გადარეცხვა. მივხვდი, რომ სულ მალე ჩემი ჯერიც დადგებოდა და სანამ ის ტურტლიანი ტილო მომწვდებოდა, გაცლა ვამჯობინე. ბანცალით ჩავიარე კიბე და გარეთ გავედი. იქ კი ისევ ის დღე დამხვდა, რომელიც სადარბაზოში შესვლამდე იდგა. ღონემიხდილი წავლასლასდი სახლისკენ. უსაზღვროდ სველი, დაღლილი და შეურაცხყოფილი ვიყავი. და აბა, ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა ხასიათზეც დავდგებოდი, როდესაც უბანში ის ჩემი მეგობარი დამხვდა და ყოვლად მოურიდებლად მახარა — ბიჭო, ისე სწრაფად გავრბოდი, რომ მაგნიტოფონი ხელიდან გამივარდა და გატყდაო. არაფერი მითქვამს. არადა, სწრაფად სირბილი და გულის გატყდომა მაგას ჩემი უნდა ენახა!

სამი თვის შემდეგ სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ის მაგნიტოფონი იმ ჩემს მეგობარს სულაც არ დავარდნია — თავისი მეზობლისთვის მიუყიდია და თანაც, სარფიანად. გასაკვირია, არა? და აკი თავიდანვე გითხარით, აი, ისეთი მეგობარი იყო, მარტო სიყრმეში რომ არის შესაძლებელი გყავდეს და ზრდასრულობაში კი თითქმის შეუძლებელია, მასთან სადმე გადაიკვეთო-მეთქი.

მირიან რჩეულიშვილი

ლედი ინტეგრა

ვინ არის ის ჯენტლმენი, ფანჯარასთან რომ ზის?

სიგარეტი ნაზად დააფერფლა საფერფლეში, მერე ისევ გააბოლა და ნეკა თითის ფრჩხილი ტუჩის კუთხეზე ჩამოისვა. კაცები ისე გართულიყვნენ სანაპიროს მიწებსა და საქონლის ოკეანგაღმა გატანაზე საუბრით, სულაც დაავიწყდათ, რომ მაგიდასთან მშვენიერი ლედი ინტეგრა იჯდა. ქალბატონს არც არასდროს სიამოვნებდა, ახლა კი საერთოდაც ყელში ამოსვლოდა მათ წრეში ყოფნა. მისი ყურადღება მალევე მიიქცია ფანჯარასთან მჯდარმა ლურჯ დაძენძილ სამოსში გამოწყობილმა მამაკაცმა. ცხვირზე კოხტად დაეკოსებინა ოდნავ ოვალური სათვალე, რომელიც შუშაბანდიდან შემოსულ ქაფქაფა სხივებს ირეკლავდა და მის თვალებს სინათლის ალმურში მალავდა. ინტეგრა ვერაფრით მიმხვდარიყო, საით იყურებოდა მამაკაცი. ერთ წამს ისიც მოეჩვენა, მე ხომ არ მიყურებსო, მაგრამ ამის გარჩევა აშკარად შეუძლებელი იყო.

ვინ არის ის ჯენტლმენი, ფანჯარასთან რომ ზის? — ქალბატონმა კვლავაც წყნარად გაუმეორა ოფიციანტს. ოფიციანტმა პირველ ჯერზეც გაიგო მისი შეკითხვა და თავის მოკატუნება არჩია, მაგრამ განმეორებისას, ცოტა არ იყოს, ოფლმა დაასხა ნახევრად გამელოტებულ თავზე.

ის... ის ჯენტლმენი, ლედი ინტეგრა... — ოფიციანტი დაიხარა და ხმადაბლა, დამარცვლით დაიწყო, თითქოს ეშინოდა, არ გამიგონო — ...ის ჯენტლმენი ფრიდრიკია.

ფრიდრიკი? — ხმამაღლა გაიმეორა ქალბატონმა, რაზეც ოფიციანტი უფრო მეტად შეიშმუშნა. ფრიდრიკის ღიმში შორიდან სტუმართმოყვარეობა და ინტერესი იგრძნობოდა — ...გვარი?

არ ვიცი, მემ... ლედი ინტეგრა, გთხოვთ, ნუღარაფერს მკითხავთ ამ ჯენტლმენზე.

ოფიციანტმა ხელზე ჩამოდებული პირსახოცით სახე მოიწმინდა და მაგიდას გაეცალა. ამასობაში ლედი ინტეგრას პირადმა მხლებელმა კაცების საუბარს ყური მოარიდა და ქალბატონს გადაულაპარაკა:

ხსენებულ ჯენტლმენს გვარი არ აქვს.

როგორ შეიძლება, კაცს გვარი არ ჰქონდეს, ვოლტერ.

ლედი ინტეგრა, შეგახსენებთ, ჩვენ ახალ ქვეყანაში ვართ. ეს ახალი მიწაა, ახალი ხალხი. აქ ოდნავ სხვანაირად ცხოვრობენ და განსხვავებული ფასეულობები აქვთ.

ეგ ჩვენს მეგობრებს უთხარით, ვოლტერ!.. დედამიწაზე სულ ორი ადამიანი იყო გვარისა და მამის გარეშე. ორივე მამა ღმერთმა გააჩინა.

ფრიდრიკის შესახებ ისეთივე განსხვავებული შეხედულებები არსებობს, როგორც ქრისტეზე. ვინ იცის, იქნებ ახალ მიწაზე ახალი ღმერთი ვიპოვეთ — ღიმილით შეისწორა სათვალე ვოლტერმა.

ნუ გავიწყდება, რომ შენი ათეისტური ხუმრობები მაღიზიანებს, ვოლტერ.

დიდ ბოდიშს ვიხდი, ლედი ინტეგრა, მომიტევეთ — ვოლტერმა თავაზიანად დახარა თავი — ბატონი ფრიდრიკი... არავინ იცის, ზუსტად ვინაა: მკვლელი, გმირი, მეომარი, აფერისტი, წმინდანი, სატანა, ღვთის მგმობელი, ალალ-მართალი თუ გრძნეული ჯადოქარი — მხიარულად გადათვალა თითებზე ვოლტერმა — მაგრამ ერთში ჭეშმარიტად ვარ დარწმუნებული, ის სახიფათო პიროვნებაა. დღემდე გაურკვეველია, თუ როგორ შეძლეს სამეფო ჯარის დამარცხება მისი მეთაურობით. მაგრამ ამბობენ, რომ დიდი წვლილი მიუძღვის სანაპიროს დამოუკიდებლობის მოპოვებაში.

გაურკვეველი აუცილებლად საშიშია? კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე ერთ ტრადიციას ინარჩუნებს: იმის ეშინიათ, რაც არ ესმით — ქალმა გამარჯვებული ღიმილით დაუკრა თავი ვოლტერს — მინდა, გავესაუბრო.

დარწმუნებული ბრძანდებით? — ცნობისმოყვარეობითა და ცელქად აენთო თვალები ვოლტერს — ყოველი შემთხვევისათვის, თუ ნებას დამრთავთ, რევოლვერს შევაყენებ ფეხზე.

როგორც გენებოს.

ლედი ინტეგრა წამოდგა, ქერა თმა ზურგს უკან გადაიყარა. წვრილ წელზე ლამაზად ედგა მუქი წითელი კაბა, რომელიც აქა-იქ შავფერს იკრავდა, ფეხზე წამოდგომისას ქალის მხრებთან ერთად კოხტად გაიშალა კაბის კალთებზე მოჩითული წითელი ყვავილები. ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით გაემართა ფრიდრიკის მაგიდისაკენ, რომელზეც მხოლოდ ერთი ჭიქა წყალი იდგა. მიუახლოვდა, თავი დაუკრა და არისტოკრატიულ ფუფუნებაში აღზრდილი ქალის სითამამითა და თავდაჭერილობით მიმართა:

ნებას მომცემთ, დავჯდე?

დიდი პატივი იქნება ჩემთვის — ფრიდრიკმაც ღიმილით დაუკრა თავი, მაგრამ არ წამომდგარა, რაც ინტეგრას არ მოეწონა, შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო თავი, მაგრამ ვოლტერის სიტყვები გაახსენდა, რომ ახალ მიწაზე ყველაფერი სხვაგვარად იყო.

როგორც ჩანს, თქვენში ქალბატონთან მოქცევის კულტურა ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

თქვენ ჩემს მაგიდასთან საჩხუბრად არ მოსულხართ — ფრიდრიკს თეთრი კბილები სათვალეზე არეკლილი მზის სხივებივით უკაშკაშებდა და მომნუსხველ ჰარმონიაში ხვევდა მის სახეს.

მართალია. რა გაეწყობა, ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ — ინტეგრა თავის ისეთი წარდგენისათვის შეემზადა, როგორც სამეფო კარზე შეეფერებოდათ ქალბატონებს, მაგრამ ფრიდრიკმა თითი გააქნია და შეაწყვეტინა.

მხოლოდ სახელი მითხარით, სხვა არ მაინტერესებს.

აქ ყველა თქვენსავით უცნაურია? — გაეღიმა ინტეგრას.

არა, მე ყველაზე უარესი გახლავართ, ალბათ ამიტომაც გამოვირჩევი სხვებისგან.

ინტეგრას მხიარულად შეხსნილმა ბაგეებმა ერთიორად ეშხიანი გახადა ფრიდრიკის ღიმილი.

როგორც გენებოთ, მე მქვია...

„მე ვარ“. ასე დაიწყეთ — შეუსწორა ფრიდრიკმა და საზურგეს მიყრდნობილი წინ ისე გადაიხარა, რომ ერთი ხელი საზურგეზე ჩამოდო, მეორეს ლოყა დააყრდნო და ინტეგრას მწვანე თვალებში მიაშტერდა. ქალი ცოტა დაიბნა, მაგრამ აჰყვა.

მე ვარ ინტეგრა ფეირბრუკ...

ინტეგრა — კვლავაც შეაწყვეტინა ფრიდრიკმა.

თქვენ არ გამეცნობით?

რატომ? — გაიკვირვა ფრიდრიკმა — ჩემი სახელი ხომ უკვე გითხრეს.

ასეთი კარგი სმენა გაქვთ? — მაგიდა, რომელთანაც წეღან ინტეგრა იჯდა, ნამდვილად მოშორებით იყო და თვითონ ახლა ერთი სიტყვაც არ ესმოდა კაცების საუბრიდან.

მიყურადება არ კმარა, ადამიანის გულისწადილს რომ ჩასწვდე.

აბა, რა? იქნებ გამანდოთ თქვენი ფორმულა? — თამაშში აჰყვა ქალი.

სმენა, მხედველობა, დაკვირვება და აზროვნება. როცა ამ ოთხს ცოდნით შეკრავთ, შეიძლება მიმიხვდეთ — ფრიდრიკის ღიმილი თავმომწონეობას იხდენდა.

როგორ მარტივად ჟღერს — ცნობისწადილით შეჰყურებდა ინტეგრა და სკამის საზურგეს მიყრდნობილი სულ უფრო კომფორტულად გრძნობდა თავს.

ტრაბახი უკვე ამპარტავნობაში გადამდის — მორცხვად გაეღიმა ფრიდრიკს — ...თქვენი საუბარი დავინახე.

ინტეგრა მიხვდა საქმის ვითარებას: ფრიდრიკი სიტყვებს ტუჩების მოძრაობით კითხულობდა. რამდენადაც ინტეგრამ იცოდა, ამ უნიკალურ უნარს მხოლოდ სამეფოს მსტოვრები ფლობდნენ. მაშასადამე, ფრიდრიკი მთელი დღეების განმავლობაში სულაც არ იჯდა ტყუილუბრალოდ. ის აქ თავმოყრილი ყველა მდიდარი ვაჭრისა და დიდგვაროვანი თავადის საუბარს უსმენდა. და მათ, უხეირო ჩაცმულობის გამო, ფრიდრიკი გიჟად მიაჩნდათ, მაგრამ მაინც ფიქრობდნენ, რომ ომის გმირს ჰქონდა უფლება, ამ ოთახში მათთან ერთად მჯდარიყო. ბოლოს და ბოლოს, თავისთვის იჯდა ჩუმად, არავის უშლიდა ხელს. მასთან საუბრის შემდეგ ინტეგრა მიხვდა, რომ ფრიდრიკი არც უბრალო ვეტერანი გახლდათ და არც რიგითი კოლორიტი მოქალაქე სანაპიროზე. რაღაც უცხო ირეოდა მის მომღიმარ აუსასა და მზით აელვარებულ სათვალეში, რომელიც უკვე ვეღარ დამალავდა იმ დაჟინებულ მზერას, რომლითაც ფრიდრიკი ინტეგრას სწავლობდა.

რა საინტერესო უნარებს ფლობთ, ბატონო ფრიდრიკ.

გთხოვთ... მე არავის ბატონი არ ვარ.

თქვენ ყველა მოსაუბრეს ასე ურთულებთ საქმეს?

მარტივს ნურც ნურაფერს ენდობით.

საუბარი შეწყვიტეს, მაგრამ სიჩუმე არ ჩამოვარდნილა. ისინი ერთმანეთს შეჰყურებდნენ თვალებში და ძალიან ბევრს იგებდნენ. ფრიდრიკის სანდომიან ღიმილში ლედი ინტეგრა მთელ ახალ მიწას ლანდავდა, თავისი ახლებური წესებით. და ეჩვენა, თუ ფრიდრიკს აუღებდა ალღოს, აქაურობასაც ბევრად ადვილად შეეთვისებოდა.

ძველი პიჯაკი რატომ გაცვიათ?

ფრიდრიკმა თავისი გაქუცული, გახუნებული და მზისგან აფორაჯებული ტანსაცმელი ყურებჩამოყრილმა ჩაათვალიერა, მერე ისევ გაეღიმა და მოსაუბრეს მიაშტერდა.

აქამდე ყურადღება არც კი მიმიქცევია. სამოსი სამოსია.

ვერ დაგეთანხმებით. სამოსი ადამიანზე ბევრს გვამცნობს. თქვენ თუ მართლა ომის გმირი და სანაპიროს მიწაზე ცნობილი პიროვნება ბრძანდებით, ასეთი სამოსი არ გეკადრებათ.

მაშინ დამეხმარეთ ახალი სამოსის არჩევაში — ფრიდრიკის ღიმილს რაღაც ჟინი შეეპარა, თითქოს აინტერესებდა, რამდენს გაბედავდა და სადამდე შეტოპავდა ქალი. მართლა ისეთი თამამი და მამაცი იყო, როგორც იქცეოდა, თუ არისტოკრატული კეკლუცობა და სიცელქე არ ასვენებდა. ფრიდრიკს იმის იმედიც კი ჰქონდა, რომ ინტეგრა მიუხვდებოდა ამ აზრებს, მაგრამ ქალი მაინც სხვანაირად იყო აღზრდილი და, უნებურად, ცხოვრების მთავარ გმირად ჯერ კიდევ საკუთარი თავი მიაჩნდა. ასეთი რამ მოზარდებს ახასიათებთ. მიუხედავად იმისა, რომ ლედი ინტეგრა ამ ასაკს კარგა ხნის გადაცილებული იყო, მის ხასიათში მაინც ჟონავდა ტკბილი ანცობა და ბავშვური ილუზიები.

რატომაც არა? — დაჯერებული ღიმილით დაუკრა თავი ფრიდრიკს.

ინტეგრა ისე გავიდა ოთახიდან ფრიდრიკთან ერთად, რომ ვოლტერს არც კი გამოემშვიდობა. იმასაც, ლაპარაკში გართულს, არაფერი გაუგია. ტანსაცმლის სალონი ქუჩის მეორე მხარეს იყო. ხელგაყრილნი მიაბიჯებდნენ, ლამაზ სამოსში გამოწყობილი ინტეგრა და სანაპიროს ყოველ კუთხეში ნაგდები ფრიდრიკი. გამვლელ-გამომვლელებმა ერთი კი გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ მზის მსუყე სინათლეზე ლურჯად ჩაქუფრულ კაცში როგორც კი ფრიდრიკი ამოიცნეს, აღარ გაჰკვირვებიათ. თეთრ სახეზე ამაყი ღიმილი თითქოს მარმარილოსგან ჰქონდა გამოქანდაკებული, ინტეგრა კი თბილად იღიმოდა და ცოტაღა აკლდა, თავი მის მხარზე ჩამოედო.

სალონში შევიდნენ თუ არა, ლუციო გამოეგებათ. ის თავისებური კაცი იყო. იშვიათად თუ შეატყობდით რაიმე ემოციას, გარდა დახვეწილი გრაციოზულობისა. შემოსულ წყვილს თავი ამაყად დაუკრა და ცალმუშა სათვალე უკეთესად მოირგო სქელი წარბის ქვეშ. ყურს ზევით და კეფაზე მორჩენილი სქელი თმა კოხტად ჰქონდა შეღებილი და ჩამოვარცხნილი, ფარდებჩამოფარებული ფანჯრიდან შემომავალი მზის ტოტი ნაზად ირეკლებოდა მისი პრიალა თმის ბოლოებიდან.

ფრიდრიკი ლუციოსთვის უცხო არ იყო. საღამოობით სალონს რომ კეტავდა, არაერთხელ შეუმჩნევია ფრიდრიკი ქუჩაში და დამსახურებული შენიშვნაც მიუცია ჩაცმულობის თაობაზე. ის კი, მართალია, მხოლოდ მშრალი ღიმილით შეხედავდა ხოლმე და უბირივით აუვლიდა გვერდს, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, მაინც სიამოვნებდა მისგან ამგვარი ყურადღება. თუმცა ლუციო ასეთ ემოციურ პასაჟებს არაფრად აგდებდა. მან კარგად იცოდა ფრიდრიკის ფასი, მისი გმირობა ომში და არასოდეს გაუფიქრებია რაიმე აუგი, არათუ წამოსცდომია რაიმე მკვახე.

ვგონებ, ქალბატონმა შეძლო თქვენი გადარწმუნება — მშვიდად წარმოთქვა ცხვირაწეულმა ლუციომ. ფრიდრიკმა ღიმილით დაუკრა თავი, შემდეგ ინტეგრას ხელი გამოართვა და გულის ჯიბიდან ამოღებული კარტი გაუწოდა.

სანამ ლუციო სამოსს შემიკერავდეს, მინდა, ესენი გადაათვალიერო — ინტეგრას თითქოს ყველა მხრიდან ჩაესმოდა ფრიდრიკის ხმა, ხოლო მისი თვალები უკვე სულში ჩაჰყურებდნენ. თავაზიანად გამოართვა კარტი და კმაყოფილი ღიმილით შეუდგა თვალიერებას. ფერად ქაღალდებზე უცნაური ფიგურები იყო გამოსახული, საოცარი დეტალებით. ინტეგრას ეჩვენა, თითქოს მოძრაობდნენ კიდეც დრაკონისებრი ცეცხლოვანი ფორმები. მორკალული გულები, სისხლისფერი კაცუნები და შუბისებრი ხაზებისგან შემდგარი გეომეტრიული ფიგურები — ყველა ერთმანეთს ერწყმოდა და ერთმანეთში გადადიოდნენ. ილუზიებით გართულ ქალს აღარ გაუგია მის გარშემო რა ხდებოდა. ფრიდრიკი გვერდით ოთახში იდგა, ტანთ გაეხადა და ლუციო საგულდაგულოდ უღებდა ზომებს. როცა მორჩა, საკერავ მანქანას მიუჯდა და მუშაობა დაიწყო.

ფრიდრიკი სარკესთან დადგა, კარგა ხანს უყურებდა თავის თავს, აკვირდებოდა წვრილ მკლავებს, ფართო მხრებს, წვრილ წელს, თხელ ტანსა და მასზე ცელოფანივით გადაჭიმულ თეთრ კანს. შემდეგ ხელები სახესთან ახლოს მიიტანა, დასერილ თითებს და გადაქერცლილ ხელისგულებს დააკვირდა. მერე ისევ სარკეში ჩაიხედა და თავის გამოსახულებას თვალებში მიაშტერდა. დიდხანს უყურა, ისე დიდხანს, რომ საკუთარი სახე ბევრ უცხოს მიამსგავსა. კარგა ხანს იდგა გაშეშებული, მერე გრძელი თმა უკან გადაიყარა და ინტეგრასთან გავიდა. მას ისევ კარტი ეჭირა ხელში, თავჩახრილს თვალები ცრემლებით ავსებოდა. ფრიდრიკმა ჩაიმუხლა, კარტები გამოართვა, ქალის მზერა და თითები ფერად ქაღალდებს გაჰყვა, მისი პატარა ყვითელი ხელები ფრიდრიკმა ცივ მუჭში მოიმწყვდია.

როგორი ცივი ხელები გაქვს — ცრემლები მოიწმინდა ინტეგრამ. მზრუნველი თვალები ფრიდრიკის სახეს შეავლო, თითები ლოყებზე მოუსვა, მერე ტანზე დახედა — ზომები აიღო? რომ არ აგვირჩევია სამოსი?

ნუ გეშინია, ლუციომ იცის, რაც უნდა შემიკეროს — მისი ხელები ისევ მუჭში ჰქონდა მომწყვდეული, პირთან მიიტანა, შეისუნთქა და მსუბუქად ეამბორა — ნურაფრის შეგეშინდება, ამ მიწაზე ჩემთან ერთად არაფერი გემუქრება — ფრიდრიკის თანაგრძნობით გაჯერებული ხმა დამაჯერებლად ჟღერდა.

კარგი — თავი დაუკრა ინტეგრამ.

თქვენი სამოსი მზად არის — მოახსენა ლუციომ და ოთახში შებრუნდა.

ფრიდრიკი წამოდგა, ინტეგრას ხელი ჩაჰკიდა და გვერდით ოთახში ერთად გავიდნენ. მან ახალი სამოსი საკიდიდან ჩამოხსნა და სათითაოდ, საგულდაგულოდ დაიწყო ჩაცმა: თეთრი მაისური, თეთრი პერანგი, ვერტიკალურად განასკვული თეთრი ყელსახვევი, ლურჯი ჟილეტი, სქელი ლურჯი შარვალი, შავი ჩექმები და მუქი ლურჯი, ჩვეულებრივზე გრძელი და მოშვებული ფრაკი. გრძელი თმა კოხტად შეიკრა და ზურგზე გადაიყარა, თავზე

ბრტყელი ლურჯი ფედორა დაიხურა, რომელიც უწინდებურად მთელ სახეს დაუჩრდილავდა მზისგან. ინტეგრა ჩუმად აკვირდებოდა, როდესაც ფრიდრიკი მისკენ შებრუნდა, იმედგაცრუებულმა უთხრა:

ისევ ძველებურად გამოიყურები.

ჰო, მაგრამ მაინც ახალია, არა? — ჩვეული ღიმილით შეაგება პასუხი.

ჰო, ბევრად ახლებურია — ღიმილითვე დაეთანხმა ინტეგრა.

ფრიდრიკი ძველებურად გამოიყურებოდა, მაგრამ მასში აშკარად იყო რაღაც ახალი. ახალი ტანსაცმელი, ახალი ქუდი, შეკრული თმები და უფრო ამაყად განასკვული ყელსახვევი მის ცინცხალ ღიმილსაც მედიდურს ხდიდა. ინტეგრა მიხვდა, ფრიდრიკს სულაც არ ეშინოდა ცვლილების, მაგრამ ის მხოლოდ საკუთარ გზას თუ გაკვალავდა უკეთესად და არავითარ შემთხვევაში გაჰყვებოდა სხვისას. იქნებ ეს ჟესტიც იყო იმისა, რომ სანაპირო სწორ გზაზე იდგა, ოღონდ თავისაზე.

ნება მიბოძეთ, გასეირნება შემოგთავაზოთ — ზრდილად დაუკრა ფრიდრიკმა თავი და ხელი გაუწოდა.

რა თქმა უნდა — ინტეგრამ ფრიდრიკის თეთრს თავისი შავი ხელთათმანი შეახო და მოკრძალებულად დასთანხმდა.

ფრიდრიკი ჩვეული ღიმილითა და თავის დაკვრით დაემშვიდობა ლუციოს. ინტეგრასთან ერთად სანაპიროზე ფარდასავით გადმოფარებულ მოსაღამოებულის ჟოლოსფერ სინათლეში გავიდა და ნელა გაიხურა სალონის კარი. ორნი ნელი ნაბიჯით მიუყვებოდნენ ქუჩებს სანაპიროსკენ, არე-მარე ცარიელი იყო. ინტეგრა ნება-ნება მიჰყვებოდა ფრიდრიკს, მას კი თითქოს სადღაც ეჩქარებოდა, თითქოს ვიღაც ეძახდა, თითქოს ვიღაც მოსდევდა, მაგრამ ქალს არაფერი შეუმჩნევია. გზაში ბევრს ლაპარაკობდნენ. ინტეგრას უკვირდა, რატომ არ დაამახსოვრდა მისი სიტყვები. ისე გაერთნენ საუბარში, თითქოს ძალიან დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ. ერთ სიტყვას ორი მოსდევდა, ორს ათი, ათს ოცი, ოღონდ ყველა ერთმანეთის მიყოლებით. ისინი ბაასობდნენ დინჯად და გაუჩერებლად, მოსწრებულად, მაგრამ არა ნაჩქარევად. ინტეგრას წინადადებები ქალურ სიკეკლუცესა და ამაყ აზარტულობაში იყო ამოვლებული, ფრიდრიკი კი თავისი უკიდეგანო ღიმილით ზრდილად იგერიებდა დიდგვაროვან ქალბატონს, მშრალი იუმორით პასუხობდა და პატარა ბავშვივით იკრავდა მკერდზე. ყოველთვის რთული იყო ფრიდრიკის ნათქვამში ჭეშმარიტების, ტყუილის, დაცინვის, სიხარულისა და აღფრთოვანების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ამ კაცს თითქოს ერთდროულად უხაროდა და ეცოდებოდა ყოველივე მის გარშემო. ინტეგრას კი ეს ძალიან ხიბლავდა, თვალწინ ჯერაც ფერადი კარტი ედგა და მწვანე თვალები თეთრად უხასხასებდა. ფრიდრიკის სიტყვებმა დაავიწყა ხანგრძლივი წარსული, მოსწყვიტა მომავლის სიზმრებსაც და შეაჩვია მხოლოდ ახლანდელით თრობას. ინტეგრას ისევ ელანდებოდა ცნობიერში ფერადი ფორმებით ამოტვიფრული კარტი.

სანაპიროს ოდნავ რომ გასცდნენ, ფრიდრიკმა გორაკს მიღმა, პატარა ქოხში შეიყვანა. ქოხს ფანჯრები არ ჰქონდა, მხოლოდ დიდი ლოგინი იდგა შუაში და კედლებთან ანთებული ლამპები იყო ჩამომწკრივებული. „საოცრად ლამაზი ხარ, ლედი ინტეგრა“ — მდაბიური სიამაყით მათრობელა ღვინოსავით ჩაუცქრიალა სიტყვები ყურში, ხელები წელზე შემოჭიდა და მის ყელს მძიმედ და რბილად დაადო კბილები, მერე ტუჩები დაუსვა და ნელნელა მოჰყვა მის კოცნას. ხელები თეძოებში ჩაუცურა. ვნებას აყოლილი ქალი გასუსული იდგა და თმაში ურევდა ხელს. შემდეგ ფრიდრიკმა ხელი თვალებზე აიფარა, შემოატრიალა და მის წითლად გაღვივებულ ტუჩებს დაუწყო ფერება, როცა ხელი მოაშორა და ინტეგრამ თვალი გაახილა, ფრიდრიკს ხელთათმანები აღარ ეკეთა, ფრაკი და პერანგიც გაეხადა. რბილ კუნთებზე ნაზად უდუღდა ხორბლისფერი კანი, შარვლის სალტები კოხტად ჰქონდა მორგებული მხრებზე და აჩეჩილი თმიდან ხალისით გამოსჭვივოდა მისი მარად მკვახეთვალების თაფლისფერი სიტკბოება. ინტეგრა ორიოდ მოძრაობით გააშიშვლა და ლოგინზე გაწოლილს დიდხანს უკოცნიდა მკერდს. მისი ტუჩებიდან ამოდენილი მსუყე ორთქლი სულ უფრო გამომწვევი იყო, ბევრს ეფერებოდა თმებზე, სახეზე, თვალებზე, ინტეგრა კი პატარა კნუტივით კისერზე ეკონწიალებოდა და რაც შეეძლო ბევრს კოცნიდა ყელსა და მკერდზე. ფრიდრიკმა შარვალიც გაიხადა და კიდევ დიდხანს ჩურჩულებდა ლამაზ და ვნებიან სიტყვებს. ინტეგრა თითქოს რაღაც სიზმარში გადაეშვა, სადაც დროისა და სივრცის განზომილება არაფრად ფასობდა. მხოლოდ სანაპიროს სიცხე, ზღვის ტალღები, ვნება და სიყვარულის ბანგი, რომელიც უსასრულოდ ასმევდა საამურმდუღარე ნექტარს...

როცა გაიღვიძა, ლამპები ისევ ენთო. ფრიდრიკი აღარ იყო. წამოდგა, საბანი მოიხურა და გარეთ გავიდა. უსაზღვრო ოკეანეში ზლაზვნით იძირებოდა მზე, ზღვას მონარცხებული ტალღები კი უწინდებურად ირეკლავდნენ მეწამულ სხივებს. ისევ საღამო იდგა. ინტეგრა დაიბნა. ვერ გაეგო, რა დრო გავიდა. ჰორიზონტზე ისევ ფერადად ამოტვიფრული კარტის ფორმები ელანდებოდა. ისევ ქოხში შებრუნდა, ლოგინზე რომ დაწვა, ფრიდრიკის ხმა მოესმა:

შიშველი ნუ გახვალ ასეთ დროს, შეიძლება გაცივდე — ღიმილით ეფერებოდა კარიდან.

სად... როდის... — ქალს უნდოდა, თავი

აეწია, მაგრამ ვერ შეძლო.

ხომ ხედავ, გეძინება. დაიძინე.

ინტეგრა აზრებს თავს ვერ უყრიდა, ეძინებოდა, ფრიდრიკის ხმაზე მართლაც ჩაეძინა. ფერად სიზმრებს ხედავდა, მდიდარს. დიდ სივრცეში მიმოდიოდა შიშველი, ხანაც წეღანდელივით საბანმოფარებული და ყველგან ცისარტყელები და ჟოლოსფერი მზე ელანდებოდა, ხანაც უცნაური კარტის ფორმები, რომლებიც ბუნების მშვენიერებაში იყვნენ შენიღბულნი. ხან ლანდავდა, ხან ვერა. ყურს არ უგდებდა უცნაურ ხმებს და მხოლოდ ბავშვობაში რომ ბოშების სიმღერა გაეგონა, იმგვარ მელოდიას აყურადებდა სადღაც. ფრიდრიკი არსად ჩანდა, მაგრამ სიარულისას აშკარად გრძნობდა მის აჩრდილს, უკან რომ ადევნებოდა და მალულად უთვალთვალებდა ყველგან.

ინტეგრას ფრიდრიკის მკლავებში გაეღვიძა, ქალს არტახებივით შემოსჭდობოდა მისი ხელები. ფრთხილად გაიწია, რომ არ გაეღვიძებინა, ფრიდრიკმა კი თავი მხარზე ჩამოადო და მხიარულად ჩასჩურჩულა:

გაიღვიძე?

ინტეგრა ვერ პასუხობდა, არ იცოდა, რა ნახა სიზმრად, ან ახლა მაინც თუ ეღვიძა. ფრიდრიკი პასუხს არ დალოდებია, ხელები ისევ ტანზე მოუსვა, შემდეგ წელზე, საბანი გადახადა და მთელი სხეულის კოცნას მოჰყვა. ქალიც წადილით გაიტრუნა და უფრო მძიმედ გრძნობდა მის ღონიერ თითებს. ფრიდრიკი უსასრულოდ კოცნიდა, ინტეგრამ ახლა თითქოს მის სახეზეც ფერადი ფიგურები ამოიცნო, მაგრამ სიამოვნებამ მაინც არ დააცადა ყურადღების მოკრება.

ისევ ჩაეძინა და ახლა უფრო დიდხანს დადიოდა უსასრულო სიზმრების უკიდეგანო სამყაროში. სულ უფრო ჩამთრევი ხდებოდა ფერადი ცისარტყელები და ნაირფერი მწვანით აჭრელებული ველები. უცნაური ფიგურებიც აქა-იქ იმალებოდნენ, მაგრამ მხოლოდ აქა-იქ. იქაც ფრიდრიკთან ერთად დადიოდა ჩახუტებული, ისიც უფრო ლაღად იღიმოდა და ხშირად გულითაც, რაც მანამდე არ შეუმჩნევია ინტეგრას. ხშირად გაუღვიძია მის მკლავებში გამომწყვდეულს და კვლავაც მიცემულან სიყვარულს. ბევრი იარეს მზისფერი ჩანჩქერიდან გადმოდენილ ნაირფერ გზებზე. ხანაც ფრიდრიკი ხელს შეუშვებდა ხოლმე და მაშინ ქალი მარტოკა დასეირნობდა ვარსკვლავებს შორის. ხშირად მარტოსაც გაუღვიძია, მაგრამ ფრიდრიკი იმ წამსვე ბრუნდებოდა ოთახში, ლოგინში, მის სიზმრებში. თითქოს ყოველთვის მასთან იყო და ხშირად სხვაგანაც. ერთხელ, სიზმრად ყოფნისას, ინტეგრამ ჰკითხა კიდეც: იმ ალისფერ ვარსკვლავებს ზემოთ რა არისო.

ძალიან კარგი და საინტერესო შეკითხვაა — გულმხურვალე ღიმილით დაუქნია თავი ფრიდრიკმა და ცრემლები მოადგა თვალებზე — ვარსკვლავებს ზევით ჩემი ოცნებებია.

მისი არყოფნისას ინტეგრამ დრო იხელთა და მდელოებზე გადაფენილ ჩანჩქერის ნაირფერ გზას გაჰყვა, შროშანებით მოწნულ კიბეზე აცოცდა, ვარსკვლავებს შორის გაჭედილმა ხელი გაიწოდა, აიწია, ოდნავ აფრინდა და ალისფერ ვარსკვლავებს ზემოთ მოექცა. მიმოიხედა, მაგრამ იქ არაფერი დახვდა. კიდევ იყურა ცოტა ხანს თეთრად განათებულ სიბნელეში, აქა-იქ, ისევ რამდენიმე ფორმა გამოიკვეთა. ფრიდრიკის უცნაური კარტები გაახსენდა. ფორმები თითო-ოროლა იყო, უძლური იყო მის წინაშე. იქნებ ეს იყო ყველაზე რთული ომი — ბედთან შეგუებისა, ან იქნებ ინტეგრას ხასიათთან ბრძოლისა, რომ ქალი ვერ აიტანდა არტახებს, რაც არ უნდა კარგი ყოფილიყო ყველაფერი. როგორ დიდ ნეტარებაშიც უნდა ჩაძირულიყო, მაინც ვერ იქნებოდა ერთ რამეს მიჯაჭვული. ან იქნებ ეს ინტეგრას ბუნება არ იყო, იქნებ ინტეგრა ამით ჰგავდა სანაპიროს ხალხს და ამიტომაც შეუყვარდა ფრიდრიკს,რომელიც გაჩენის დღიდან საკუთარი თავისუფლებისთვის იბრძოდა, სანამ არ მიხვდა, რომ თავისი წადილის ასასრულებლად საყოველთაო თავისუფლებაც საჭირო იყო. იქნებ ფრიდრიკი თავის თავს ებრძოდა ყველაზე რთულ ომში. მას ისევ შეეძლო ინტეგრას დათრობა, მაგრამ გუმანი კარნახობდა, ქალში თავისუფლების წადილი არ უნდა ჩაეხშო და იქნებ ამიერიდან ისიც უფრო სხვანაირად შეხედავდა ყველაფერს, იქნებ ცოტა მისებურადაც. იქნებ ფრიდრიკი მთელი ცხოვრება თავის უძლეველ ფრთებს თვითონვე იჭამდა, რომ ერისკაცად დარჩენილიყო, რაკი მათ შორის სწადდა ცხოვრება. დღედაღამ სისხლი ჩამოსდიოდა კბილებიდან და, ტკივილით სავსე, მაინც ღიმილით იყურებოდა აქეთ-იქით, რადგან ჯერ კიდევ ჩვენს შორის იყო — მიწაზე და არა ვარსკვლავებს ზემოთ, სადაც ინტეგრამგარდა თავზარდაცემისა, ვერაფერი შეიგრძნო. იქნებ როგორ უნდოდა ფრიდრიკს ცოტა იქაური უბრალო ადამიანებისთვისაც ჩამოეტანა მიწაზე, იქნებ იმის იმედიც ჰქონდა, რომ ინტეგრას შეხვდებოდა ამ ოცნების ყველაზე დიდი წილი. ან იქნებ ეს ყველაფერი ერთად ტრიალებდა ამ კაცის სულსა და გონებაში და მისი ომი არასოდეს დამთავრდებოდა, რადგან არც არასოდეს დაწყებულა და მასთან ერთად უსასრულობაში იყო გატყორცნილი, ისეთ უდროო სივრცეში, რომელსაც ინტეგრამ მხოლოდ ცრემლებით დააღწია თავი.

ქოხში რომ დაბრუნდნენ, ინტეგრამ ისევ ძველებურად მოიხდინა თავისი მდიდრული კაბა, შემდეგ გორაკზე მდგარ ფრიდრიკთან მივიდა, ღილები შეუხსნა, პერანგი გადაუწია, მის თხელ ცვილისფერ კანს ხელი მოუსვა მკერდზე, მხრებზე, გაუღიმა და ისევ შეუკრა ჟილეტი. ყელსახვევიც კოხტად გაუნასკვა და ლოყაზე მოეფერა:

ნუ გეშინია მარტოობის. მე უნდა წავიდე, მაგრამ დავბრუნდები, ისევე, როგორც შენ ბრუნდებოდი ყოველ საღამოს ჩემთან. საინტერესო იყო შენი გაცნობა, შენში ბევრია საშიში, მაგრამ მე სიყვარული ვარჩიე. ამ არჩევანის უფლება რომ მომეცი, მაშინ დავინახე ის კეთილშობილება, რომელსაც ათასები აშტერდებიან და მხოლოდ ერთეულები ხედავენ.

ფრიდრიკმა ამაყად გაუღიმა, მკლავი გაუყარა და ქალაქისაკენ მიმავალ ბილიკს უხმოდ გაუყვნენ. გზაში, მართალია, არ საუბრობდნენ, მაგრამ სიჩუმე არ ჩამოვარდნილა. ერთმანეთის გულისცემას გრძნობდნენ და ძალიან ბევრს იგებდნენ...

სადაც მეტყვი, იქ წაგიყვან. ხედავ, ადამიანი ვარ — ინტეგრა მკერდზე მიეხუტა და ხელები მოხვია.

იმ ომის ბრალია? რა ჩაიდინე იმ ომში? რა არ გასვენებს?..

ფრიდრიკს კვლავაც ეღიმებოდა ქალის გულუბრყვილობასა და მის თავდაჯერებულ გამჭრიახობაზე, რასაც ხშირად შეცდომაში შეჰყავს ადამიანი და უნებურად ააცდენს ხოლმე ჭეშმარიტების გზას.

ის უბრალო ომი იყო — ლოყაზე ეფერებოდა და ისე უხსნიდა ინტეგრას — კაცი კაცს ვკლავდით.

მაგაზე უარესი ომი არსებობს? — ცრემლები შეიწმინდა ინტეგრამ.

კი, მაგაზე უარესი ომი დღემდე გრძელდება.

ფრიდრიკმა ქალი წამოაყენა და ქოხისკენ წაიყვანა. ინტეგრა თითქოს ნელნელა ხვდებოდა ბევრ რამეს. მაინც ბევრი რამ მაინც სავსე იყო სიცარიელით, რომელსაც სიზმარში ფრიდრიკის კარტებზე გამოსახული ფორმები ავსებდნენ, მაგრამ ახლა უკვე ნამდვილად ცხადში იყო. ინტეგრამ ფრიდრიკის სახეზე აღბეჭდილ ღიმილში დიდი სინანულისა და უმწეობის კვალი დაინახა. მიხვდა, მას ძალიან ეშინოდა სწორედ ამ გარდაუვალი განშორების მომენტის, მან იცოდა კიდეც, რომ ის აუცილებლად დადგებოდა, მაგრამ

რეზო ჩარკვიანი

შენობაში

...ზევით ავდივარ.

თანამშრომელ გოგოს ზურგიდან ვეხუტები. ხელებს წელზე ვხვევ და ვეკრობი. ნიკაპს მხართან ვადებ და ვფიქრობ, არ ვატკინო. თან მოსარიდებელია, სხვაგვარად გამიგებენ. არაფერს ვიმჩნევ, ჯერ ოდნავ ვიწევი, მიტმასნილი რომ არ ვიყო, ხელებს მხრებზე ვაწყობ, ლოყაზე ვუყურებ და ვუღიმი. ისიც მიღიმის. თვითონ არ ეტყობა, წინააღმდეგი იყოს, მაგრამ მერიდება ოთახის. მთლიანად ვიწევი მისგან. კუთხეში ბიჭი ზის კომპიუტერთან. ეკრანზე ფოტო აქვს გახსნილი. ძველი, შავ-თეთრი. ქვის ანგელოზის. მიბრუნდება და მიღიმის. მეც ვუღიმი. შუა სივრცეში სვეტიც არი, რომელიც არ უნდა იყოს. შესაძლოა, ვცდები.

გავდივართ გვერდით, სადაც სტუმრები არიან. არ ვიცი, არ ვიცნობ და არც ვფიქრობ ვინ. ჩვენიანი თეთრ, აქედან მონაცრისფროდ რომ ჩანს, დაფასთან დგას, მუქ ხაოიან კედელზე მიყუდებული და საუბრობს. პრეზენტაციას ატარებს. ვუსმენ.

მე მაგიდასთან ვარ სკამზე. ვწერ.

შავთმიან სტუმარ ქალს ახალგაზრდა აღარ ეთქმის. მაგრამ უცხო სახე აქვს. მიმზიდველი. უცხო ჩაცმულობა. მიყურებს. ფეხებს ოდნავ შლის მაგიდის ქვეშ. ჩემი ხელი მიაქვს და მათ შორის დებს. მერიდება. ყველა დგება. შესვენება ცხადდება შეხვედრაზე. მიბრუნდება და ჩურჩულით მეუბნება, მერე განვაგრძოთ, რომ დამთავრდებაო. თავს ვუქნევ. ყველა ფეხზე დგას შეხვედრების ოთახში, რომელიც უფრო დერეფანს გავს. ერთ მხარეს ღიაა, შიდა აივანივით — მხოლოდ ქვის სვეტები კრავენ ვირტუალურად სივრცეს. დერეფან-ოთახის ღია კედლიდან ათ საფეხურზე ჩავდივარ უზარმაზარ ცარიელ ჰოლში, პირველ სართულზე. სადგურივით ძალიან მაღალი სივრცეა ქვის იატაკით, ცივი მუქი მარმარილოს კედლებით. მთელს უზარმაზარ ოთხკუთხა წრეზე.

მარცხნივ სვეტებია ჰოლში, ათიოდ მეტრის გაყოლებაზე, მოაჯირებით და ბოლოში კიბით, რომელიც მინუს სართულზე ჩადის საპირფარეშოში. მოაჯირიდან ვიხედები. ჩავდივარ ქვის კიბეებზე ქვევით, მინუს სართულზე. პირდაპირ ტუალეტების კარს ვადგები. ვჩერდები.

მარცხნივ ბნელ შახტში ვიღაც ჩადის. ვერ ვცნობ, არადა მეცნობა. მიტრიალდება და მიღიმის. ვუღიმი. მიუყვება ვიწრო კიბეს დაბლა.

მარჯვნივ შევდივარ. ორი ხანშიშესული ქალი საპირფარეშოს მისაღებში გვერდიგვერდ სხედან, მოშინდისფრო, ყვითელდაკრულ სქელ ხალათებში. ვფიქრობ, ფული გადავიხადო, მაგრამ ხურდის დასადებს ვერ ვხედავ და მარჯვნივ ვტრიალდები მამაკაცების კარისკენ. ქალები უკმაყოფილოდ მიყურებენ და ამბობენ რაღაცას, რაც არ მესმის და მერიდება. კედელთან მისული ვხედავ თუ ვამჩნევ ორ დიდ პისუარს, რომლებიც უფრო ჩასაწოლ აბაზანას წააგავს. ერთში ვიღაც ბაბუ წევს, მეორეში ბებო. ძინავთ. სახე შეუმჩნევლად მეღრიჯება, ვიზუალურად არ იცვლება, მხოლოდ შიდა შრეები იღრიჯება, სახის ფასადი უცვლელია. მესამე პისუარი, რომელიც იგივე ზომისაა, ნახევრად სავსეა და შიგ რაღაც არსება დაცურავს. ვშარდავ. გამოღვიძებული მწოლიარე მიყურებს შეწუხებული. მერიდება და კაბინაში გავდივარ, სადაც ვაგრძელებ კარგახანს. ვიკრავ და კაბინიდან პირდაპირ ამ მინუს სართულის დარბაზში შევდივარ, რომელიც მიწის ქვეშა სართულისთვის დიდია. ისედაც საკმაოდ.

წაგრძელებული ფორმა აქვს და მაღალი ჭერი, ძალიან. ერთ ბოლოში, მთელს კედელზე, მთლიანად მოზაიკაა. მოზაიკის ქვები ორჯერ უფრო დიდია ამჯერად. მასალა გაურკვეველი. მოზაიკა დატეხილია, აჭრელებული, ფრაგმენტული. რაღაცას გავს. თითქოს. მეორე ბოლოში ორი მაღალი ფანჯარა, დაბურული ვიტრაჟით. მინუს სართულს გამჭვირვალე რაში სჭირდება. მათ შორის კედლის ცარიელი სივრცეა დარჩენილი. ახლოდან ვაკვირდები. გვერდით ამ მინუს სართულის არქიტექტორი და ადმინისტრატორი მის შევსებაზე მსჯელობენ. რამოდენიმე ნიმუში ხელში აქვთ. ვეთანხმები, რადგან კარგი იქნება ცარიელი კედელი, ორ მაღალ, ჭერამდე დაბურულ ვიტრაჟს შორის შეივსოს. უკან ნაბიჯები მიდიან. დარბაზის ზედა სივრცე იმდენად ვრცელია, რომ მასზე ფიქრს არ ვაგრძელებ.

ზევით აბრუნება მეზარება. მახსენდება, რომ მინუს სართულზე მოგრძო დარბაზია, რომელშიც ახლა მოზაიკის წინ ვდგავარ და ვფიქრობ. ვფიქრობ, რომ ვფიქრობ. არი საპირფარეშოები, მარცხნივ ბნელი შახტი, ვიღაც რომ ჩადის. რომ ვერ ვცნობ, არადა მეცნობა. მიტრიალდება და მიღიმის. ვიღაცას გავს. ვუღიმი. მიუყვება ვიწრო კიბეს დაბლა. იქვე არი ზემოთ ასასვლელი ქვის გრძელი კიბე, მარჯვნივ თავზე სვეტებით, შორის მოაჯირებით, რომელსაც უზარმაზარ ჰოლში ავყავართ, პირველ სართულზე. რომელიც სადგურს მაგონებს. ქვის იატაკით, რომელიც ყოველთვის მარმარილოსი მგონია, ოღონდ მუქი მარმარილოსი, კედლებიც. მაღალი სივრცით ძალიან, გოთიკურს რომ ესე გავს და ერთ ბოლოში მაქსიმუმ ათ საფეხურიანი კიბით სვეტებიან ამაღლებაზე, რომელიც დერეფანს წააგავს, უფრო შიდა აივანს, მაგრამ მისაღები სივრცეა სტუმრებისთვის. სადაც ის ქალი მელოდება, დაწყებულის დასასრულებლად შეხვედრის შემდეგ, რადგან მანამდე მოსარიდებელია. ჰოლის მეორე ბოლოში კი ფოკუსს ვერ ვასწორებ, ამიტომ არ ვიცი, რა არი. რაღაც, ფოკუსს მიღმა. ზევით ავდივარ.

თანამშრომელ გოგოს ზურგიდან ვეხუტები ოფისში. ხელებს წელზე ვხვევ და ვეკრობი. ნიკაპს მხართან ვადებ და ვფიქრობ, ხომ არ ვტკენ. ქერა თმა სახეზე მიღუტუნებს. გრილ, გემრიელ, არომატს ვგრძნობ მის კისერზე. ვფიქრობ, რომ მოსარიდებელია, სხვაგვარად გამიგებენ. არაფერს ვიმჩნევ, ჯერ ოდნავ ვიწევი, მიტმასნილი რომ არ ვიყო, ხელებს მხრებზე ვაწყობ, ლოყაზე ვუყურებ და ვუღიმი. ისიც მიღიმის. თვითონ არ ეტყობა, წინააღმდეგი იყოს, მაგრამ მასაც ერიდება ოთახის. მთლიანად ვიწევი მისგან.

კუთხეში ბიჭი ზის კომპიუტერთან. ეკრანზე ფოტოა გახსნილი. ძველი შავ-თეთრი. ქვის ანგელოზი ქალაქს გადაჰყურებს. ზედ ახატავს. ახალ, მეორე შრეს ადებს. ფერადი ფანქრის ეფექტით ახატავს ზემოდან. პირველ ფენაზე მეორე ფენას. შავ-თეთრ რეალობაზე ფერად, მეორე შრეს ადებს. ტრიალდება და მეკითხება, როგორ მომწონს. ვპასუხობ, რომ ყურადღებას იქცევს. თვალებს ვჭუტავ უკეთ გასარკვევად. ვუღიმი. შუა სივრცეში სვეტიც არი, რომელიც არ უნდა იყოს. არ მგონია, ვცდებოდე.

გავდივართ გვერდით, სადაც სტუმრები არიან. არ ვიცი, არ ვიცნობ და არც ვფიქრობ, ვინ. არ მაინტერესებს. მეორეხარისხოვანია. ჩვენიანი თეთრ, აქედან მონაცრისფროდ რომ ჩანს, დაფასთან დგას, მუქ ხაოიან კედელზე მიყუდებული და საუბრობს. პრეზენტაციას გვიტარებს ჩვეულ თემაზე. ვუსმენ.

მე მაგიდასთან ვარ სკამზე. ვწერ. თვალს ვადევნებ სიუჟეტს. ფრაზებს ვამატებ და ვაკლებ. ვნიშნავ, ვშლი. ვცდილობ, ლაკონური ვიყო. ტექსტს კორექტურას ვუკეთებ. ვაკორექტირებ. არი. თუ არის.

შავთმიანი სტუმარი ქალი ზის, უცხო სახე აქვს. ახალგაზრდა აღარ ეთქმის, მაგრამ მიმზიდველია. უცხო ჩაცმულობა აქვს, გამომწვევი. ჩვენებური არ არი. ფეხებს შლის მაგიდის ქვეშ, ჩემს ხელს ნაზად იღებს და დებს მათ შორის. უხერხულ სიტუაციაში ვხვდებით. ვხვდებით. ვდგებით შესვენებაზე მორიდებულები და თავის დაკვრით, თვალებით ვთანხმდებით, დასრულების შემდეგ დავასრულოთ დაწყებული.

ყველა ფეხზე დგას შეხვედრების ოთახში, რომელიც უფრო დერეფანს გავს, ერთ მხარეს საერთოდ ღიაა, მხოლოდ ქვის სვეტები ვირტუალურად კრავენ სივრცეს. გვერდიდან შიდა აივანს წააგავს ამაღლებაზე, უზარმაზარი ჰოლის ერთ კედელზე. დერეფან-ოთახ-აივნის ღია კედლიდან ათ საფეხურზე ჩავდივარ ჰოლში, პირველ სართულზე. ოფისად გადაკეთებული ძველი სადგურის უზარმაზარი ცარიელი და ძალიან მაღალი სივრცით. ქვის იატაკით. ცივი მუქი მარმარილოს კედლებით. მთელს უზარმაზარ ოთხკუთხა წრეზე.

მარცხნივ სვეტებია ჰოლში, ათიოდ მეტრის გაყოლებაზე, შორის მოაჯირებით და ბოლოში კიბით, რომელიც მინუს სართულზე ჩადის საპირფარეშოში.

ჩასვლამდე ყოველთვის ვიყურები ქვევით სვეტებს შორის მოაჯირიდან, რომელიც უზარმაზარ ჰოლშია. ჩავდივარ ქვის კიბეებზე, მინუს სართულზე და პირდაპირ ტუალეტების კარს ვადგები. ვჩერდები.

მარცხნივ ბნელ შახტში ვიღაც ჩადის. ვერ ვცნობ, არადა მეცნობა. ვიღაცას გავს. მიტრიალდება და მიღიმის. ვუღიმი. მიუყვება ვიწრო კიბეს დაბლა.

ხელმარჯვნივ კარში შევდივარ, როგორც ყოველთვის. ორი ხანშიშესული ქალი საპირფარეშოს მისაღებში გვერდიგვერდ ზის მოსწავლესავით ხელდაკრეფილი. იგივე აცვიათ. მინდა, ფული გადავუხადო, მაგრამ ხურდის ჩასაყრელს ვერ ვამჩნევ და მარჯვნივ ვტრიალდები მამაკაცების კარისკენ. ქალები უკმაყოფილოდ იჯღანებიან და რაღაცას ამბობენ, რაც არ მესმის და მერიდება. კარს ვაღებ. კედელთან მისული ვხედავ ორ დიდ პისუარს, რომლებიც უფრო ჩასაწოლ აბაზანას წააგავს. ერთში მოხუცი წევს, მეორეშიც. ვიღაც ბაბუ და ბებო. ორივეს მოშინდისფრო, ყვითელ დაკრულ სქელ ხალათებში სძინავთ. სახე შეუმჩნევლად მეღრიჯება, ვიზუალურად იგივეა, მხოლოდ შიდა შრეები იცვლება, ფასადი არ იძვრის. გვერდით პისუარი, რომელიც იგივე ზომისაა, ნახევრად სავსეა და რაღაც არსება ცურავს. მგონი აქსოლოტლია. შიგ ვშარდავ და მისი თვალებით ვუყურებ ჩემ თავს ქვემოდან ზემოთ.

გამოღვიძებული მარჯვნივ მწოლიარე ბებო მაფხიზლებს, მიყურებს შეწუხებული. მერიდება და კაბინაში შევდივარ, სადაც ვაგრძელებ ცოტახანს. ვიკრავ და კაბინიდან პირდაპირ დარბაზში ვაბიჯებ, ამ მინუს სართულის, რომელიც მიწის ქვეშა სართულისთვის დიდი და მაღალია. წაგრძელებული ფორმა აქვს. ერთ ბოლოში მთელს კედელზე დატეხილი მოზაიკაა, ფრაგმენტული. ეს ცალკეული მოზაიკური ქვები ორჯერ პატარაა, ვიდრე წინა ჯერზე. მასალა კვლავ გაურკვეველი რჩება. მოხატულობა მთლიანად ჭრელია, დატალღული, დატეხილი. კვლავ რაღაცას მაგონებს. მეორე ბოლოში ორი მაღალი ფანჯარაა, დაბურული ვიტრაჟით. მინუს სართულს გამჭვირვალე არ სჭირდება. მათ შორის კედლის სივრცეა ცარიელი დარჩენილი, მაღალი. ახლოდან ვაკვირდები. გვერდით ამ სართულის მაღალი, გამხდარი არქიტექტორი და დაბალი, ჩაფსკვნილი ადმინისტრატორი დგანან და კედლის დარჩენილი ნაწილის შევსებაზე მსჯელობენ. ცხენი და ვირი მოუხდებოდათ. რამოდენიმე ნიმუში ხელთა აქვთ. მიბრუდებიან და სინქრონულად მეკითხებიან ჩემ აზრს. ერთდროული ლაპარაკი რეზონანსს იწვევს და ყურები მტკივდება. არ ვიმჩნევ. ვუღიმი. ვამხნევებ და ჩემს ვარიანტს ვაწოდებ, რადგან მართლაც კარგი იქნება კედელი, ორ მაღალ, ჭერამდე დაბურულ ვიტრაჟს შორის შეივსოს, ცარიელი რომ არ დარჩეს. უკან ნაბიჯები მიდიან. ამ ჰოლის ზედა სივრცე იმდენად ვრცელია, რომ მასზე ფიქრს აზრი არა აქვს.

გვერდითა, გრძელი კედლის შუაში კარია გამოტეხილი, ადამიანის სიმაღლის, თაღური დაბოლოებით, რომელიც კედლის ფრესკას ქვედა შუა ნაწილს აჭრის. ფრესკაზე, სუფრასთან სხედან და ვახშმობენ, ბჭობენ არეულები, შფოთიანები. დაკარგულები ჩანან, დაბნეულები. არ იციან, რა ელით. რა ქნან. რაღა აკეთონ. პასუხები არ აქვთ. კითხვები კი. აზრს ვეღარ ხედავენ. მნიშვნელობა აღარ ესმით. აღარ იციან, რა არი მნიშვნელოვანი, საერთოდ რამეს თუღა აქვს მნიშვნელობა. პასუხები თუ არსებობს მათ კითხვებზე, რომლებიც ბევრი აქვთ. შუაში მჯდომის იმედად არიან. ზოგი აღარც. შუაში მჯდომის, რომელიც სევდიანად თვალებს ხრის.

ფრესკის ქვეშ, გამოტეხილ კარში, მოტვლეპილი ფრანცისკანელი ბერი დგას ლუდის ბოთლით ხელში. ბოთლის ეტიკეტზეც ფრანცისკანელი ბერის გამოსახულებაა ლუდის ბოთლით ხელში, რომელსაც ლუდის ბოთლი უჭირავს, რომლის ეტიკეტზე ფრანცისკანელის გამოსახულებაა ლუდის ბოთლით, რომელსაც ლუდი უჭირავს ეტიკეტზე ბერის გამოსახულებით, რომელიც გამოტეხილ ბნელ კარში შედის და ვეღარ ვხედავ.

ზევით უნდა ავბრუნდე, მაგრამ მეზარება. მახსენდება, რომ მინუს სართულზე დიდი, მოგრძო ჰოლია, რომელშიც ფრესკის წინ ვდგავარ და ვფიქრობ, რომ ფრესკიდან მიყურებენ დაბლა. ვფიქრობ, რომ გადმოვყურებ ჩემს თავს ფრესკიდან დაბლა, როგორ ვდგავარ ქვევით და ვუყურებ ფრესკას ზევით, საიდანაც გადმოვყურებ ჩემს თავს ქვევით.

ეს ფიქრი მაშინებს და ვიხსენებ, რომ ამ სართულზე, ასევე არი საპირფარეშოები. მის მარცხნივ ბნელ შახტში ჩამავალი ვიწრო კიბე. ვიღაც რომ ჩადის. ყოველ ჯერზე მიტრიალდება და მიღიმის. ვერ ვცნობ. არადა მეცნობა. ვუღიმი. მიუყვება კიბეს დაბლა. ვტრიალდები და ტუალეტში შევდივარ, როგორც ყოველთვის.

იქვეა ზევით პირველ სართულზე ასასვლელი ქვის გრძელი კიბე, მარჯვნივ მაღლა სვეტებით, შორის მოაჯირებით, რომელსაც უზარმაზარ ჰოლში ავყავარ. ოფისად გადაკეთებული ძველი სადგურის უზარმაზარი ცარიელი და ძალიან მაღალი სივრცით. ქვის იატაკით. რომელიც სულ მარმარილოსი მგონია, ოღონდ მუქი მარმარილოსი, დაძარღვული. მაღალი კედლებით ძალიან, გოთიკურ სივრცეს რომ მაგონებს და ოკეანის გაღმურ მატარებლის სადგურს. ცარიელია. ერთ ბოლოში ყველაფერი ფოკუსს გარეთაა და ვერ ვარჩევ ვერაფერს. ვგრძნობ, რომ ფოკუსს მიღმა რაღაც არი. მეორე ბოლოში მაქსიმუმ ათ საფეხურიანი კიბეა სვეტებიან ამაღლებაზე, ასასვლელი, რომელიც ღია დერეფანს გავს, უფრო შიდა აივანს, მაგრამ მისაღები სივრცეა სტუმრებისთვის, სადაც ის შავგვრემანი ქალი მელოდება დაწყებულის დასასრულებლად შეხვედრის შემდეგ, რადგან მანამდე მოსარიდებელია. ზევით ავდივარ.

თანამშრომელ გოგოს ზურგიდან ვეხ-

უტები ოფისში. ხელებს წელზე ვხვევ და ვეკრობი. ნიკაპს მხართან ვადებ და ვფიქრობ, არ ვატკინო. ქერა თმა სახეზე მიღუტუნებს. სუნამოს გრილ, გემრიელ, არომატს ვგრძნობ მის კისერზე. ვფიქრობ, რომ მოსარიდებელია, სხვაგვარად გამიგებენ. არაფერს ვიმჩნევ, ჯერ ოდნავ ვიწევი, მიტმასნილი რომ არ ვიყო, ხელებს მხრებზე ვუწყობ, ლოყაზე ვუყურებ და ვულიმი. ისიც მიღიმის. თვითონ არ ეტყობა წინააღმდეგი იყოს, მაგრამ გვერიდება ოთახის. მთლიანად ვიწევი მისგან.

კუთხეში ბიჭი ზის კომპიუტერთან. ეკრანზე ფოტო აქვს გახსნილი. ძველი, შავ-თეთრი. ქვის ანგელოზი ქალაქს გადაჰყურებს. საკუთარს. დანგრეულს. ზედ ახატავს. ახალ, მეორე ფენას ადებს. ფერადი ფანქრის ეფექტით ზემოდან ახატავს. პირველ ფენაზე, მეორე ფენას. შავ-თეთრ რეალობაზე ფერადს. და ზედ კიდევ მესამე, ახალ, საღებავის შრეს. ფოტოს პირველ შავთ-თეთრ რეალობაზე, ფანქრით დახატული მეორე ფერადი რეალობის ზემოდან მესამე, საღებავით შექმნილ რეალობას ადებს. ფენები იკარგება და შეკრული, სამ შრიანი ფერადი ფოტო რჩება. ტრიალდება და მეკითხება, როგორ მომწონს. ვპასუხობ, რომ გადატვირთულია და გაუგებარი, მაგრამ ყურადღებას იქცევს. თვალებს ვჭუტავ უკეთ გასარკვევად. ვულიმი. საინტერესოა ფენოვანი რეალობა. ოთახის შუა სივრცეში სვეტიც არი, რომელიც არ უნდა იყოს. მგონი, ვცდები. სამწუხაროდ.

გავდივართ გვერდით, სადაც სტუმრები არიან. არ ვიცი, არ ვიცნობ და არც ვფიქრობ ვინ. საჭიროც არ არი. მესამე ხარისხოვანია. ჩვენიანი თეთრ, აქედან მონაცრისფროდ რომ ჩანს, დაფასთან დგას, მუქ ხაოიან კედელზე მიყუდებული და საუბრობს. პრეზენტაციას ატარებს. გარკვეულ თემაზე. ყურადღებით ვუსმენ.

მე მაგიდასთან ვარ სკამზე. ვწერ. თვალს ვადევნებ სიუჟეტს. რომელიც. რომელსაც. ფრაზებს ვამატებ. განსაკუთრებით ფარულ დიალოგებს, რომლებიც არ გამომდის. არც სიუჟეტი. არც ზუსტად, კონკრეტულად და ცოცხლად წერა. მითუმეტეს ლაკონურად. არც დასრულება. არადა გასაგზავნია. ვწერ და ვწერ. წინას ვუბრუნდები, ახალს ვუმატებ. ვაკორექტირებ. გრამატიკასაც. შეცდომებს ვასწორებ. სწორი არი(ს მგონი). არის.

შავთმიან სტუმარ ქალს ახალგაზრდა აღარ ეთქმის. მაგრამ უცხო სახე აქვს. მიმზიდველი. უცხო ჩაცმულობა. გამომწვევი ღიმილი. ჩვენებური არ არის. მიყურებს. ფეხებს ოდნავ შლის მაგიდის ქვეშ. ხელი მიმაქვს და მათ შორის ვდებ. ყველა დგება. შესვენება ცხადდება შეხვედრაზე. მიბრუნდება და ჩურჩულით მეუბნება, მერე განვაგრძოთ, რომ დამთავრდებაო. ჩვენებურად არ ამბობს. თავს ვუქნევ სწრაფად.

ჩემი ქერა თანამშრომელიც აქ არის. გვერდით მიდგას. გულდაწყვეტილი. მესმის მისი. მაგრამ ვერაფერს გავაწყობ. ყველა ფეხზე დგას შეხვედრების ოთახში, რომელიც უფრო დერეფანს გავს, ერთ მხარეს საერთოდ ღიაა, მხოლოდ ქვის სვეტები ვირტუალურად კრავენ სივრცეს და შიდა აივანს ამსგავსებენ. დერეფან-ოთახ-აივნის ღია კედლიდან ათ საფეხურზე ჩავდივარ ოფისად გადაკეთებული ძველი სადგურის უზარმაზარ ცარიელ ჰოლში, ძალიან მაღალი სივრცით. ქვის იატაკით. ცივი მუქი დაძარღვული მარმარილოს კედლებით, რომელთა გაყოლებაზეც გრილი ნაკადი მთელს უზარმაზარ ოთხკუთხა წრეზე მისრიალებს.

მარცხნივ სვეტებია ჰოლში, ათიოდ მეტრის სიგრძეზე, შორის მოაჯირებით და ბოლოში კიბით, რომელიც მინუს სართულზე ჩადის საპირფარეშოში. მოაჯირიდან ვიხედები. ჩავდივარ ქვის კიბეებზე ქვევით, მინუს სართულზე. პირდაპირ ტუალეტების კარს ვადგები. ვჩერდები.

მარცხნივ, ბნელ შახტში ჩავდივარ ვიწრო კიბეზე. ვტრიალდები და ვუღიმი. ვერ მცნობს. არადა ვეცნობი. ისიც მიღიმის. ტრიალდება და ტუალეტში შედის როგორც ყოველთვის.

საპირფარეშო ისევ უკან, მაღლა მრჩება. შახტის ბნელ კიბეს კვლავ დაბლა მივუყვები...

დეგიუტი

საღამო იყო, როდესაც დათო სამსახურიდან ბრუნდებოდა ავტობუსით. იმ დღეს დისტრიბუციის მანქანას, რომლითაც პროდუქტები დაქონდა მაღაზიებში, მარჯვენა ფარი ჩაელეწა ვაჟა-ფშაველას კუთხეში მომხდარ პატარა ავარიაში. მართალია, დათოს ბრალი არ იყო, მაგრამ დაზღვევა არ ჰქონდა მანქანას და უფროსმა გამოუცხადა, ხელფასიდან მოგიწევს შეკეთების საფასურის გადახდაო. ეს იმას ნიშნავდა, რომ დათო იმ თვის ბინის ქირის გადახდას ვერ შეძლებდა. ისედაც გაღიზიანებულს, ავტობუსის ჩახუთული ჰაერი, ოფლის სუნი და ჭყლეტვა უარესად უშლიდა ნერვებს. ფიქრებში წასულს, ერთი კი გაუელვა თავში, ბილეთს ავიღებო, მაგრამ პირველი მცდელობის შემდეგ, როდესაც გზა, ბილეთების აპარატების ირგვლივ შემოჯარულმა, ერთმანეთში აზელილმა ხალხმა გადაუღობა, განზრახვაზე ხელი აიღო და ფიქრებს მინებდა.

ავტობუსი დაიძრა, ხალხმა ნელ-ნელა ჩასვლა დაიწყო და ადგილებიც გათავისუფლდა. ახლა უკვე ისეთი ჭყლეტვა აღარ იყო და დათოს თავისუფლად შეეძლო, ემოძრავა.

სახლის გაჩერებამდე ცოტა იყო დარჩენილი, როცა ავტობუსში კონტროლიორი ამოვიდა, შუახნის კაცი, უმეტყველო სახით და დაღლილი ფიზიონომიით. მოშვებული სხეული ზანტად ამოიტანა ავტობუსში და გამოაცხადა, ბილეთები წარმოადგინეთო. და, რადგან დათო კართან ახლოს იდგა — იქ, სადაც ამოსვლისას გაჩერდა თავიდანვე — პირდაპირ მას მიადგა:

— თქვენი ბილეთი.

დათო მხოლოდ ახლა გამოერკვა ფიქრებიდან და კონტროლიორს თვალებში შეხედა. შემდეგ დაბნეულად მოისინჯა ჯიბეები და გაახსენდა, რომ ბილეთი არ ქონდა.

კონტროლიორი მოთმინებით დაელოდა, როდის დაასრულებდა დათო ჯიბეების ჩხრეკას და შემდეგ მოკლედ მოჭრა — ჩამობრძანდით! დათოს კი, რომელიც ბილეთის აპარატისაკენ დაიძრა, გზა გადაუჭრა. დათომ გაკვირვებით შეათვალიერა კონტროლიორი, ვერ მიხვდა, რა უნდოდა, შემდეგ კიდევ ერთხელ სცადა კონტროლიორისთვის გვერდის ავლა და კვლავ წინააღმდეგობას რომ შეხვდა, უკვე შეკავებული ბრაზით უთხრა:

— გამატარეთ.

— აქამდე უნდა აგეღო.

— აქამდე ვერ ავიღე, ჭყლეტვა იყო.

— არაფერი ჭყლეტვა არ იყო. ჩამობრძანდით.

უბოდიშოდ ჩაავლო ხელი სახელოში და კარისკენ გაქაჩა. დათო ამას არ ელოდა. ბრაზი უეცრად მოაწვა და სისხლმა თავში აასხა. იგრძნო, როგორ გროვდებოდა მთელი დღის დავიდარაბა ერთ წერტილში და საცაა, ამოხეთქავდა. ხელი გამოგლიჯა, კბილებში გამოცრა — გამატარეო, და შეეცადა, გვერდი აევლო, მაგრამ კონტროლიორი არ აპირებდა მსხვერპლის გაშვებას. ქურთუკზე ჩაებღაუჭა და დაიყვირა:

— ჩამობრძანდით, ახალგაზრდა. თუ არადა, პოლიციას დაელაპარაკები.

მძღოლს, რომელიც აქამდე სარკეში უყურებდა ამ სცენას, მოთმინება გამოელია და დაიღრიალა:

— ან ჩადით ან ამოდით, კაცო!

და თითქოს გატრუნული მგზავრები ამას ელოდნენ, ყველა ერთად აყაყანდა:

— საიდან მოვიდნენ ეს კონტროლიორები, რა ხალხია საერთოდ?!

— რა ახალგაზრდობა მოვიდა, ბილეთის აღება რა გამხდარა.

— აცლიან მერე?

— აქამდე უნდა აგეღოთ, ახლა ჩაყევით! გვეჩქარება.

— საერთოდ ეს მთავრობა უნდა ამოწყვიტო ყველა ერთად.

— მთავრობა რა შუაშია, ხალხია დამნაშავე.

— ხალხი რა შუაშია, ხალხი წელში იწყვიტება.

და ისევ მძღოლმა:

— ჩადიხართ თუ წავიდე?

დათოს დაღლილობა მოაწვა. ავტობუსის სურათი მის თავში გაიდღაბნა, მგზავრების სახეები ერთმანეთში აირივნენ. მათი ხმები, თითქოს, სქელი, დახშული კარის იქიდან აღწევდა დათომდე. კონტროლიორმა ფორმა დაკარგა და დიდ, გადღაბნილ ლაქად გადაიქცა ზაფხულის ღრუბლიანი დღის ხვატში დამდნარი ავტობუსის ფონზე. დათო ხედავდა, როგორ იზრდებოდა ლაქა მის თვალწინ, როგორი მუქარით წამოიმართა მის თავზე და შემდეგ როგორ უბიძგებდა კარისკენ, თან გაუგებარ სიტყვებს ჩასძახოდა. დათომ გაიბრძოლა, ლაქას ხელი კრა და მარჯვენა ლოყაზე, შემთხვევით თუ განზრახ, ყრუ ტყლაშუნით დაშვებული მუშტი იგრძნო.

ცოტა ხანში ის და კონტროლიორი გაჩერებული ავტობუსის ახლოს მტვერში გორაობდნენ, ერთმანეთს წიხლებს და მუშტებს უშენდნენ. მერე ავტობუსი ზანტად ამოძრავდა, გზაზე გასწორდა და უშფოთველად განაგრძო გზა აყაყანებული მგზავრებიანად.

თავიდან თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ კონტროლიორი დაიღალა, რამდენიმე წამის შემდეგ ძირს გაიშოტა და აღარც განძრეულა. მის გვერდით დათო იდგა, აქოშინებული, მოკუმული მუშტებით, და დაჰყურებდა. წვრილი წვიმა, რომელსაც გახურებული ჩხუბისას ვერ ამჩნევდნენ, ახლა ირგვლივ დამდგარ მტვერს ატალახებდა და სულ პატარა, ახლად გაჩენილ გუბეებში დგებოდა ნელ-ნელა. დათომ დაინახა, კონტროლიორის დამტვერილი და ამოჩაჩული უნიფორმის ერთ-ერთ ნაკეცში როგორ ჩაგორდა ტალახიანი წვიმის წვეთი.

ასე იყვნენ ერთხანს, სიჩუმეში. დათო კონტროლიორს დასცქეროდა, კონტროლიორი კი თავისი უმეტყველო, გაბეზრებული თვალებით — ასფალტისფერ ცას.

მერე დათო გატრიალდა და გაიქცა. თითქმის უაზროდ მირბოდა რამდენიმე წუთი გრძნობდა, როგორ ინჯღრეოდა მუცელში მოგროვებული შიში და კიდევ რაღაც გრძნობა, რომლის სახელიც ბოლომდე ვერ მოეძებნა. შიშზე და ბრაზზე მეტად ეს გრძნობა უკარგავდა მოსვენებას. წამოვიდოდა შუბლიდან, ჩამოუყვებოდა მის სხეულს უსიამოვნო ჟრუანტელად, ან მფეთქავ ბურთად დაიბუდებდა სადღაც კუჭთან, ბჟუტავდა და ბჟუტავდა ჯიუტად, დაჟინებით და სევდიანად.

სახლში მისულმა ვერ დაიძინა. აივნის კართან იწვა და ზაფხულის სიოში აფრიალებულ ფარდის მიღმა გაჰყურებდა მოპირდაპირე კორპუსში მბჟუტავ შუქებს. იმ უსიამოვნო გრძნობას უგდებდა ყურს, რომელიც მის სხეულში დაფუთფუთებდა უნებართვოდ, მიტოვებულ სახლში შეპარული თაგვივით. მეზობლისგან პიანინოს ხმა ჩამოდიოდა, სევდიანი და მონოტონური. სხვა დროს ალბათ გაბრაზდებოდა, რა დროს პიანინოა ამ შუაღამეზეო, მაგრამ ახლა ამშვიდებდა და ბოლოს, შუა ღამეს გადაცილებული იყო, რომ, როგორც იქნა, ჩაეძინა.

უცნაური სიზმარი ნახა. გზის პირას იდგა. მტვრიან ქუჩაში მსუბუქი ქარი უბერავდა და ყველაფერი თითქოს ნორმალურად გამოიყურებოდა. კაციშვილი არ ჭაჭანებდა, არც მანქანა მოძრაობდა ფართო ქუჩაზე და ირგვლივ სამარისებული სიჩუმე იდგა. დათომ მიმოიხედა — ყველგან სიჩუმე და სინაცრისფრე, ნაწვიმარზე გაჩენილი ბინძური გუბეები ჰორიზონტის ხაზამდე. შემდეგ გათოვდა. სიჩუმეში უცებ აშრიალდნენ ფანტელები და ქარის მიმართულებას ჩამოყვნენ, შემდეგ მიწაზე, მტვერში და ჭუჭყში, გუბეებში და გზის პირას დაიწყეს დაფენა. ავტობუსის ბილეთები თოვდა და დათოს ეს არ გაკვირვებია, მხოლოდ მუცელში აუმოძრავდა უსახელო გრძნობა. ქარმა ბილეთები წამოხვეტა და ხედავდა, როგორ მიაფრიალებდა ცარიელ ქუჩებში, პირდაღებულ, ბინძურ სადარბაზოებში, მიტოვებულ ეზოებში აფენდა თეთრ, მოშრიალე საფრად. ცარიელი ქალაქი იფარებოდა ქაღალდის თოვლში.

დილას ადრე გაეღვიძა, მაღვიძარა რვა საათზე ქონდა დაყენებული, მაგრამ ორი საათით ადრე გაეღვიძა და შემდეგ ვეღარც დაიძინა. ერთი საათი ასე იწვა და ღია ფანჯარაში აკვირდებოდა, როგორ მიცურავდნენ აწეწილ ცაზე ღრუბლის ნაფლეთები. სიზმარმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ახლაც თვალწინ ედგა, ტალახიანი წყლით როგორ იჟღინთებოდა გუბეებზე დაფენილი თეთრი ბილეთები.

აივნის კარში მეზობლის კატა გამოჩნდა. როგორც სჩვეოდა ხოლმე, დათოსთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ ამჯერად, იმის ნაცვლად რომ ცოტა ხანი მჯდარიყო აივნის კართან და ბოლოს კვლავ გაუფრთხილებლად წასულიყო, ფანჯრის რაფაზე ახტა და დათოს ერთადერთი ყვავილი გადმოაგდო. ქოთანი დაილეწა და მისი ნამსხვრევები, მაღაზიაში ნაყიდი მიწა და ყვავილის ფესვები ოთახში მიმოიფანტა.

მთელი დღე მოუსვენრად იყო სამსახურში — ბინის ქირა, დამტვრეული მანქანა და უფროსის არაკეთილმოსურნე მზერა კვლავ აწუხებდა, მაგრამ ახლა უკვე გაცილებით პატარა ჩანდა ყველაფერი, იმ უცნაურ გრძნობასთან შედარებით, მუცელში რომ უბუყბუყებდა.

საღამოს კვლავ ავტობუსით იმგზავრა და მთელი გზა ნერვიულად იყურებოდა ფანჯარაში, ლურჯი უნიფორმის დანახვისას ნაცნობი ნაკვთების აღმოჩენას ცდილობდა. თავის გაჩერებაზე ჩამოვიდა და ისევ უკან გამოყვა შემდეგ ავტობუსს.

მერე კიდევ.

და კიდევ.

სანამ არ დაღამდა და ქუჩებში ლურჯი უნიფორმები არ გაქრნენ.

სახლში გვიან მივიდა და მაშინვე დასაძინებლად დაწვა. ისევ დაესიზმრა ცარიელი ქალაქი და ბილეთების თოვლი. შუაღამეს გაოფლილს და შეშინებულს გაეღვიძა და აღარ დაუძინია.

დილას იდეა მოუვიდა და გიოს დაურეკა, დიდი ხნის უნახავ ბავშობის მეგობარს. სტანდარტული მოკითხვის შემდეგ, როდესაც სასაუბრო გამოილია, როდესაც იგრძნო, რომ ის-ის იყო გიო კითხავდა დარეკვის ნამდვილ მიზეზს, თვითონ ჰკითხა:

— ბიჭო, შენ კიდევ იქ მუშაობ, სადაც ადრე? ანუ კონტროლიორებში რა...

— ხო. რა არის?

— კონტროლიორების ინფორმაციაზე ხელი მიგიწვდება?

— ხო, მგზავრთა მონიტორინგის სამსახურში ვარ, უშუალოდ მაგათთან არ მაქვს შეხება. უფრო ზუსტად რა გაინტერესებს?

— ერთს ვეძებ კონტროლიორს რა, შეგიძლია დამეხმარო?

— გააჩნია. მისმინე, პირდაპირი შეხება მაგათ პირად ინფორმაციაზე არ მაქვს, მაგრამ ვისაც აქვს, იმათ ვიცნობ კარგად. შევეცდები, გაგირკვიო. რა ხდება, მეტყვი ბოლო-ბოლო?

დათომ გუშინდელი შემთხვევის შესახებ მოუყვა. მიუხედავად იმისა, რომ წესიერად ვერ აუხსნა, რისთვის ეძებდა კონ-

→

სანდრო წერეთელი

კონტროლიორი

სანდრო წერეთელი

კონტროლიორი

ტროლიორს — თვითონაც არ იცოდა კარგად — მისმა სასოწარკვეთილმა ხმამ გიო დაარწმუნა, რომ დახმარება უნდა ეცადა. დაპირდა, როგორც კი რამეს გავარკვევ, დაგირეკავო.

შემდეგი რამდენიმე დღე უშედეგოდ გავიდა. დღისით სამსახური, საღამოობით ავტობუსით სეირნობა და ქუჩაში გაელვებული ლურჯი უნიფორმები, ღამე კი აკვიატებული უკაცრიელი სიზმარი, ჭუჭყიანი გუბეებით და ბილეთების თოვლით.

მეოთხე დღეს საერთოდ ვერ დაიძინა. უფრო სწორად — არ. ყოველი სიზმრის შემდეგ უფრო და უფრო ძლიერდებოდა გრძნობა, რომელიც დღისით, ავტობუსების და ლურჯი უნიფორმებისკენ ერეკებოდა.

დაღლილი და ღამენათევი სახლიდან გადიოდა, ტელეფონმა რომ დარეკა. გიო იყო:

— ვიპოვე.

— ვინ იპოვე?

— შენი ძმაკაცი.

— ვინ ჩემი ძმაკაცი?

— რა დაგემართა, შეჩემა, შენი ძმაკაცი არ გახსოვს? ვისთან ერთადაც ტალახში გორაობა გევასება. აქამდე იმიტომ ვერ მოვძებნე, რომ გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან ორი დღის წინ. მგონი, მაგ შემთხვევის გამო.

— იპოვე?

— დაყრუვდი? ვიპოვე-მეთქი, მისამართი ჩაიწერე. რა ჯანდაბად გინდა, არ ვიცი. იმედი მაქვს, მართლა არ აპირებ, სახლში მიაკითხო. თუ არადა, დამირეკე და არაჟანს და ბანანებს მოგიტან ხოლმე საავადმყოფოში.

იმ დღეს სამსახურიდან ადრე გამოვიდა და ჩაწერილი მისამართისკენ გაემართა. ისიც ქალაქის გარეუბანში იყო, ოღონდ ქალაქის მეორე მხარეს. კორპუსი ადვილად იპოვა, თუმცა აქ ყველა შენობა ერთმანეთს გავდა — ცხრასართულიანი, ოთხკუთხედი, ნაცრისფერი შენობების უსასრულო მწკრივები მიიწევდნენ ჰორიზონტს მიღმა. ჩაბნელებულ და ნესტიან სადარბაზოში შუქი არ ინთებოდა და ლიფტიც მხოლოდ ხურდაზე მუშაობდა. რადგან ხურდა არ ქონდა, სიბნელეში ფეხით მოუწია ასვლა მეშვიდე სართულზე. სიბნელეში ფეხი რამისთვის რომ არ წამოედო, ხელით ეყრდნობოდა სადარბაზოს ცივ და უსწორმასწორო კედელს.

რკინის მძიმე კარში ბუნდოვნად ატანდა დიდი ოჯახის მონოტონური ხმაური. ჭურჭლის წკრიალი, ბავშვების სიცილი და მძიმე ნაბიჯების ხმა. ფრთხილად დააკაკუნა. არავინ გამოეხმაურა და კიდევ სცადა, ახლა ცოტა უფრო ძლიერად.

კარი გაიღო, ღრიჭოში გამოსული შუქის ვიწრო ზოლი დათოს სახეზე დაეცა.

ზღურბლზე შუა ხნის ქალი იდგა და შეჭმუხნული, ოდნავ შეშინებული სახით აკვირდებოდა სტუმარს.

— რა გნებავთ?

— აქ ცხოვრობს?.. — ახლაღა გაახსენდა, რომ კონტროლიორის სახელი არც კი უკითხავს და უხერხულობის ოფლმა დაასხა, — აქ ცხოვრობს... კონტროლიორი?

ქალის გამომეტყველებამ მტრული ელფერი შეიძინა და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ კარს უკან მიიმალა, რამდენიმე წამის შემდეგ კი კარის ღრიჭოში გამოსული სინათლე მამაკაცის ფიგურამ გადაფარა. ლაქებიანი, უსახელო მაისური მხოლოდ ღიპს უფარავდა, გაბურძგნული, შევერცხლილი თმები ასჩეჩოდა და თვალებსაც არ ქონდათ დაკარგული ძველებური უმეტყველობა.

— რა გნებავთ?

დათომ სხეულის სიმძიმე ერთი ფეხიდან მეორეზე გადაიტანა და სანამ რამეს იტყოდა, ლიფტს გახედა.

— ვერ მიცანით?

— ვერა? კაცო, იტყვი რა გინდა?

კონტროლიორმა კარში თავი გამოყო და თვალები მოჭუტა.

სადარბაზოში უეცრად ჩამოვარდა სამარისებული სიჩუმე. კონტროლიორს კარში გამოყოფილი თავი გაშეშებოდა და თვალებგადმოკარკლული მიშტერებოდა დათოს, პირდაპირ შუბლზე. დათომ იგრძნო, რამეს თუ არ იტყოდა, მისი ვიზიტი ცუდად დასრულდებოდა:

— მინდა, ბოდიში მოგიხადოთ, — თან იგრძნო, რომ ერთიანად გაწითლდა.

დათოს ბოდიში კონტროლიორზე ასხლტა და სადარბაზოს კედლებზე ხეთქებით დაიკარგა სადღაც, დათოს ზურგს უკან.

კაცი ჯერ კიდევ გადმოხრილი იდგა კარის ღრიჭოში და თვალგაშტერებული უყურებდა დათოს. შემდეგ ნელა გასწორდა წელში, ნაძალადევად გაიღიმა თქვა:

— მობრძანდი.

დათოს გააჟრჟოლა. ბოდიშის მოხდა სულ სხვანაირად წარმოედგინა. ეგონა, შვებას იგრძნობდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. კონტროლიორის აჩეჩილი ფიზიონომიის შემხედვარეს, მუცელში მფეთქავი გრძნობა მხოლოდ უძლიერდებოდა.

სხვა გზა არ ჰქონდა. უნდა შესულიყო, თუ არადა, ასე წასვლა არმოსვლაზე უარესი იქნებოდა. კარის ღრიჭო ზუსტად იმდენად გაიღო, რომ შიგ გატეულიყო და პატარა ოთახში აღმოჩნდა, რომელშიც ერთი გაბზარული სარკე და ფეხსაცმელების გვერდზე გადაქცეული ტუმბო იდგა. მასზე წამოსკუპებულიყო ჭრელი კატა და გაუნძრევლად უყურებდა ახალმოსულს, შემდეგ თათი გაილოკა, ჩამოხტა და ერთ-ერთ კარში მიიმალა. დათოს შესვლისთანავე ეცა სუნელებიანი კერძის სუნი, სინესტის და გამშრალი თეთრეულის სუნთან არეული. აქედან კაცი პატარა, ჩაყვითლებულ სამზარეულოში შეუძღვა. ნათურის მბჟუტავი შუქი ოთახის შუაში დამდგარ, ფეხებმორყეულ მაგიდას ეცემოდა. სარეცხ ბაკანში გაურეცხავი ჭურჭელი იყო ჩარჩენილი, ხოლო ახლადდარეცხილები ნახევრად მშრალ ტილოზე ეწყო პირქვე. გაზზე რაღაც საჭმელი თუხთუხებდა. კონტროლიორი ცარიელ მაგიდას მიუჯდა და დათოსაც ხელით ანიშნა, დაჯექიო.

— ისეთ საქმეზე ხარ მოსული, თითო ჭიქა უნდა ჩავარტყათ.

დათოს უნდოდა, პროტესტის ნიშნად რაიმე ეთქვა, რომ სახლში მალევე უნდა წავიდეს, ხვალ სამსახური აქვს და საერთოდ დალევა მაინცდამაინც არ უყვარს, მაგრამ გაჩერდა, არაფერი უთქვამს.

ქალმა მალე შემოიტანა ბორჯომის ბოთლში ჩასხმული არაყი.

პირველი ჭიქა უხმოდ დალიეს. მეორე ჭიქის წინ კონტროლიორმა ხმა ამოიღო და სადღეგრძელო თქვა, ძმობის დალია, ქართველობის და ვაჟკაცობის, მიტევების და, ფაქტობრივად, ყველაფერი კარგის, რაც კი რამე არსებობს. ესეც რომ დალიეს, კონტროლიორი უეცრად მოტყდა. დათომ იფიქრა, ახლა ჩამოიღვენთება სკამიდან და ლინოლიუმის იატაკზე გაიშლება უფორმო სითხედო. მასპინძელი წელში მოიხარა, არყის ბოთლზე გადმოხრილი მოეშვა და დათოს აღარც უყურებდა. მაგიდას დასჩერებოდა და დროდადრო არყის ბოთლს თუ დაავლებდა ხელს. დათო მიხვდა, მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ქონდა, დათო იქნეობოდა აქ თუ არა. მუცელში ახალი ძალით განახლდა უცნობი გრძნობა, კეფიდან ჩაუარა და თითის წვერებში დამთავრდა.

კატა სამზარეულოს კარში გამოჩნდა, მაგიდის შორიახლოს გაჩერდა ცოტა ხანი, სამზარეულოზე ახტა და დამშრალებული თეფშებიდან ერთ-ერთი გადმოაგდო. თეფში ხმაურით დაიმსხვრა. კონტროლიორმა და დათომ თავი ასწიეს. კაცი, როგორც კი მიხვდა, რა ხდებოდა, დიდად არ დაინტერესებულა დამტვრეული თეფშით და არყის ბოთლს დაუბრუნდა, დათო კი შეკრთა და კატას დააკვირდა.

მას შემდეგ, რაც კონტროლიორის ცოლმა თეფშის ნამსხრევები აკრიფა და ჩუმად გავიდა, დათომ ჩაახველა:

— ჩვენი ინციდენტის შემდეგ გაგანთავისუფლეს?

კონტროლიორი გამოერკვა. ყურადღებით შეხედა დათოს, ხელი მაგიდას გაუსვა ჩაფიქრებით.

— ხო.

— ახლა რა უნდა ქნათ?

— მოვახერხებ რამეს, — ხმაში აშკარად გაღიზიანება დაეტყო, სკამზე უკან გადაწვა და ხელები გულზე დაიკრიფა.

— ეჰ... — მრავალმნიშვნელოვნად წამოისროლა დათომ.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოწვა.

კონტროლიორი კვლავ ფიქრებში გაერთო, დათოს უკან ჩამოხეული შპალერის ნაჭერს მიაჩერდა. მეზობელი ოთახიდან გამოსულმა ბავშვის ტირილმა გამოაფხიზლა, ბოთლს დასტაცა ხელი და თქვა.

— აბა, დავასხათ!

და პასუხს არ დაელოდა, პატარა, დაბინდულ ჭიქებში ჩამოასხა არაყი.

— ხო, მაგრამ მაინც როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოთ?

კაცი კვლავ მიაშტერდა დათოს.

— შენ რა გედარდება, დალიე რა!

— იცით, რატომ გეკითხებით? — დათომ ჭიქა თავისკენ გადმოხარა და გამჭვირვალე სითხეს დააკვირდა, — ძალიან ვდარდობ ამაზე. არ მინდა, თვალთმაქცობაში ჩამითვალოთ, მაგრამ თქვენი ოჯახის გაჭირვება, მგონია, რომ ჩემს სინდისზეა. და მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე არაფრის გაკეთება არ შემიძლია, რაც ალბათ გასაგებია თქვენთვის, ეს არ უნდა გაგიკვირდეთ. მე დაბალანაზღაურებადი სამსახური მაქვს და ასეთ დიდ და ღარიბ ოჯახს, რა თქმა უნდა, ვერაფრით დავეხმარები. მიუხედავად იმისა, რომ მეეჭვება, ახლა, ამ ასაკში რამე გამოგივიდეთ, რისთვისაც გულწრფელად გითანაგრძნობთ, მაინც მინდა, თქვენგან მოვისმინო, თუ რის გაკეთებას აპირებთ, რათა სინდისი უფრო მშვიდად მქონდეს და თქვენს ოჯახზე დარდი არ გამყვეს სახლში. ისედაც საკმაო საზრუნავი მაწევს. იმედია, გამიგებთ, — დააყოლა და კმაყოფილი წელში გაიმართა, თან კონტროლიორის გაღიზიანებულ სახეს გაუცინა.

— ეგ შენი საქმე არაა... მე რას გავაკეთებ... შენ საქმეს მიხედე... სინდისი! შენი სინდისისთვისაც მე ვიზრუნო?

— დამშვიდდით, საწყენად არ მითქვამს, უბრალოდ ასეთ ცუდ მდგომარ...

— შე ლაწირაკო, შენი თავი ვინ გგონია?

— რატომ გადმოდიხართ შეურაცხყოფაზე? არა მგონია, თქვენს მდგომარეობაში...

ისევ გააწყვეტინეს. კონტროლიორი წონასწორობას კარგავდა, სკამიდან წამოდგა და მაგიდას ხელებით დაეყრდნო.

— შე ლაწირაკო, — გაიმეორა, — არ ვიცი რატომ შეიცვალე ტონი ასე უცებ, მასე სულელიც არ ვარ, რომ ვერ შემემჩნია, როგორ შემოძვერი აქ გველივით ჩუმად და ახლა კიდე სხვა ტონალობაზე ჭიკჭიკებ. არ ვიცი, რა გინდა და რატომ მოხვედი, მაგრამ მასე თუ გააგრძელებ, ცხვირ-პირს მიგინაყავ და ისე გაგიშვებ აქედან. სანამ ლამაზი ხარ აქედან მოშორდი.

კაცს თვალები უელავდა. დათო ხედავდა, როგორ დაებერა ძარღვები სახეზე და მოშვებულმა სხეულმა სასიცოცხლო მოქნილობა დაიბრუნა.

დათო ცივად წამოდგა. წელში გასწორდა და უკანასკნელი სიტყვებისთვის ჩაისუნთქა:

— კარგით, კარგით, მივდივარ, — შემდეგ კარისკენ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ შუა გზაში გაჩერდა, ნახევრად შემობრუნდა და თქვა, — მინდოდა, უბრალოდ გაგეგოთ, რომ უგულო ნაბიჭვარი არ ვარ, რომელიც კაცს ცემით მიასიკვდილებს და შემდეგ მტვერში საწყლად დაგდებულს დატოვებს. გარდა ამისა, მინდა, იცოდეთ, რომ თქვენი მუქარის სულაც არ მეშინია და ეს, სხვათა შორის, თქვენც კარგად უნდა გახსოვდეთ. დარწმუნებული ვარ, არ დაგვიწყებიათ. მეეჭვება, მთელი ავტობუსის დასანახად, რომელსაც ასე ეუფროსებით ხოლმე თქვენ და თქვენნაირები, მიწაში ფორთხვისას ასეთი მუქარას ივიწყებთ ხოლმე.

კონტროლიორმა რაღაც დაიღრიალა და დათოს დაეტაკა.

წინააღმდეგობა მხოლოდ მოსაჩვენებლად გაუწია, თუმცა რომც სდომოდა, ალბათ ვერ გაუმკლავდებოდა გაცეცხლებულ კაცს.

გული რომ მოიოხა კონტროლიორმა, დათო კარში გამოაგდო და ბნელ სადარბაზოში დატოვა. კიბეზე ჩამოჯდა, რათა სული მოეთქვა. სახსრებში ამტვრევდა და გრძნობდა, როგორ უსივდებოდა მარჯვენა თვალი.

შემდეგ ქვევით ჩავიდა, სადარბაზოს გასასვლელთან გაჩერდა და სიგარეტს მოუკიდა. საღამოვდებოდა და არსაიდან გამოსული მზის სხივები ნაცრისფერი კორპუსების წვერებს ანათებდა. უცებ ფეხზე შეხება იგრძნო, ფრთხილი და შემპარავი გახახუნება მაწანწალა კატისა...

დარიკო

უჩა მიშველიძე

ნამდვილი ამბავი

დეგიუტი

ხედავ იმ გოგოს, რა გოგოა, ხომ ამჩნევ ხოლმე?! ვხედავ რომელია, მართლა ძალიან კარგია ეგ შეჩვენებული. ახლა ნახე, რომ ჩავივლით, როგორ გადასხვანაირდება და ატლიკინდება, შენი ყურადღება უნდა მიიქციოს, შენ განონებს თავს, თორემ ისე სულ წყნარად ზის ხოლმე იმ თავის დაქალებში. ხო, მეც ასე მგონია. მიდი, მერე და უთხარი ერთი-ორი სიტყვა, ხომ ხედავ, აღარ იცის, რა ქნას. სად, ვისთან მივიდე, ბიჭო, ბავშვია პატარა, თუმცა ჩვენ ვკაცობთ, თორემ ორი-სამი წლით თუ ვიქნებით მაგ პრანჭიაზე უფროსები. არა და ეგ რომ მართლა ქალად ჩამოყალიბდება. ჯერ ახლა რა არის და თუ პირიქით არ გაფუჭდა, მერე უნდა ნახო შენ. ჰოდა, არ გაუშვა ხელიდან, თან შენ ჭკუაზე გაზრდი...

როდინდელი დიალოგი ამოუტივტივდა სიტყვა-სიტყვით, თუმცა ეს რა გასაკვირია იმასთან, რაც ემართება ბოლო ეს თვეები — დღე არ გადის ისე, რომ არ გაახსენდეს ის გოგო. რა ხდება ნეტავ, რა მოსდის, წლების მანძილზე ისე კი ახსენდებოდა ხოლმე, მაგრამ ასეთი არასოდეს დამართნია, ეფიქრება, ესიზმრება, ენატრება, აღარ ასვენებს ის პატარა ქალბატონი. სადღაც გულის რომელიღაც კუთხეში, დაბუდებული და მიყუჩებული იყო ალბათ ის ბავშვობის პირველი სიყვარული, ჰოდა, ახლა, უკვე ასაკში შესულს, აუფეთქდა მიტოვებული, დიდი ხნის ჩამარხული ნაღმივით. ასეთი მშვენიერი ცოლშვილის და ანგელოზი შვილიშვილების ფონზე სასიამოვნო საფიქრალის მეტი რა აქვს, მაგრამ ამ ბოლოს ისე ტკბილად ჩასძინებია ხოლმე იმ გოგოზე ფიქრში, დილით შერცხვენია კიდეც გულში ამის აღიარების. არადა, როგორ მოხდა, რომ არასდროს მოუკითხავს, არ უძებნია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამსახურები ჰქონდა ზუსტად შესაბამისი, რა უნდოდა ერთი ქალბატონის მოძიებას — თითი რომ დაეჭირა ღილაკზე და ებრძანებინა, დამიდგინეთ ეს პიროვნებაო, კაბინეტში მოუყვანდნენ 24 საათში. რამდენი გარეწარი უპოვნია და ამოუთხრია მიწიდან — ძებნა-მიმალვაში მყოფი. ის გოგო კი შეიძლება ელოდებოდა კიდეც.

რამდენი წელია, შვებულებაში არ ყოფილა, წელს ძლივს დაიძვრინა თავი. ოჯახი ბათუმში ჰყავს და თვითონაც იქით მიდის ახლა. საათს დახედა და თავის თავზე გაბრაზებულმა, უფრო მეტად დაადგა გაზს ფეხი; ასე თუ ივლიდა, 3 საათში ადგილზე უნდა ყოფილიყო. ჰოდა, ახლა მოძებნის, მოიძიებს და დღესვე იპოვნის აუცილებლად, ჩაქვი ხომ მაინც უნდა გაიაროს.

მარტო კაცი და წინ მომაბეზრებელი გრძელი ტრასა, არავინ დამლაპარაკებელი გვერდით. ისევ დაუბრუნდა და მიეცა ინსტიქტურად გახსენებებს...

იქ ისეთი ადგილია, წაქცეულ ვერხვთან სანაპიროზე, ისეთი მოტეხილი, ადამიანს გეგონება, რომ ვერავინ გხედავს დედამიწის ზურგზე, მაგრამ რას გამოაპარებ პატარა სოფლის დიდ თვალებს. ყოველ საღამოს იქ ხვდებოდნენ გოგო და ბიჭი ერთმანეთს, უყურებდნენ მზის ჩასვენებას ზღვაში.

დარიკო ყოველთვის ძალიან შორს იჯდა ხოლმე ბიჭისაგან, გრძელ მორზე, ახლა კი ისე ახლოს ჩამოუჯდა, გაგიჟდა ბიჭი, მისი კაბა ეხება ფეხზე და ხანდახან ფეხიც.

ასე არასდროს მოქცეულა დარიკო, სულ მხიარული და მოტიკტიკე ბავშვი, არასდროს ყოფილა ასეთი ჩაფიქრებული და ცხოვრებაზე ასეთი მოაზროვნე. არ ეგონა ბიჭს, რა განათლებული ყოფილა თურმე ეს სოფლელი გოგო, როგორ ყვარებია წიგნების კითხვა და სწავლა, რაღაც-რაღაცებში ჩაჭრა კიდეც ბიჭი, მაგრამ ბიჭმა გამოცდილებისა და ცოტაოდენი დიპლომატიის ფასად ისე დაიძვრინა თავი, გოგო ვერ მიხვდებოდა ამას.

იცოდა ბიჭმა, რომ არ ჰქონდა დალხენილი ცხოვრება დარიკოს. მამა ხუთი წლისას გარდაეცვალა, დედა და უფროსი ძმა ზრდიდნენ. სანამ პაემანზე მივიდოდა, ძროხებსაც კი მიერეკებოდა სახლში, წველიდა კიდეც ალბათ და მერე დიდხანს, დიდხანს იბანდა, რომ რძის სუნი არ ასდენოდა როგორმე.

დარიკო თვითონ იყო რძე, დარიკო ქმნილება იყო. ველარ ფარავდა მუხლსზემოთ მყოფი სიფრიფანა კაბა მის მაღალ თეძოებს. წელამდე ჩამოშლილი ჩალისფერი თმა, ულამაზესი ზღვისფერი თვალები, გადაკალმული წარბები და ბავშვივით დასიებული, გაბუტული ტუჩები ჰქონდა დარიკოს. რა იცოდა მაშინ პატარა ქალბატონმა, უკვე ზომაზე მეტად დიდი, ძალიან ლამაზი მკერდი მთელი ცხოვრება უდიდესი კოზირი და სავიზიტო ბარათი რომ იქნებოდა მისთვის.

რა მიხვედრა უნდოდა, იცოდა ბიჭმა, ჩაწვდა ქალის სურვილს, ძალიან ნაზად მოკიდა ნიკაპზე ხელი, მოუბრუნა თავისთან ახლოს მიტანილი სახე და სათუთად დაუწყო ტუჩებში კოცნა. არ განძრეულა გოგო, მიენდო თვალებდახუჭული.

კოცნა არ იცოდა დარიკომ, ეს პირველი იყო მისთვის. ბავშვურად მოკუმული ტუჩები ტუჩით ვერ შეახსნევინა ბიჭმა, მერე ლამაზ მუხლებზე დაადო ხელი და შეეცადა, მოფერებოდა ლამაზ ფეხებს. ეს მიუღებელი აღმოჩნდა ქალიშვილისთვის, უცბად წამოხტა პატარა შველი და გაიქცა შვლის სირბილით. დარიკო, დარიკო, ნუ გამექცევი, სად გარბიხარ, ჯერ ხომ ადრეა შენი წასვლა, ეძახდა ბიჭი.

შეუვალი კედელი და ყველაზე მაგარი „ლიბერო“ იყო მაშინ, ვერც ერთი „ფორვარდი“ ვერ გაექცეოდა, მაგრამ ახლა ყველაზე ჯიშიანი მწევარიც კი არ იყო დარიკოს დამწევი. არც იყო საჭირო, უბრალოდ კაცს უნდა გეყურებინა ამ სილამაზისთვის, დამტკბარიყავი ამით. არავინ ირგვლივ, შებინდებული, წყნარი ზღვის ნაპირი და შენგან გაქცეული მშვენიერების განსახიერება, ლამაზი, კაბააშლილი, უკან მოუხედავი სირბილით. თან როცა იცი, რომ ხვალ აუცილებლად დაბრუნდება, ისევ მოვა ზუსტად ამ ადგილას იგივე დროს. როცა ხვდები, რომ რაღაც გემართება, რაღაც სხვანაირი ხარ. ამ წუთას გაექცა თავის დარიკო და ენატრება უკვე, თურმე როგორ შეყვარებია.

მეორე დღეს იმ ადგილას ვიღაც ქალი ზის წითელ კაბაში, ეს დარიკო როგორ იქნება? დიდი ქალია ვიღაც, თან რა ლამაზია? მივიდეს ერთი ახლოს. ვაიმე... არ გადამრიო, დარიკო, ჩემო დარიკო, შენ ხარ? ეს რა ლამაზად გამოპრანჭულხარ, შე ოხერო, შენ. რას ვიფიქრებდი, შენ თუ იქნებოდი. ვერ გცნობ ჩემო ლამაზო ქალბატონო. დგას დარიკო და იცინის წითელ კაბაში გამოპრანჭული, წითელ, მაღალ ქუსლიან ქოშებზე შემდგარი, წითელი პომადით, თვალებშეღებილი. მივარდა ბიჭი, მოეხვია დარიკოს, მოეხვია გოგოც და ამჯერად ნამდვილი ქალივით აკოცა უკვე, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა მაინც. მერე ძალიან ნაზად დაიხსნა თავი ბიჭის მკლავებიდან და რას აკეთებს? ორი ნაბიჯი გადადგა უკან, უკანმოუხედავად, ნელნელა დაწვდა კაბის ბოლოებს ორივე ხელით და რას შვება? სად ნახა დარიკომ ასეთი რამ ან სად ამოიკითხა? გადაიძრო წითელი კაბა, იქვე მიაგდო, შებრუნდა და წავიდა ზღვისკენ. რამდენი სურათია ქვეყნად ამდაგვარი, ასე დახატული, მაგრამ ვინც ასეთებს ხატავდა, ალბათ რეალობაში ასიდან ოთხმოცდაათს არ ექნება ნანახი ასეთი საოცრება სინამდვილეში. ვინ მოწყვეტდა თვალს ამ შედევრს ზღვის ჰორიზონტზე, ქარვისფერ მზის დისკოზე მიმავალ ქალის სილუეტს, ამას ვერ აღწერ, მშვენიერება ისე იყო ერთმანეთში შერწყმული, სამი სილამაზე ებრძოდა ერთმანეთს პირველობაში და ერთად კი მშვენიერების კულმინაცია იყო სამივე — მზე, ზღვა და ბოლოს ქალი, ან პირიქით.

ამ საღამოს რატომ იგვიანებს დარიკო? რატომ არ მოდის, რა მოხდა ნეტავ? მესამე კვირაა, რაც ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები ამ ლამაზ სოფელში იმყოფება საზაფხულო მოსამზადებელ შეკრებაზე. რაც დარიკო გაიცნო კაპიტანმა, მას შემდეგ ხვდებიან ერთმანეთს ყოველ საღამოს. ასე არასდროს დაგვიანებია გოგოს, უკვე დაბინდდა და ჯერ არ მოსულა, მაგრამ აი, გამოჩნდა. მოდის და რას ხედავს, დარიკო ბიჭად გადაქცეულა, კუდიანმა დედაბერმა გადააქცია ალბათ ბიჭად, რა უნდოდა, რას ერჩოდა, რა დაუშავა ერთმა პატარა უმანკო, გულწრფელმა ბავშვმა ამ ქვეყანას.

თავზე წამოადგა ბიჭი დარიკო კაპიტანს და აჭარული აქცენტით ეუბნება: რა გინდა, ბიჭო, შენ ჩემს დასთან, არ დაანებებ თავს? იშვიათი იყო ასეთი მსგავსება დაძმას შორის, ქერათმიანი, ლურჯთვალება 30 წლამდე ყმაწვილი კაცი, მაღალი, ტანადი, თავის ყოფიდან გამომდინარე ადრე დაბრძენებული, შრომისაგან დახეთქვაზე მქონე კუნთებით. არც ბიჭი იყო ნაკლები, მაგრამ ის რომ სადმე წაგეყვანა, მოგეშორებინა ამ სოფელს, სადაც არ უნდა ყოფილიყო, იქ გადარევდა ალბათ ქალთა მოდგმას.

რა მინდა და გვიყვარს ერთმანეთი, ცოლად უნდა მოვიყვანო, წამოუდგა ბიჭი. შენ იმას ველარ ნახავ, თქვა დამაჯერებელი, მკაცრი ხმით, შებრუნდა და წავიდა ისეთივე მძიმე ნაბიჯებით, როგორითაც მოვიდა. აგერ ნახავ, თუ ვერ ვნახავ, შენ ჩემი ცოლისძმა გახდები, მიაძახა ბიჭმა ათ მეტრში. მობრუნდა, დგას და უყურებს თბილისელ უტიფარ ლანირაკს, იქნებ მოეწონა კიდეც სიძედ, სხვა მის ადგილას ვერ მოითმენდა ასეთ თავხედობას. მერე რა, რომ ძლიერია და კუნთები აქვს, მაგან არ იცის, ბიჭის თბილისში განთქმული ჩხუბის ამბავი, არ იცის რა ლამაზად შეუძლია აფრინდეს ჰაერში და ჯიბეებიდან ხელებამოუღებლად სამ კაცს აბიჯოს სახეზე ფეხბურთელის უმოწყალოდ ნავარჯიშები ფეხები.

ვენაცვალე მის ვაჟკაცობას, ერთი გარტყმის ღირსადაც კი არ ჩათვალა, შებრუნდა და გააგრძელა გზა. ეს იყო და ეს, იმის შემდეგ არც და უნახავს კაცს და არც ძმა. ცხოვრებაში ასეთი შეცდომა არასოდეს დაუშვია...

აი, ჩაქვიც. ამ ფიქრებსა და გახსენებებში როგორ უცბად გაილია ამხელა გზა. სოფლის სავაჭრო ცენტრშია უკვე, გააჩერა მოვაჭრე ქალებთან და ყველასგან ყიდულობს ყველანაირ ხილს, გულები რომ მოიგოს მათი, მერე ეკითხება, ქალებო, გვარს ვერ ვიხსენებ, მაგრამ დარიკო გეყოლებათ ამ პატარა დაბაში, თქვენი და ჩემი ხნის დარიკო ვინ გყავთ? მამით ობოლი, დედამ და ძმამ რომ გაზარდეს. პატარა დარიკოების მეტი რა გვყავს, მაგრამ შენ ვიზეც ამბობ, მივხდით უკვე, ატლიკინდნენ ქალები და ერთმანეთს აღარ აცლიან ლაპარაკს. დარიკო ჩვენი რაიონის სასახელო ქალბატონია, შვიდი წლის წინ დაბრუნდა თბილისიდან, რაც ქმარი გარდაეცვალა ტრაგიკულად ავტოკატასტროფაში. აი, აგერ ორას მეტრში რომ ყველაზე ლამაზი სასადილოა, დარიკოსია და იქ არის ახლა თავის ქალიშვილთან, სოფოსთან ერთად. ბიჭი თბილისში ჰყავს, კარგ თანამდებობაზეც მუშაობს. აღარ აჩერებენ ენებს ქალები — წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი, კარგი ვაჟკაცია უჩა. რა თქვით, ქალბატონო? უჩა თქვით თუ შემომესმა? დარიკოს ბიჭს უჩა ჰქვია? ხო, უჩა ჰქვია, ცოლი მოიყვანეო, სულ ამის ხვეწნა-მუდარაშია დედამისი. კიდევ კარგი, მანქანასთან ახლოს იდგა, ცოტა წაბარბაცდა და მიეყუდა კარს. ქალებმა ვერ შეამჩნიეს, რაღაც-რაღაცებს ტლიკინებდნენ კიდევ, მაგრამ კაცს უკვე აღარ ესმოდა აღარაფერი, მანქანას რომ არ მიყუდებოდა, ჩაიკეცებოდა ალბათ. მადლობა გადაუხადა და მანქანაში ჩაჯდა. დაძრა, ოციოდ მეტრში ლამაზი სახაჭაპურის ეზოს წინ. ღმერთო, რა უქნია ამ პატარა გოგოს, რა უქნია ქალბატონს, უჩა დაურქმევია ერთადერთი ბიჭისთვის, გზაში იმასაც კი ფიქრობდა კაცი, რაში და სადღა ვემახსოვრები ახლა მე დარიკოსო, მაგრამ თურმე ხედავთ, რა მომხდარა?!

რამხელა ძალისხმევა უნდა დაჭირვებოდა ასეთი ტრადიციების და მამაპაპურ

დასასრული მე-15 გვერდზე

მწერალი

ბონდო მაცაბერიძე

„თხემით ტერფამდე მართალი და ბუნებრივი, ბუტაფორიულობისგან აბსოლუტურად თავისუფალი“, „სიტყვიერი მარაგი ამოუწურავი, მოქმედი გმირი — უთვალავი“, „ფერადოვანი გამა სიტყვიერებისა“, „უმალ იპყრობს ბავშვის ყურადღებას, ნორჩი მკითხველი შინაურულ გარემოში ექცევა და იმავდროულად, რაღაც უცნაურსა და უჩვეულოს მოელის“, „მუდამ იმას ლამობს, ბავშვები დამოუკიდებლად ფიქრს მიაჩვიოს, წარმოსახვის უნარი გაუცხოველოს“, — ეს გახლავთ ამონარიდები ვრცელი ლიტერატურული წერილებიდან, რომლებიც ამირან არაბულმა, ემზარ კვიტაიშვილმა, თემურ შავლაძემ, ქეთევან ქუჩუკაშვილმა საბავშვო მწერლისა და გამომცელობა „ბაკმის“ დამფუძნებლის, ბონდო მაცაბერიძის საბავშვო ნაწარმოებებს მიუძღვნეს.

ბატონი ბონდო არაერთი ჯილდოს მფლობელია, მათ შორისაა საქართველოს სახელმწიფო პრემია, შიო მღვიმელის პრემია და საქართველოს საპატრიარქოს საბავშვო წიგნის ფესტივალის მთავარი პრიზი.

ზადო და ბადო, თუსი და ტუსი, ფაციკო, კაკალო, მონადირე მერაბა, მეწისქვილე აბიბო, ბაჭადო, ცუცუნა, ძუძგნა და წუწკნა, ნათლო ბიცოლა, პეპელა პეპლათარი, გვირილა გვიმარისი და, რა თქმა უნდა, ბექნა ბიჭი და თეკლა გოგო დიდი ხანია შეიყვარეს და დაიმეგობრეს პატარებმა. ახლა ამ გმირებს უცხოელი ბავშვებიც ეცნობიან.

— როგორც ვიცი, პოზიით დაიწყეთ. კრებული — „თმენის ფორმულა“ — 90-იან წლებში „მერანმა“ გამოსცა.

— მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტში პოეზიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. უფროსებისთვის განკუთვნილი პოეტური კრებული ჩემი სადიპლომო ნამუშევარი გახლდათ. ისე მოხდა, რომ „მერანში“ წიგნი მანამდე გამოიცა, სანამ დიპლომს დავიცავდი. თუმცა, უფრო ადრე ჩემი ლექსები „ცისკარში“, ალმანახ „სათავესა“ და სხვა პერიოდულ გამოცემებშიც იბეჭდებოდა. ბოლოს „თმენის ფორმულა“ გამოვიდა და ასე მიიხურა ჩემი პოეზიის კარი.

— და გადაერთეთ საგამომცემლო საქმიანობაზე.

— სტუდენტობისას, თუ რამ კარგი წიგნი გამოდიოდა, იქ ვყიდულობდი და თბილისში ჩამომქონდა. გრძელ რიგებში შეამჩნევდით სკოლის მოსწავლეებსაც, სასურველი წიგნისთვის თვეობით ნაგროვები თანხით რომ იდგნენ და გატაცებით საუბრობდნენ საყვარელ ავტორებზე. სწორედ მაშინ გამიჩნდა იდეა, დამეარსებინა გამომცემლობა. თბილისში ჩამოსულმა მოვამზადე განაცხადი და წარვადგინე შესაბამის კოლეგიაზე, რომელსაც იუსტიციის მაშინდელი მინისტრი თენგიზ გაზდელიანი თავმჯდომარეობდა. „პერესტროიკის“ პერიოდი იყო, საბჭოეთი ჯერ კიდევ არსებობდა და ყველას გაუკვირდა, უმსხვილესი „მერანისა“ და „საბჭოთა საქართველოს“ გვერდით კერძო გამომცემლობის დაარსება რომ მოვინდომე, მაგრამ ბატონმა გაზდელიანმა — თანახმა ვარო. ასე გაჩნდა საქართველოში პირველი დამოუკიდებელი გამომცემლობა „ალავერდი“.

— ბავშვებისთვის წერა როგორ დაიწყეთ?

— ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, დამეწერა ზღაპარი. დავწერე კიდეც. „ფაციკო“ დღემდე ჩემი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია. ის მალევე დაიბეჭდა „კომუნისტში“ რევაზ მიშველაძის წინათქმით. თუმცა, მანამდე, 1995 წელს „ფაციკო“ რუსულად გამოვიდა პეტერბურგში. მას სხვა ზღაპრებიც მოჰყვა.

— „ზღაპრები და იგავები“ — ასე ერქვა თქვენს კრებულს, რომელიც 2002 წელს გამოიცა. ამ წიგნისთვის შიო მღვიმელის პრემიით დაგაჯილდოვეს.

— „ზღაპრები და იგავები“ იმ დროისთვის ჩემი ერთ-ერთი ყველაზე სრული კრებული გახლდათ, 3 ათასი ეგზემპლარი მალევე გაიყიდა და მეორედ გამოვეცით. 2004 წელს მას მოჰყვა ახალი კრებული, „ზადო და ბადო“ — ბავშვებისთვის საყვარელი ზღაპარი თაგვებზე, ქეთევან ქუჩუკაშვილის წინათქმით. ზღაპრის

„წელიწადია, ლექსს ვუტრიალებ“

დასასრულს, ჩემი ზღაპრებისა თუ იგავების ყველა გმირი ნადიმზე იყრის თავს, გამოცემულ წიგნშიც მთელი განშლა ეთმობა ილუსტრაციას, პერსონაჟებს — მხატვრისა და დიზაინერის ამგვარი გადაწყვეტა ძალიან მოუხდა წიგნს. სხვათა შორის, „ზადოსა და ბადოს“ პწკარედული თარგმნა რუსულად დაწყებულია.

— როგორც ვიცი, თქვენს ზღაპრებს მიხეილ იასნოვი, რუსეთში პოპულარული საბავშვო მწერალი და მთარგმნელი თარგმნის.

— მინდა გითხრათ, რომ „ფაციკოს“ რუსი გამომცემელი, კონსტანტინე ტუპლინი, არაერთხელ დამიკავშირდა წინადადებით, სხვა ზღაპრებიც გვეთარგმნა და გამოგვეცა. თავიდან, გასაგები მიზეზების გამო, თავს ვიკავებდი. შემდეგ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წიგნის ეროვნულმა ცენტრმა, ქალბატონ დეა მეტრეველის ხელმძღვანელობით, აქტიურად დაიწყო მუშაობა თანამედროვე ქართული მწერლობის პოპულარიზაციაზე საზღვარგარეთ, ამოქმედდა მთარგმნელობითი პროგრამებიც. წიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, მიხეილ იასნოვმა არაჩვეულებრივად თარგმნა „ზღაპრები ბექნა ბიჭზე“ და „ზღაპრები თეკლა გოგოზე“. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მე ვარ პირველი ქართველი საბავშვო მწერალი, რომელიც უცხო ენაზე გამოიცა. გამომცემელი კი „ДЕТГИЗ“-ი (სანკტ-პეტერბურგი) გახლავთ.

— იასნოვი რუსულ ენაზე ახლახან გამოცემული ქართველი საბავშვო მწერლების პოეტური კრებულის მთარგმნელი და შემდგენელიც არის. მგონი, თვითონ დაგიკავშირდათ და ლექსების გადაგზავნა ითხოვა.

— წიგნზე მუშაობისას ის თურმე თბილისსაც სწვევია. მე იმ პროექტისა და ბატონი იასნოვის ჩამოსვლის შესახებ ძალიან გვიან შემთხვევით გავიგე. თუმცა, ამასობაში მან „ბექნა ბიჭის“ თარგმნა დაიწყო და თქვა — შეუძლებელია ამ ზღაპრის ავტორს ბავშვებისთვის ლექსები არ დაეწეროსო. თვითონვე დამიკავშირდა, შემატყობინა, რომ მზადდებოდა ესა და ეს კრებული და მთხოვა, სასწრაფოდ გადამეგზავნა ლექსები. ამის გამო ორი თვით გადაიდო გამოცემა. საბოლოოდ, არაჩვეულებრივი წიგნი გამოვიდა, მას ჰქვია „Камешек и Волна — стихи поэтов Грузии для детей“.

— თქვენი წიგნები არა მხოლოდ „ბაკმის“, არამედ სხვა ქართული გამომცემლობების სახელითაც არაერთხელ დაბეჭდილა.

— დიახ, ასეა. ამისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გამომცემლობა „ანბანს“, რომელმაც დაბეჭდა ჩემი ზღაპრების კრებული სახელწოდებით „ფაციკო“, ზაურ დეისაძის შესანიშნავი მხატვრობით და — გამომცემლობა „პალიტრა L“-ს, რომელმაც, როგორც მხატვრული გაფორმების, ასევე, პოლიგრაფიის თვალსაზრისით, უნიკალურად გამოსცა „ზღაპარი თუსიზე და კიდევ ტუსიზე“. წიგნში ჩვენი ორი მთავარი გმირი თოჯინების სახითაცაა წარმოდგენილი, მხატვრობა ანა ჩუბინიძეს ეკუთვნის.

— ბევრი ზღაპარი დაგიწერიათ, მაგრამ ბექნასა და თეკლაზე პოპულარული მაინც არც ერთი თქვენი გმირი არ არის. რატომ, როგორ ფიქრობთ?

— ძალიან მახარებს, რომ პატარებმა ბექნა და თეკლა ასე შეიყვარეს. ზოგადად, ნებისმიერი ასაკის მკითხველს ბავშვობისდროინდელი გმირები ახსოვს და უყვარს. ქართული მწერლობა, ზეპირსიტყვიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ზღაპრის პერსონაჟებით მდიდარია. ჰოდა, აბა, იმაზე უკეთესი რა არის, თუკი ბექნამ და თეკლამ, რომელთა სახეების შექმნას ლამის მთელი ცხოვრება ვუტრიალებ, ქართული ზღაპრის სამყაროში დაიმკვიდრეს ადგილი. როგორც მეუბნებიან, უცხოელი მკითხველიც გაიტაცა ამ ორმა გმირმა. მართალი გითხრათ, დიდად არ მიკვირს, ჩვენ ხომ ბავშვობიდან მოვდივართ — ყველა საკუთარ თავს პოულობს ბექნასა და თეკლაში, ყველა თავისას იხსენებს. ოდესღაც ჩვენც ვყოფილვართ ონავრები, „გვიჭენებია“ ჯოხცხენი, მოგვირბენია სოფელი, დევებსაც შევრკინებივართ. გოგოზეც დაწერეო, სადაც ბიჭი, იქაც გოგოო — მეუბნებოდნენ. ასე გაჩნდა თეკლა, რომელიც თოჯინებთან თამაშობს, ჩიტებს ეჯიბრება.

რუსულ ენაზე გამოცემის შემდეგ, ეს ორი ზღაპარი ლიტვურ ენაზე ითარგმნა, ასევე — უკრაინულადაც. უკრაინელები გვიმტკიცებენ, ჩვენი თარგმანი რუსებისას ბევრად სჯობსო. იქაც ცნობილმა საბავშვო მწერალმა საშკო დერმანსკიმ იმუშავა ტექსტზე. წიგნი თარგმნილია გერმანულადაც, მანანა თანდაშვილმა და ტასო ყამარაულმა არაჩვეულებრივად იმუშავეს, იოსტ გიბერტმა კი გაარედაქტირა. ლაიფციგში წიგნის ბაზრობაზე, სადაც ერთი საღამო ჩემს წიგნებსა და შემოქმედებას დაეთმო, სწორედ ბატონი გიპერტი იყო მომხსენებელი.

წიგნი თურქულად და სპარსულადაც არის თარგმნილი.

— ძალიან მნიშვნელოვანი თემაა საბავშვო წიგნის მხატვრობა. თქვენს წიგნებს ვიზუალური მხარე, მხატვრობა ყოველთვის გამოარჩევს.







— ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ ყველა თარგმანი იბეჭდება ქართული მხატვრობით, უცხოელ გამომცემლებს ძალიან მოსწონთ სახასიათო ქართული ილუსტრაცია. მოგეხსენებათ, ჩემი ზღაპრების უდიდესი ნაწილი კოტე მაცაბერიძის გაფორმებულია, ახლახან, შეიძლება ითქვას, „აღმოვაჩინეთ“ ახალი მხატვარი, რუსუდან ყიფიანი, რომელსაც რეკომენდაცია გაუწია მისმა პედაგოგმა, ცნობილმა მხატვარმა გოგი წერეთელმა. მართალი გითხრათ, იმდენად მომწონს და მივეჩვიე კოტე მაცაბერიძის ხელწერას, რომ სხვა მხატვრობა ჩემს წიგნებში ვერც წარმომედგინა, მაგრამ რუსუდანმა სრულებით განსხვავებული სახეები შექმნა და თითქოს ახალი სიცოცხლე შესძინა გმირებს. სხვათა შორის, ბოლონიაში საბავშვო წიგნის ფესტივალზე ყოფნისას, ლიტველი გამომცემლების ყურადღება, თავდაპირველად, სწორედ რუსუდან ყიფიანის გაფორმებული წიგნით მივიქციეთ. „ზღაპრები ბექნა ბიჭზე და თეკლა გოგოზე“ მისი პირველი ნახატი წიგნია და ჯერჯერობით, ერთადერთი. ახლა ახალი წიგნის „ზღაპრები წეროს ბუდიდან“ მხატვრობაზე მუშაობს.

— წერილში — „ცეროდენების გულთამხედავი“ — ამირან არაბული თქვენს შემოქმედებას მიმოიხილავს და ამბობს: „აშკარად იგრძნობა ანონიმ წინამორბედთა უმდიდრეს გამოცდილებასთან უმჭიდროესი სიახლოვე, რის გარეშე წარმატება, უბრალოდ, წარმოუდგენელია“. „ანონიმ წინამორბედებში“ ბატონი ამირანი უძველეს ფოლკლორულ ნიმუშებს გულისხმობს და ეს გასაგებია, მაგრამ მინდა გკითხოთ, რამდენად ცოცხლობს თქვენს ნაწერებში თქვენი ბავშვობისდროინდელი თავგადასავლები, განცდა, ემოცია?

— ზღაპრები ჩემი ბავშვობიდან საზრდოობს, თავსგადამხდარი ამბების, იმდროინდელი ჩემეული სამყაროს ანარეკლია. თუნდაც ფაციკოზე ვთქვათ — ჩვეულებრივი დედალია, მაგრამ მის ამბავს რეალური ძირი აქვს. რაც შეეხება ბექნა ბიჭს, მასში, ფაქტობრივად, საკუთარ თავს ვხედავ, შემომჯდარს სამ მეტრამდე სიგრძის, კარგად გამოთლილ და დამუშავებულ ცხენჯოხზე, გარს ვუვლი მთელ სოფელს, ველაპარაკები ჩემს არარსებულ ბედაურს, რეალურად კი, ჩემს თავს ველაპარაკები. იმ პერსონაჟების უმეტესობასაც, გზად რომ მხვდება, თავისი პროტოტიპი ჰყავს.

— ავტობიოგრაფიულია თქვენი ერთადერთი მოთხრობა „კაკალოც“, ისევ ბატონ ამირანს დავესესხები — „შორს გაფრენილი სიყმაწვილის, უდარდელი დღეების განუმეორებელი სიმფონია“.

— „კაკალო“ თხისა და ბიჭის უთიერთობაზეა. ბებიასთან ვიზრდებოდი, სოფელში. მშობლები სამტრედიაში ცხოვრობდნენ. იმდენად სუსტი და გალეული ვიყავი, რომ ბიძაჩემმა თხა გვიყიდა, — მისი რძე მარგებელიაო. მოგვიყვანა და, ფაქტობრივად, ვზრდიდი იმ თხას. მიმყავდა სამწყემსურში, ვაბამდი, შუადღეს წყალი ჩამქონდა. საღამოს თვითონ მოდიოდა სახლში. თხა, ცხვრისგან განსხვავებით, ისეთი მოუსვენარია, თუ მიუშვებ, სახლის სახურავზეც კი ავა, მოედება ყველაფერს. ერთხელაც არ დაბრუნდა, დავკარგეთ. მერე მეზობლის ბავშვმა ამოიარა და დაგვიძახა, — თქვენი თხა ეგერ, ხევში გდიაო. აი, იმ ურთიერთობებზე, იმ ბავშვურ განცდებზე, სევდასა და სიხარულზეა ეს მოთხრობა. ძალიან მიყვარს კაკალო და მის გაგრძელებას ვაპირებ.

— საერთოდ, გჩვევიათ თქვენს ნაწერებთან მიბრუნება?

— ყოველთვის ვუბრუნდები ჩემს ზღაპრებს, თითოეულს გადავამუშავებ, შევავსებ. რაღაცნაირად, გეგმით მივყვები — გადმოვალაგე ზღაპრები და იგავები, ჩავუჯექი და დავასრულე, ხომ? შემდეგ საბავშო ლექსებზე მუშაობას შევუდექი. წელიწადია, ლექსებს ვუტრიალებ. მერე ალბათ მთელ დროს საბავშვო მოთხრობებს დავუთმობ. როგორც გითხარით, არ მინდა, კაკალო მარტო იყოს.

— საყვარელი საბავშვო წიგნი რომელია?

— ქართული ხალხური ზღაპრები.

ესაუბრა თამარ ჟურული

დასასრული

დარიკო

უჩა მიშველიძე

წეს-ჩვეულების მქონე აჭარელ ქალბატონს და როგორი ლავირებით უნდა მოგეთაფლა ქმარი და სანათესაო, რომ ეჭვი არ გაჩენოდათ და უფლება მიეცათ ქალისთვის, ერთადერთი ვაჟისთვის დაერქმია ვითომ თავის მოსაწონი სახელი. დგას და აღარ იცის, რა ქნას. შევიდეს, ნახოს, გამოელაპარაკოს თუ გააგრძელოს გზა და მივიდეს თავის ცოლ-შვილამდე, დატოვოს ასე ყველაფერი, როგორც არის. არა, უბრალოდ შევა, არ გამოელაპარაკება, რაღაცას შეუკვეთავს და ისე შეხედავს, შეათვალიერებს, გასუქებულ, გასიებულ, დაბერებულ, თავზე შავ თავსაფარწაკრულ დარიკოს. ის ხომ ვერც იცნობს. გამოვა და მერე წავა თავის გზაზე დამშვიდებული. არადა, რა ბოროტებაა, რა სისულელეა, რატომ არ უნდა გამოელაპარაკოს, როცა ქალს ასეთი რამ ჩაუდენია. რომელი ახლა გზა-კვალს აუბნევს 50 წელს მიტანებულ, პატიოსან, ქვრივ, ოჯახის ქალბატონს.

ჰოდა, შედის კაცი. ისეთი დროა, კაციშვილის ჭაჭანება არ არის მშვენიერ, ქათქათა ლამაზ სახაჭაპურეში, ორი ნახევრად შიშველი პატარა თბილისელი „ლაწირაჩკა“ ზის აივანზე მხოლოდ და მირთმევს აჭარულ ხაჭაპურს. შევიდა, შეაბიჯა და რას ხედავს, დარიკო დგას გაკრიალებული დახლის უკან, უბრალოდ სხვა კაბა აცვია. ენა ჩაუვარდა კაცს, ხმას ვეღარ იღებს, დარიკოს თმები, დარიკოს ზღვისფერი თვალები. დგანან და უყურებენ ერთმანეთს, მერე დარიკოს ტუჩები ეუბნება დარიკოს ხმით, რა მოგართვათ, ბატონო? არაფერი, შვილო, მე შენი დედიკო მინდოდა, ქალბატონი დარიკო, უცბად გამოერკვა კაცი, ცოტა შეყოვნდა გაოცებული ბავშვი და მერე დაიძრა უკან მყოფი საკუჭნაოსკენ, ოთხიოდე ნაბიჯი უნდა გაევლო ალბათ იქამდე საიდანაც ჩამიჩუმი არ ისმოდა, ისეთი სიჩუმე სუფევდა, იმაზე ჩუმადაც რომ ეთქვა ბავშვს მაინც გააგონებდა კაცი — დე, ვიღაც სიმპათიური მამაკაცი გკითხულობს. მოცქრიალდა, დაუბრუნდა თავის ადგილს და დაელოდა მოვლენებს.

მშვენიერი, მაღალი, მოხდენილი ქალის ლამაზი ფიგურა გამოჩნდა ოდნავ ჩაბნელებულ თაღში. ჯერ სახე არ უჩანდა, ნელი ნაბიჯით მოვიდა დახლამდე, დადგა, მიესალმა მამაკაცს და ხმისამოუღებლად დააკვირდა რაღაც დიდი ინტერესით. ბოლოს კაცმა მოიკრიბა ძალა, მიანიშნა იქვე კუთხეში მდგარი მაგიდისკენ და ეუბნება: ორად-ორ წუთს წაგართმევთ მხოლოდ. გაჰყვა ქალი და წინ ჩამოუჯდა მაგიდასთან. ისედაც სასწაულ სიჩუმეში, კიდევ უფრო სიჩუმე ჩამოწვა თითქოს. უყურებენ ერთმანეთს კაცი და ქალი და ხმას არ იღებს არცერთი, გაოცებული შეჰყურებს ბავშვი ასეთ სცენას და ვერ გარკვეულა, თუ რა ხდება. ისევ კაცმა დაარღვია სიჩუმე: წელს ოცდასამ აპრილს 50 წელი შემისრულდა, ზუსტად 33 წლის წინ აქ ერთი პატარა გოგონა გავიცანი ფეხბურთელმა პატარა ბიჭმა, იმ გოგოს დარიკო ერქვა, თქვა და გაჩუმდა. პატარა პაუზის შემდეგ ქალი უცბად იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას, ხელები მიიფარა სახეზე და არაბუნებრივი, ზედმეტად ხმამაღალი ხმით წამოიყვირა: უჩა! აქეთ ბავშვს ეცა ელდა დედისგან თავისი ძმის სახელის ასეთ წამოძახებაზე, მაგრამ ცუდის გაფიქრებასთან ერთად რეალობა წამოაშველა ტვინმა, სულ ხუთიოდე წუთის წინ არ ელაპარაკა თბილისში მყოფ ძმას თვითონაც და დედაც. არა, უჩა კარგად არის, აქ სხვა რამეშია საქმე, არც ისეთი პატარაა, ვერაფერს მიხვდეს, მაგრამ ჯერ დიდიც კი ვერ გაერკვეოდა ვერაფერში.

უყურებდა კაცი ქალს გაოგნებული და ის სიტყვები ახსენდებოდა, როცა წლების წინათ მეგობარს უთხრა იმ საუბრისას, შენ მერე ნახე, ქალად რომ ჩამოყალიბდებაო. ის პატარა ქმნილება მართლაც ქალად კი არა, ნამდვილ ღვთაებად იყო ქცეული, რა გენის, რა ჯიშის და რა ჯილაგის იყო ნეტა ეს ქალი, დრო და ჟამს და წლებს რომ ვერაფერი დაეკლოთ მისთვის — პირიქით, ასაკი ისე იყო შერწყმული დიდ სილამაზესთან, გაოცებაში მოიყვანდა ადამიანს. ჩალისფერ თმას არანაირი საღებავი რომ არ ენახა არასოდეს, ისე ლამაზად შეერთებოდა ვერცხლისფერი, მსოფლიოს უძლიერეს სტილისტებსაც კი დაწყვეტდა გულს ხელოვნურად ამდაგვარის მიუღწევლობა. ყველა პლასტიკურ ქირურგს შეშურდებოდა ბუნებრივად დაბერილი, ბავშვივით გაბუტული ტუჩების, რომლებიც კიდევ შემორჩენოდა დარიკოს. აბსოლუტურად უკოსმეტიკო სახე, ლურჯი თვალების ქვეშ ოდნავ შესამჩნევი ორადორი ნაოჭი ისეთ მომხიბვლელობას მატებდა ქალს, ისეთ სიმპატიურს ხდიდა, სხვანაირი თვალით ვერ შეგახედებდა კაცს. ქალის უზომო სექსუალურობის მთლიანად დამრეგულირებელი ის ორი კოზირი უკვე მთლად ჯოკრებად იყვნენ ქცეულნი.

საოცრებაა პირდაპირ, ორმოცდაშვიდი წლის, უკვე ასაკში მყოფი ქალბატონი გოგოსავით გამოიყურებოდა და თუ წლოვანება არ იცოდი, კაცი ვერც იფიქრებდი და ვერც მიცემდი 30-35 წელზე მეტს.

არ მოუშორებია სახეზე აფარებული ხელები დარიკოს, უბრალოდ შეხსნა, დააშორა ერთმანეთს გრძელი, ლამაზი თითები და ისე დაუწყო კაცს თვალიერება. შეამჩნია კაცმა თითებს შორის ცრემლიანი რომ იყო უსაშველოდ ლამაზი თვალები, რაღაც აქამდე განუცდელმა გრძნობამ გაუარა ტვინში, მერე გულში, მერე ფეხებში და ჩაიტანა მიწამდე, უცბად დაუმძიმდა გული და დაებინდა გონება. ერთი კაცისთვის, ერთი დღისთვის მეტის-მეტი იყო ასეთი განცდა. მთელი არსით, მთელი სიცხადით ხვდებოდა მამაკაცი, თუ რა ტრფობა, თუ რა ბედნიერება დაუკარგავს, გრძნობდა, როგორ სძულდა თავის თავი, თან უსაზღვრო სინანულის გრძნობა ახრჩობდა.

აუჩქარებლად, ნელა ჩამოიღო ხელები დარიკომ, თან თითქოს შეუმჩნევლად თითებს გააყოლა ცრემლი, წამოდგა:

— თუ ღმერთი გწამს, გარეთ გავიდეთ, — თქვა ხმადაბლა და წინ გაუძღვა კაცს.

— დედა, ცუდად ხომ არა ხარ? — მიაძახა ამდენ ხანს დახლს უკან ჩუმად ატუზულმა ბავშვმა, მთელ იქ მომხდარს ენაჩავარდნილმა რომ ადევნა თვალი.

— არა, შვილო, აქ დარჩი, მერე აგიხსნი ყველაფერს, — ერთი სიტყვით, დამჯერე შვილს როგორც ეკადრება, ისე მიუგო ქალმა.

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ ეზოში სკამზე. მერე წყნარი, მშვიდი საუბარი წამოიწყეს, თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს, ზუსტად ისე, ორი დიდი ხნის უნახავი, მონატრებული ადამიანი რომ შეხვდება ერთმანეთს. დაბნეულები ჩანდნენ, თითქოს სინანულით აღსავსე ლაპარაკობდა ორივე.

იხსენებდა დარიკო, როგორ წაიყვანა და გადაკარგა ძმამ მთიანი აჭარის ერთ-ერთ მივარდნილ სოფელში ნათესავებთან, რამდენჯერ ეცადა გამოპარულიყო. დღისით რომ არ გამოუვიდა, ერთხელ ღამითაც სცადა, სულ არ შეშინებია მგლების ყმუილის, მაგრამ მგლისმუხლა ბიძაშვილებს სად გაექცევი, შუაგულ ტყეში გაჭრილი ვიწრო ბილიკიდან რომ დაუბრუნებიათ თურმე ატირებული ბავშვი.

გული ეწვოდა კაცს და არც თვითონ დაუმალავს არაფერი. მოუყვა, მეორე დღეს ტესტ-მატჩზე როგორი საშინელი ტრავმა მიიღო, როგორ სასწრაფოდ გააქანეს თბილისში, ერთი ის მოასწრო, აჩიკოსთვის დაებარებინა აუცილებლად გამიგე დარიკოს ასავალ-დასავალიო, რაც თავის დაუდევრობით ვერ შეუსრულა მეგობარმა.

მერე სწორად განსაჯეს ყველაფერი, დარიკო პატარა იყო საიმისოდ, რომ თბილისში მოეძებნა მაშინ ბიჭი, ან რატომ უნდა მოეძებნა თავმოყვარე, ამაყ აჭარელ ქალბატონს, როდესაც პირიქით, ბიჭს თვითონ არ უძებნია.

ახსოვდა ბიჭს, ახსოვდა, მაგრამ ვერ აცნობიერებდა რომ უყვარდა თურმე... მერე კი თბილისელმა გოგონებმა გადაკრეს ბინდი ყველაფერს.

რამდენი ხანი გავიდა უკვე, ადგომას აღარც აპირებენ, სხედან და საუბრობენ კაცი და ქალი. უცბად ხმამაღლა, გულიანად გაიცინა ქალმა. გადაირია ფანჯრიდან მომზირალი 15 წლის ბავშვი. რამდენი წელია, დედა არ უნახავს ასეთი გაცინებული, ასეთი ბედნიერი, ასეთი მოკაშკაშე და გაცისკროვნებული. ახლა კი ხვდება, მაგრამ არასოდეს უკითხავს თუ რატომ ერქვა მის ძმას უჩა. ან რატომ უნდა დაბადებოდა ეს კითხვა. ის კი იცოდა, რომ დედამ შეურჩია ეს სახელი. არადა, არც ერთ ბაბუას, არც იმათ მამებს არ რქმევიათ ეს სახელი. რა ძვირფასი ყოფილა დედიკოსთვის ეს მამაკაცი, ნეტა სად იყო აქამდე, ან როდის წავა, რომ დედამ, მისმა ყველაზე დიდმა მეგობარმა მერე უამბოს და აუხსნას ყველაფერი, როგორც შეპირდა. იქნებ აღარც წავიდეს, გაიფიქრა სოფომ.

ბოლოს წამოდგა კაცი, წამოდგა ქალიც — ხელი გაუწოდა, ემშვიდობება. ჩამოართვა ქალმაც. ნელი ნაბიჯით გაემართა მოშორებით მდგარი მანქანისკენ, დარჩა ქალი ხელებჩამოშვებული, გახევებული. შუა გზაში შეჩერდა კაცი, მობრუნდა, ჩქარი ნაბიჯით მივიდა ქალთან, მოეხვია და გულში ჩაიკრა. არ განძრეულა ქალი, თვითონაც ასწია ჩამოშვებული ხელები და მხრებზე ჩამოედო ნაზად...

ხალხო, ეს რა ხდება, ეს რა უბედურებაა, აი, თქვენი სანაქებო დარიკო, აი, თქვენი უკარება, პატიოსნების განსახიერება, დამდგარა და მთელი ქვეყნის დასანახად ეხვევა და ეხუტება ვიღაც კაცს. შვილის მაინც როგორ არ რცხვენია მაგ უსინდისოს. რამდენი მთხოვნელი ჰყავს, რამდენს უყვარს ეს მშვენიერი, ლამაზი, განათლებული სათნო ქალი და არავინ ახლოსაც კი არ გაიკარა.

არა!!! არა!!! აქ რაღაც სულ სხვა რამეშია საქმე, ამბობს დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, არა მარტო იქაური ჭორიკანა ქალები, არამედ მთელი მსოფლიოს გესლიანი ენებიც კი დარიკოს მხარეს არიან, ყველა აღიარებს, რომ აქ რაღაც დიდშია საქმე, რაღაც დიდებულში. ნუ გეშინია, დარიკო! გიცნობთ, დარიკო! შენსკენ ვართ, დარიკო! აცხადებს საქვეყნო ჭორბიუროც. სოფოც დედიკოს მხარესაა, მაგრამ უცბად მამა გაახსენდა და თვალები დახუჭა, მაინც ვერ აიტანა სხვა კაცს ჩახუტებული დედამისი.

ჩაჯდა კაცი მანქანაში, გააგრძელა გზა. დარჩა ქალი. დაშორდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ეს უკვე დროებითი დაშორებაა, ეს კაცმაც იცის და ქალმაც, ისინი მეორედ იგივე შეცდომას აღარ გაიმეორებენ და მთელი დარჩენილი ცხოვრება ერთად იქნებიან.

ნანა ეხვაია

ციკლიდან: „ჟამი არს უკვე...“

* * *

ვნებათა ავმა თვითნებობებმა
გამომიჭამა გული მხურვალე,
მაგრამ შენ მყავხარ უერთგულესი
და მე ცოდვილი ვთბები შენს ცეცხლთან.

* * *

დღეები დღეებს ჰგვანან საოცრად —
გემო არ ვიცი სიხარულების;
ეს ჩემი ჯვარია, ჩემი სათრევი
და აქამომდეც რა მაცოცხლებდა,
რომ არა შენი მშველელი ხელი.

* * *

ლოცვის სიტყვებით
მომაქარგვინე
ჩემი ხრიოკი
სულის მინდვრები
და დამარწყულე
ცოდვით დამშრალი.

ლოცვა

ახალია მთვარე,
ახალია მზეც,
ღმერთო,
განმაახლე მეც.

* * *

მინდა ბალახი ვიყო
ადამიანთა ნაფეხურებით
გადათელილი
და ჩემი ღვაწლი
მოთმენა იყოს —
ჯილდოს მომტანი
სასუფეველში.

* * *

კიდევ ერთხელ მოვიდა თოვლი
ჩვენი სიბილწის დასაფარავად,
მაგრამ სიავემ მრავალწახნაგამ
მაინც აჯობა ნაზ სიქათქათეს —
დადნა თოვლი და ტკივილისაგან
გულშეკუმშულმა დედამიწამ
თითქოსდა მითხრა:
ამაოდ დაშვრა ღმერთი.

* * *

მეთერთმეტე ჟამის მუშაკს
შვება შენგან მებოძა,
შენი მადლის შუქი მწადის
სიავისგან მხსნელისა.

* * *

სალექსიკონო ერთეული:
ტოტალური — გარყვნილების ეპოქა,
სადაც ზნეობას
ტოტიც კი არა აქვს
ჩამოსაჯდომად
და ჯოჯოხეთის ალისა
არ ეშინიათ.

* * *

როცა მკვდრეთით აღვდგები,
შენი ცხვარი მინდა ვიყო
შენს მარჯვენას მინდობილი,
განწმენდილი, სპეტაკი.

* * *

ჭიანჭველასაც თავისი გზა აქვს —
ღვთის მიცემული;
რას ერჩი, როცა არაფერს გიშავებს,
დაე, იაროს.

ПРОЕКТИ

ხმოვანი წიგნები უსინათლოთათვის

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ეზოში, მარო მაყაშვილის ბაღში, ელექტრონული წიგნების სახლ „საბას“ თაოსნობითა და ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მხარდაჭერით მწერლებმა და ახალი პროექტის სულისჩამდგმელებმა მოიყარეს თავი. შეკრებილი საზოგადოება კიდევ ერთი ნიშნით გამოირჩეოდა — მათ შორის მრავლად იყვნენ უსინათლოები. პროექტი, რომლის პრეზენტაციაც ღია ცის ქვეშ გაიმართა, უპირველესად, სწორედ მათთვის იყო მნიშვნელოვანი — სულ რამდენიმე თვეში მათთვის, და არა მარტო მათთვის, ელექტრონული წიგნების სახლ „საბას“ თაროებზე ხმოვანი წიგნები გამოჩნდება.

ერთი შეხედვით არაფერია ახალი, თუ გვეტყვიან, რომ ხმოვანი წიგნები მზადდება, მაგრამ თუ ამ ინფორმაციას იმასაც დასძენენ — უსინათლოები და მცირედმხედველები სრულიად დამოუკიდებლად მოახერხებენ ამ წიგნების ელექტრონულად მოპოვებას, ჩამოტვირთვას, არ

დასჭირდებათ დისკის მოხმარება, ინტერნეტი, შეძლებენ, სურვილისამებრ, დააპაუზონ, ტემპი შეცვალონ — ააჩქარონ ან შეანელონ, ელექტრონულადვე ჩანიშნონ ადგილი, სადაც შეწყვეტენ მოსმენას, უკვე მივხვდებით, რომ საქმე მართლაც უნიკალურ სოციალურ პროექტთან გვაქვს.

რამდენიმე თვეში უსინათლო ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი გახდება ასობით ხმოვანი წიგნი. პროექტი როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის ჩაწერას ითვალისწინებს.

სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების აუდიოჩანაწერი მრავლად მოიპოვება. არაერთხელ გვქონია საშუალება, ოქროს ფონდში დაცული უნიკალური ჩანაწერებიც მოგვესმინა, მაგრამ ის, რასაც ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“ გვთავაზობს, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, იქნება პირველი ქართული ხმოვანი წიგნი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებით შეიქმნება. Saba Reader-ს, რომელიც ელექტრონული წიგნების წაკითხვის შესაძლებლობას იძლევა, დაემატება ის ფუნქციები, რომლებიც საშუალებას მისცემს, უპირველესად, უსინათლო, მცირემხედველ ადამიანებს, თავის ელექტრონულ მოწყობილობაში — ტელეფონში, ტაბლეტსა თუ კომპიუტერში — ინტერნეტის გარეშე იქონიონ ასობით ხმოვანი წიგნი. „საბას“ კატალოგს დაემატება ასობით ხმოვანი წიგნი, რომელიც აპლიკაციის თაროზე განთავსდება.

პროექტის ავტორები, უპირველესად, იმ მდიდარი ხმების ფონდის გამოყენებას აპირებენ, რომელსაც საზოგადოებრივი რადიო ფლობს. გარდა ამისა, იმ სოციალური საწარმოების იმედიც აქვთ, რომლებიც წლების მანძილზე ბეჯითად აგროვებდნენ ხმებს, წერდნენ თანამედროვე მწერლებსა და მათ მოთხრობებსა თუ ლექსებს. პროექტს უკვე გამოეხმაურა სოციალური საწარმო აუდიო-მულტი სტუდია „ჰერა“, რომელმაც დაგროვილი ხმოვანი წიგნების გადაცემა და ხელშეწყობა აღუთქვა ელექტრონულ წიგნების სახლ „საბას“. ასე, ნელ-ნელა, გარდაიქმნა არსებული აუდიოფაილები თანამედროვე სტანდარტების მქონე ხმოვან წიგნებად.

პირველი ხმოვანი წიგნი, რომელიც პროექტის პრეზენტაციაზევე ჩაიწერა, თანამედროვე პოეზიის რამდენიმე ნიმუშისგან შედგება — ღია ცის ქვეშ სახელდახელოდ მოწყობილ სტუდიაში საკუთარი ლექსები წაიკითხეს ლია სტურუამ, გიორგი კეკელიძემ, სოსო მეშველიანმა, დიანა ანფიმიადიმ, ლელა სამნიაშვილმა, რატი ამაღლობელმა და სხვებმა. ანთოლოგიის გამოსვლა სექტემბრისთვის იგეგმება. ოქტომბერში კი, როგორც გვპირდებიან, ელექტრონული ბიბლიოთეკის თაროზე 400-მდე ხმოვანი წიგნი დაიდება.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004